

170  
1384/3

ISSN 0132-5981

საქართველოს  
საბჭოთავო

# საქართველო საბჭოთავო





# საჭკობის სამკრთაღი

N<sup>o</sup> 5

საქართვებრი  
ოქტომბერი

1984 წელი

მუხრანი გამომცემის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმალღესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შუხრნალი

## შინაარსი

|  |    |
|--|----|
| სახლსო მსაჯული   | 3  |
| ი. შაფაშიქი — საჭკობის სამოქალაქო სამართალი სამართალსაბიექტობის<br>საკითხისათვის   | 6  |
| <u>პროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება</u>  |    |
| ს. რივაზა — სამართალდარღვევების აღკვეთა პროფბექნიკური განათლების<br>სასწავლებლებში: განსოცნიელებული ღონისძიებები, ამოცანები პრობლემები | 14 |
| <u>სასურსათო პროგრამის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები</u>   |    |
| თ. ლილუაშვილი — სასურსათო პროგრამის განსოცნიელების ზოგიერთი სა-<br>მართლებრივი ასპექტი   | 24 |
| მ. წიკლაური — ზოგიერთი მოსაზრება სისხლის სამართლის სასქციის სრულ-<br>ყოფისათვის  | 30 |
| <u>სასამართლო პრაქტიკა</u>   |    |
| ა. კოხანიკი — უსაფუძვლოდ შექმნილი ქონების დაბრუნების ვალდებულების<br>შესახებ   | 36 |
| <u>პრიინოლოგია</u>   |    |
| შ. შაფიაშვილი — თანამდებობრივი დანაზაულის მიზეზები და ხელშემ-<br>წყობი ბარემოებები   | 46 |
| <u>აბროსამგაფველო კოვლექსი — ყველას საზრუნავი</u>  |    |
| ბ. ლემონჯავა — აბროსამგაფველო ბაემოიანების იურიდიული სამსახურის<br>საქმიანობის სრულყოფისათვის  | 51 |
| წ. დვდარიანი — ნოტარიატი: მოზაობის ორბანიზაცია, ამოცანები, პრობლემები  | 57 |
| <u>წარსულის ფურცლები</u>   |    |
| ფ. დანელია — ქართველი ბოლშევიკების მოღვაწეობა ქ. მოსკოვის მართლ-<br>მსაჯულების ორბანოებში  | 61 |
| <u>იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას</u>   |    |
| ი. ღლონტი — სიხლენი სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში  | 65 |
| ინფორმაცია   | 69 |
| ნარები   | 77 |

# СОДЕРЖАНИЕ

|  |    |
|--|----|
| Народный заседатель  |    |
| <b>И. Шапакидзе</b> — К вопросу о правосубъективности в советском гражданском праве                                | 6  |
| <hr/> <b>Главное направление — профилактика</b> <hr/>  |    |
| <b>С. Ригвава</b> — Пресечь правонарушение в профтехнических учебных заведениях: проводимые меры, задачи, проблемы | 14 |
| <hr/> <b>Правовое обеспечение Продовольственной программы</b> <hr/>  |    |
| <b>Т. Лилуашвили</b> — Некоторые правовые аспекты осуществления продовольственной программы                        | 24 |
| <b>Е. Циклаური</b> — Некоторые соображения по совершенствованию уголовно-правовых санкций                          | 30 |
| <hr/> <b>Судебная практика</b> <hr/>   |    |
| <b>А. Кобахидзе</b> — Об обязательном возвращении неосновательно приобретенного имущества                          | 36 |
| <hr/> <b>Криминология</b> <hr/>  |    |
| <b>Ш. Папиашвили</b> — Причины и обстоятельства, способствующие совершению должностного преступления               | 46 |
| <hr/> <b>Агропромышленный комплекс — всеобщая забота</b> <hr/>   |    |
| <b>Т. Демонджава</b> — О совершенствовании юридической службы агропромышленных объединений                         | 51 |
| <b>З. Девдариани</b> — Нотариат: организация работы, задачи, проблемы  | 57 |
| <hr/> <b>Страницы прошлого</b> <hr/>   |    |
| <b>Ф. Данелия</b> — Деятельность грузинских большевиков в органах правосудия г. Москвы                             | 61 |
| <hr/> <b>Юридическая консультация</b> <hr/>  |    |
| <b>И. Глonti</b> — Новое в законодательстве о социальном обеспечении   | 65 |
| Информация   | 69 |
| Смесь  | 77 |



## სარედაქციო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. აღეკსიძე, ა. ბარბაძე,  
 გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინჭკირველი, აკ. კარანაძე,  
 მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,  
 ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი პლანანოვის პრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაცა წარმოებას 4.XII.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.1.85 წ.,  
 ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5  
 შეკვ. № 2745 ტირაჟი 24.600 უე 11022

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# სახალხო მსახური

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, წლეულს ოქტომბერ-დეკემბერში გაიმართება სახალხო მსახურთა მორიგი არჩევნები. სახალხო მსახურლები დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 154-ე მუხლის შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში „სამოქალაქო და სისხლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად; პირველი ინსტანციის სასამართლოში — სახალხო მსახურთა მონაწილეობით, სახალხო მსახურებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ“.

სასამართლო პროცესში სახალხო მსახურების მონაწილეობა უზრუნველყოფს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის დადგენას. ერთდროულად სახალხო მსახურები ახორციელებენ ხალხის კონტროლს სასამართლოსადმი, რომელიც სახელმწიფოებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ღარგია. სახალხო მსახურების საქმიანობა სასამართლოში, ამას გარდა, ხელს უწყობს მოსამართლეების კავშირის განმტკიცებას მშრომელთა კოლექტივებთან და ამომრჩევლებთან.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 155-ე მუხლის თანახმად „სახალხო მსახურები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან“. საქმის განხილვის დროს ყველა საკითხი სასამართლოში წყდება სახალხო მსახურების აქტიური მონაწილეობით, კოლეგიურად. ვინაიდან მსახურები სასამართლოს შემადგენლობაში უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით, შეიძლება ითქვას, რომ არსებითად, ფაქტობრივად სახალხო მსახურები ახორციელებენ მართლმსაჯულებას, წყვეტენ პირის ბრალდულობის თუ უდანაშაულობის საკითხს, სამოქალაქო დავათა ბედს. ამიტომ სახალხო მსახურების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებას, მათი შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, მართლმსაჯულების განხორციელებაში მსახურთა როლის, მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კიდევ უფრო გაძლიერებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ ბოლო დროს კიდევ უფრო განმტკიცდა სახალხო მსახურთა სამართლებრივი სტატუსი. სახალხო მსახურები მოსამართლეების მსგავსად ანგარიშვალდებულნი არიან ამომრჩევლების წინაშე და მათ შეუძლიათ, კანონით დადგენილი წესით, ვადამდე გამოიწვიონ. სასამართლო წყობილების ახალმა კანონმა სახალხო მსახურს უფლება მიანიჭა შეასრულოს სახალხო მოსამართლის მოვალეობა მოსამართლის ადგილზე არყოფნის პერიოდში. მიღებულია სპეციალური საკანონმდებლო აქტი სახალხო მსახურთა საბჭოების შესახებ.

სახალხო მსახურების მორიგმა არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს სკკ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის და სკკ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების შესაბამისად სასამართლო ორგანოების საქმიანობის ძირითად გარდაქმნას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის გაზრდას.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში ამჟამად მოღვაწეობს 18.000-ზე მეტი მსახური. მათ შორის: ქალია — 56,1 პროცენტი; სკკ წევრი — 72,7; კომკავშირელი — 14,2; მუშა — 42; კოლმეურნი — 19,7 პროცენტი. მსახურთა შორის: უმაღლესი განათლება აქვს 48,5 პროცენტს, იურიდიული განათლება — 5,1 პროცენტს. ეროვნული ნიშნის მიხედვით: 79 პროცენტი ქართველია, 6,2 — რუსი, 4,2 — სომეხი, 4,1 — ოსი, 2,8 — აფხაზი, 2,8 პროცენტი — აზერბაიჯანელი.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.  
გაბაშვილი თეა



რესპუბლიკის სახალხო მსაჯულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით ეი-  
დება საპატიო მოვალეობის შესრულებას, კეთილსინდისიერებას, საქმისადმი სახელმწიფოებ-  
რივ მიდგომას იჩენს, აქტიურად მონაწილეობს სასამართლოს მთელ საქმიანობაში, კანონიე-  
რებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

სახალხო მსაჯულთა საქმიანობის სრულყოფაში დიდი როლი აქვთ დაკისრებული სახალ-  
ხო მსაჯულთა საბჭოებს, რომელთა გეგმიან და მიზანდასახულ მუშაობაზე ბევრად არის  
დამოკიდებული სახალხო მსაჯულების პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, მშრომელთა  
კოლექტივებში სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესება, ამხანაგური სასამართლოების  
საქმიანობის გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად.

მუშაობის კარგ მაგალითს გვიჩვენებს ქ. რუსთავის სახალხო მსაჯულთა საბჭო, რომლის  
წევრად არჩეულია ხუთი მსაჯული. აქ ფუნქციონირებს: სახალხო სასამართლოს მიერ პირო-  
ბით მსჯავრდადებულ პირთა მიმართ კონტროლის განხორციელებელი სექცია, აგრეთვე სასა-  
მართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შემმოწმებელი, ამხანაგური სასამართლოს დახმარე-  
ბის უზრუნველყოფელი, სამართლის პროპაგანდისა და სახალხო სასამართლოს მიერ გამოტა-  
ნილი კერძო განჩინებათა შესრულებისა და ამხანაგური სასამართლოსათვის ადაცემული მა-  
სალების მაკონტროლებელი სექციები. მსაჯულებს გარდა სექციაში გაერთიანებულია აქტივი.  
არჩეული 280 სახალხო მსაჯულიდან უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს მსა-  
ჯულთა საბჭოს საქმიანობაში.

სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. ბევრი ქალაქისა და რაიონის სახალხო მსაჯულთა  
უმრავლესობა სრულ ინერტულობას იჩენს. სახალხო მსაჯულთა დახლოებით 60 პროცენტი  
საერთოდ არ მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მაგალითად: ზუგდიდის  
რაიონის სახალხო სასამართლოში 1984 წელს 140 სახალხო მსაჯულიდან საქმეთა განხილვაში  
სულ მონაწილეობდა 42 მსაჯული. ბევრი მხოლოდ ერთ სხდომას დაესწრო, ზოგიერთი კი  
20 დღე და უფრო მეტი ხანი იყო სასამართლო პროცესზე. ანალოგიური მდგომარეობაა ზო-  
გიერთი სხვა ქალაქის და რაიონის სახალხო სასამართლოებში. ეს იმით არის გამოწვეული, რომ  
სახალხო მოსამართლეები არ იცავენ კანონის მოთხოვნებს სახალხო მსაჯულთა მორიგეობით გა-  
მოძახების შესახებ. ხშირად სასამართლოში სახალხო მსაჯულს იბარებენ ერთი რომელიმე  
კონკრეტული საქმის განხილვის გამო. ზოგიერთი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე თუ  
მოსამართლე არ იჩენს სათანადო პრინციპულობას იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანი-  
ზაციის ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც სამუშაოდან არ ათავისუფლებენ მსაჯულს  
სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი ხელმძღვანელების მი-  
მართ ზომების მისაღებად საკითხს არ აყენებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. იმის ნება,  
რომ შეუწუღდოს სახალხო მსაჯულს სასამართლოს საქმიანობაში მონაწილეობის უფლება, არა-  
ვის არა აქვს, ვინაიდან მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების კონსტი-  
ტუციური პრინციპია. სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლით კი სახელმწიფო და სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციები და უკლებლივ ყველა თანამდებობის პირი მოვალენი არიან  
იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს.

საქმეთა ანალიზი მოწმობს, რომ სახალხო მსაჯულთა ერთი ნაწილი არ მონაწილეობს  
სამსჯავრო გამოძიებაში. სხდომის ოქმებში იშვიათად არის ფიქსირებული სახალხო მსაჯულთა  
შეკითხვა სამართალში მიცემულისადმი, დაზარალებულისადმი, მოწმისა თუ ექსპერტისად-  
მი. მსაჯულთა ასეთი პასიურობა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ისინი წინას-  
წარ არ ეცნობიან განსახილველ საქმეს, არ იმადლებენ იურიდიული ცოდნის დონეს, სუსტად  
ერკვევიან პარტიის პოლიტიკაში. ეს მოითხოვს არსებითად გაუმჯობესდეს სახალხო მსაჯულთა  
სამართლებრივი მომზადება. ამ მხრივ მეტად დიდია სამართლის ადგილობრივი სახალხო უნი-  
ვერსიტეტის მსაჯულთა ფაკულტეტების როლი და დანიშნულება. ფაქტები მოწმობს, რომ  
ზოგიერთი სახალხო მოსამართლე არათუ აქტიურად არ მონაწილეობს სახალხო უნივერსი-  
ტეტების მუშაობაში არ ატარებს შესაბამის ჭაფუფეთან ლექცია-საუბრებს, არამედ სახალხო  
უნივერსიტეტების საქმიანობის კურსშიც კი არ არის. ბევრი მოსამართლე დახმარებას არ  
უწევს სახალხო მსაჯულებს ამომრჩევლების წინაშე, ანგარიშის შედგენაში, არ ახორციელებს  
ლონისძიებებს მსაჯულთა საქმიანობის გააქტიურებისათვის. მსაჯულთა დასახმარებლად არ  
იცემა მეთოდიკური სახელმძღვანელოები, სამახსოვროები, კანონის კომენტარები, ნორმატი-  
ული მასალა, რომლებშიც განმარტებული იქნება სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილებანი.

სახალხო მსაჯულებთან არაღამაკმაყოფილებელი მუშაობითაც უნდა აიხსნას ის, რომ ჯერ კიდევ ხშირია სახალხო სასამართლოთა მიერ უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევები, რესპუბლიკის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის პროცენტი თითქმის ორჯერ მეტია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე.

განსაკუთრებით ხშირად უქმდება და იცვლება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონების სახალხო სასამართლების მიერ გამოტანილი განაჩენები და გადაწყვეტილებები.

ამ სახალხო სასამართლოებში სახალხო მსაჯულები თითქმის არ მონაწილეობენ პროცესის მომზადებაში. სახალხო მსაჯულთა საბჭოები და შესაბამისი სექციები ამ სასამართლოებში ფორმალურად არსებობს.

აუცილებელია, შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ სახალხო მსაჯულებად აირჩიონ ღირსეული, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პირები. ეს მუშაობა უკვე დაიწყო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობა. სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სახალხო მსაჯულობას კანდიდატად შერჩეულია 350 კაცი. მათ შორის 140 მუშაა. უმაღლესი განათლება აქვს 112 კაცს, 8 იურისტია. აქ პირველად ირჩევენ 227 მსაჯულს. შედგენილია არჩევნების გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მთელი მუშაობა 5 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს.

სახალხო მსაჯულების არჩევნების შემდეგ უნდა მოეწყოს სახალხო მსაჯულთა შეცხებები, მსაჯულებს გადაეცეთ მოწმობები, შეიქმნას მსაჯულთა საბჭოები და სექციები, გაიმართოს სასწავლო მეცადინეობები, განხორციელდეს სხვა საჭირო ღონისძიებები მსაჯულთა გასააქტიურებლად და მშრომელთა კოლექტივებთან, ამომრჩევლებთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ სახალხო მსაჯულთა არჩევნები ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობას და მართლმსაჯულების გაუმჯობესებას, მისი როლისა და მნიშვნელობის გაზრდას, იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით სასამართლოების მუშაობაში.



## საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობის საკითხისათვის

ი. ზაზაძე

სამართალსუბიექტობის ბუნების დადგენას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული. სამართალსუბიექტობის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის ცნების შემუშავება სამართლის თეორიის სფეროს განეკუთვნება. ცივილური მეცნიერება მოქალაქეთა სამართალსუბიექტობას ადგენს.

სამართალსუბიექტობის გარკვევა აქტუალურ პრობლემად არის მიჩნეული. განვითარებული სოციალიზმის პირობებში სასაქონლო-ფულადი ფორმის გამოყენებით განპირობებულ ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, რომლებსაც საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ურთიერთობათა რეგულირებას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებაში, სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში. ამ ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტია მოქალაქე.

სამართალსუბიექტობის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქის უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, მისი სამართლებრივი სტატუსის ცნებებს. საბოლოო ანგარიშით, ეს კატეგორიები განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური წყობით.

სამართალსუბიექტობის პრობლემა განხილული აქვთ ნ. ალექსანდროვს, ს. ალექსეევს, ს. ბრატუსს, ა. ვენედიქტოვს, ი. ვებერსს, ი. ტოლსტისს, რ. ხალფინას, ვ. ლაბტევს და სხვებს<sup>1</sup>.

დღეისათვის არც ერთი მოქმედი ნორმატიული აქტი არ ხმარობს ტერმინს „სამართალსუბიექტობა“, რაც განპირობებულია იმით, რომ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი მისი შინაარსი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. დადგენილი არ არის სამართალსუბიექტობის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი კატეგორიის, რაობა.

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: Агарков М. М. Обязательство по советскому гражданскому праву. М., 1940, с. 191, Александров Н. Г. Трудовое правоотношение. М., 1948, с. 336, Алексеев С. С. Общая теория социалистического права (курс лекций) вып. 1, Свердловск 1963, с. 265, Братус С. Н. Предмет и система сов. гражданского права. М., 1963, с. 196. Венедиктов А. В. Государственная социалистическая собственность И.-Л., 1948, с. 839, Веберс Я. Р. Правосубъектность граждан в сов. гражданском и семейном праве, Рига, 1976, стр. 18, 26—27, Толстой Ю. К. К теории правоотношения, Л., 1959, с. 86, Халфина Р. О. Общие учения о правоотношении. М., 1974, с. 351, Лаптев В. В. В книге: Теоретические проблемы хозяйственного права. М., 1975, с. 66—84 и др.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობის შესახებ არსებული ძირითადი შეხედულებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოქალაქის სამართალსუბიექტობის გარკვევას.

სამართალსუბიექტობის თეორია ვითარდებოდა სოციალისტური სამართლის განვითარების კვალობაზე. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოკვეთილად ჩანს სამართალსუბიექტობის არსის ახსნის ორი ტენდენცია. ერთი არის, რომ ხელოვნურად შემოაქვთ სამართალსუბიექტობის ცნება, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს არც თეორიისათვის და არც პრაქტიკისათვის. მეორე მიმართულების მიხედვით სამართალსუბიექტობის კატეგორია არ მოიცავს ახალ სოციალურ მოვლენებს, რაც ცნობიერების აპარატის სისტემის მიღმა რჩება. ჩვენი აზრით, ტენდენცია უარყოფითს გავლენას ახდენს სამართალსუბიექტობის თეორიის განვითარებაზე და ვერ ხსნის მის შინაარსს.

ტრადიციული კონცეფციით, „სამართალსუბიექტობა“ და „უფლებათუნარიანობა“ იდენტური ცნებებია და არავითარი თეორიული საფუძვლები არ არის მათი გამიჯვნისათვის<sup>2</sup>. „სამართალსუბიექტობა“ არის ხელოვნურად შექმნილი ცნება, რომელსაც თავისთავად არავითარი შინაარსი არა აქვს. ეს დებულება დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მისი ავტორები შეგნებულად არ იკვლევენ თანაფარობას სამართალსუბიექტობასა და უფლებათუნარიანობას შორის, ხელოვნურად ამარტივებენ შინაარსს და საბოლოოდ მედგრად აიგივებენ მათ.

მართალია, კანონმდებელი არც ერთ ნორმატიულ აქტში არ ხმარობს ტერმინს „სამართალსუბიექტობა“, მაგრამ ეს გამოწვეულია არა იმით, რომ სამართალსუბიექტობის კატეგორია ობიექტურად არ არსებობს და არსებობს მხოლოდ უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობის ცნებების მატარებელი კატეგორიები, არამედ იმით, რომ სამართალსუბიექტობის შინაარსი დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი სამართლის თეორიაში და, კერძოდ, ცივილურ ლიტერატურაში.

მოქალაქეთა უფლებათუნარიანობის ცნება და მისი შინაარსი რეგლამენტირებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით<sup>3</sup>. მათი მიხედვით, ეს არის სუბიექტის (ანუ მოქალაქის) უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. კანონით დადგენილი წესით მოქალაქეს შეუძლია ჰქონდეს პირადი საკუთრება, უფლება ისარგებლოს საცხოვრებელი შენობით, მიიღოს ქონება მემკვიდრეობით და გადასცეს იგი ანდერძით, აირჩიოს ესა თუ ის საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი, იყოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორი, აგრეთვე ფლობდეს სხვა ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

<sup>2</sup> Братусь С. Н. О соотношении гражданской правоспособности и субъективных гражданских прав. — «Советское государство и право», 1949, № 9, М., 36, Субъекты гражданского права. М., 1950 г. с. Толстой Ю. К. К теории правоотношения, Л., 1959, с. 35 и с. 77 и др.

<sup>3</sup> იხ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლი.



თუ გავაიგივებთ ზემოაღნიშნულ ორ ცნებას, ეს ნიშნავს, რომ უარი ნიშნავს სამართალსუბიექტობის არსის შესწავლაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ამუხრუჭებს მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხის გარკვევას.

სამართალსუბიექტობის უფლებაუნარიანობის ცნებასთან გაიგივება იწვევს სამართალსუბიექტობის შინაარსის ხელოვნურად შეკვეცას, ვინაიდან სამართლის სუბიექტი უნდა იყოს არა მარტო უფლებისა და ვალდებულებების მატარებელი, არამედ მას იმის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს, რომ თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებანი, ანუ იყოს ქმედუნარიანი პირი<sup>4</sup>. მისი უფლებები ყოველთვის გარანტირებული უნდა იყოს. მოქალაქის სამართალსუბიექტობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადად რეგლამენტირებულია სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ნაწილის ნორმებით, აგრეთვე, განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული ინსტიტუტებით, ხელშეკრულების ცალკეული სახეებით.

სამართალსუბიექტობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე უფლებაუნარიანობა. სამართალსუბიექტობა თავის თავში მოიცავს არაერთგვაროვან ელემენტებს, უფლებაუნარიანობას, ქმედუნარიანობას, მოქალაქის სტატუსს, ასაკობრივ ცენზს და სხვ. და მისი გაიგივება ერთ-ერთ ჩამოთვლილ ცნებასთან მართებული არ არის.

მეორე კონცეფცია, რომელიც ხსნის სამართალსუბიექტობის არსს, ის არის, რომ სამართალსუბიექტობა წარმოადგენს ზოგად სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც თავის თავში მოიცავს სუბიექტის უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას<sup>5</sup>. სამართალსუბიექტობის ეს ახსნაც ზღუდავს მისი შინაარსის გარკვევას. ხშირად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდინ მოქალაქეები, რომლებიც არ სარგებლობენ ქმედუნარიანობით, ან რომელთა ქმედუნარიანობაც შეზღუდულია<sup>6</sup>. თუ სამართალსუბიექტობას გავაიგივებთ მხოლოდ უფლებაუნარიანობის ცნებასთან, მაშინ არაქმედუნარიანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი პირიც უნდა მივიჩნიოთ სამართალსუბიექტობის მატარებლად, რაც სწორი არ არის. ქმედუნარიანობის ელემენტის გამოკლება ნიშნავს არასამართალსუბიექტურობას. ამ შეხედულების მომხრენი სწორად ავითარებენ თავის აზრს, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ არაქმედუნარიანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონე პირი მაინც გვევლინება სამართალსუბიექ-

<sup>4</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. მე-2.

<sup>5</sup> Пергамент А. И. К вопросу о правовом положении несовершеннолетних. Учен. зам. ВИЮИ, вып. 3, 1955, с. 3—69 ее же Опека, и поручительство, М., 1966 ее же Опекун, как гражданско-правовой представитель несовершеннолетнего учен. зап. ВНИИСЗ, 1968, с. 174—195.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსები ადგენენ არაქმედუნარიანობის ორ კრიტერიუმს, სამედიცინო-სულიერ ავადმყოფობას ან ჭკუასუსტობას და იურიდიულ კრიტერიუმს, ე. ი. სუბიექტის შეუძლებლობას შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძღვეს მას. იურიდიული კრიტერიუმში თავის მხრივ იყოფა ორ ნიშნად: ინტელექტუალური (თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეგნების შეუძლებლობა) და ნებელობითი (სუბიექტის შეუძლებლობა გაუძღვეს თავის მოქმედებას). დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Лунц Д. Р. Проблема невменяемости в теории и практике судебной психиатрии, М., 1966, с. 68. Усталова А. В. Признание гражданином вменяемым «Советское государство» прао», 1981, № 2, с. 11.

ტობის მატარებლად თავიანთი კანონიერი წარმომადგენლების, მზრუნველების და მეურვეების მეშვეობით, რომლებიც ავსებენ არაქმედუნარიანი პირის ქმედუნარიანობას. ასეთი შეხედულება სამართალსუბიექტობის დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს. კანონიერი წარმომადგენელი მხოლოდ თვითონ არის თავისი ქმედუნარიანობის და შესაბამისად სამართალსუბიექტობის მატარებელი, ე. ი. აღჭურვილი გარკვეული უფლებებით, ვალდებულებებით და თავის სამართალსუბიექტობას ვერავის გადასცემს. სამართალსუბიექტობა არის ობიექტური კატეგორია, რომელიც პირს აღმოუცენდება სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან და გრძელდება გარდაცვალებამდე, ან იმ მომენტამდე, სანამ კანონით დადგენილ ფარგლებში მოქალაქე ჩაითვლება არაქმედუნარიანად, ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად.

მესამე კონცეფცია, რომელიც არკვევს სამართალსუბიექტობის არსს, შედგება ორ კომპონენტისაგან. სამართლის სუბიექტი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ბლანკეტური შესაძლებლობით აღჭურვილი უფლებების მატარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთად, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს უფლებები და განახორციელოს ვალდებულებები და რომლებიც გამომდინარეობენ უშუალოდ კანონიდან. ეს შეხედულება ფართოდ არის გავრცელებული სამეურნეო სამართლებრივ ლიტერატურაში, სადაც სამართალსუბიექტობის ცნება გაიგივებულია სამეურნეო ორგანოს კომპეტენციის ცნებასთან. ამასთან სამეურნეო ორგანოების კომპეტენციაში გულისხმობენ მათი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას. ნაკლებად არის დასაბუთებული ის, რომ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც წარმოიშვება ორგანიზაციის კანონის საფუძველზე, არსებობს სამართლებრივი ურთიერთობების გარეშეც. ვ. ლაპტევი აღნიშნავს, რომ სამეურნეო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს აქვს თავის „ინდივიდუალური“ კომპეტენცია, რომელიც თავის თავში ნიიცავს უფლებებისა და ვალდებულებების ჯამს, რაც სუბიექტის მიერ შექმნილია თავისი კომპეტენციის რეალიზაციის საფუძველზე, სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობებში მისი მონაწილეობის საშუალებით<sup>7</sup>.

კომპეტენციის ასეთი გაგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი სამეურნეო ურთიერთობის სუბიექტის სამართალსუბიექტობა შეიძლება მუდმივად გაიზარდოს ახალი უფლებებისა და მოვალეობების მინიჭებისას. კომპეტენციის ასეთი განვრცობითი გაგება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას<sup>8</sup>, სამართალსუბიექტობის ზოგად სწავლებას და რაც, საბოლოო ანგარიშით, როგორც აღნიშნავს ვ. რაიხერი, გამოიწვევს სამეურნეო საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების სერიოზულ დარღვევებს<sup>9</sup>.

ამ შეხედულებას მცირეოდენი მოდიფიკაციით შეესაბამება ბ. ბეგიჩე-

<sup>7</sup> Теоретические проблемы хозяйственного права, с. 74—75.

<sup>8</sup> როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. პუშკინი, კომპეტენციის შინაარსის შცვლა არ შეიძლება მისი მატარებლის ნების შესაბამისად, შეუძლებელია მისი შცვლა და გასხვისება თუ არა კანონით დადგენილ ფარგლებში. იხ. «Правоведение», 1965, გვ. 39.

<sup>9</sup> Дискуссия о теоретических проблемах хозяйственного права, Вест. ЛГУ, сер. экон. философ., 1976, № 17, вып. 3, с. 149.

სამართალსუბიექტობის სამეურნეო-სამართლებრივი კონცეფციის კრიტიკა იხ. აგრეთვე Собачк А. А. Хозрасчет и право субъектность. «Советское государство и право», 1981, № 2, с. 81—82.

ვის<sup>10</sup> მიერ შემუშავებული კონცეფცია სამართალსუბიექტობის არსის შესახებ შრომის სამართალში. ავტორი შეცდომით აიგივებს სამართალსუბიექტობის და მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის ცნებებს. სამართლებრივი სტატუსის ცნებაში ავტორი გულისხმობს: შრომის საერთო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, შრომით უფლებათუნარიანობას, რომელიც თავისი შინაარსით გამომდინარეობს უშუალოდ კანონიდან. მესამე ელემენტად, მისი აზრით უნდა მივიჩნიოთ ქმედუნარიანობა. ამ შეხედულების ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ავტორი უმართებულოდ აიგივებს სამართლებრივი სტატუსის ცნებას სამართალსუბიექტობის ცნებასთან. ფაქტობრივად ხდება მთელის გაიგივება ნაწილთან, იმიტომ, რომ თავის მხრივ სამართლებრივი სტატუსი უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მსგავსად სამართალსუბიექტობის ერთ-ერთ ელემენტად გვევლინება.

არ შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ სამართალსუბიექტობის შესახებ ი. ვებერსის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც.<sup>11</sup> იგი თვლის, რომ საშოქალაქო სამართალში სუბიექტთა უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა სამართალსუბიექტობის წინამძღვრებია, ვინაიდან ავტორი არ ხსნის თვით სამართალსუბიექტობის შინაარსს, ასეთი განმარტება ფაქტობრივად არაფრის ნიშნავს. თუ უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა სამართალსუბიექტობის ზოგადი წინამძღვრებია, მაშინ ღიად რჩება საკითხი, თუ საკუთრივ რა შინაარსის მატარებელია თვით სამართალსუბიექტობა.

სამართალსუბიექტობა ყველაზე სრულყოფილად ახსნილი აქვს ა. ვენედიქტოვს. მისი აზრით, სამართალსუბიექტობის ცნება სამართლის სხვადასხვა დარგსა და მათ ინსტიტუტში ერთნაირი შინაარსის მატარებელი არ არის და სახეს იცვლის სამართლის სხვადასხვა დარგებში<sup>12</sup>.

სწორად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ა. ვენედიქტოვის ის მოსაზრება, რომ სამართალსუბიექტობის ცნება სამართლის სხვადასხვა დარგსა და ინსტიტუტში ერთნაირი შინაარსის მატარებელი არ არის. მას თავისი სპეციფიკა აქვს. უფრო

<sup>10</sup> Бегичев Б. К. Об ограничении гражданской и трудовой дееспособностью граждан, «Советское государство и право», 1966, № 8, с. 124—127, То же трудовая правоспособность советских граждан, М., Юридическая литература, 1972, с. 244.

<sup>11</sup> Веберс Я. Р. Правосубъектность граждан в советском гражданском и семейном праве, «Зинатне», Рига, с. 10—38.

<sup>12</sup> Венедиктов А. В. О субъектах социалистических правоотношений «Советское государство и право», 1955, № 6, с. 20.

შემდგომ სამართალსუბიექტობის შესახებ ავტორი ზოგჯერ ანვითარებს მცდარ აზრს. ასე მაგალითად, ორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციული სამართალსუბიექტობის არსებით ნიშნად. ა. ვენედიქტოვი მიიჩნევს ქონებრივ განკერძოებას, და მართლაც თუ ორგანიზაცია სარგებლობს, მას ნამდვილად უნდა შეჰქონდეს ქონებრივი განკერძოებადობა, როგორც ქონებრივ ისე ორგანიზაციულ ურთიერთობებში, მაგრამ თუ ორგანიზაცია გამოდის ადმინისტრაციული გამოყოფა. ამასთან მათ მიეითითოთ თავიანთი ამოცანები, ფუნქციები, აგრეთვე მათ მიერ ორგანიზაციულ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Собачк А. А. Хозрасчет и правосубъектность, «Советское государство и право», 1981, № 2, с. 78.

მეტეც, სამართალსუბიექტობის ცნება უნივერსალური კატეგორიაა. თავის მხრივ სამართალსუბიექტობა ზოგადი გვარობითი ცნებაა, რომელსაც აქვს საერთო ნიშნები, სამართლის ყველა დარგისა და ინსტიტუტისათვის, მაგრამ სამართალსუბიექტობას, როგორც გვარობით ცნებას შეესაბამება — სამართალსუბიექტობის სახელობითი ცნებები, რაც თავის მხრივ სხვადასხვა შინაარსის მატარებელია სამართლის ყველა დარგებისათვის და ინსტიტუტებისათვის. ასე, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალ-სუბიექტობის თავისებურება (სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით) არის არა აბსტრაქტული შესაძლებლობა, იყოს უფლებებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სხვა ნიშნების მატარებელი, არამედ უშუალოდ კანონიდან გამომდინარე და კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების კონკრეტულად დადგენილი ურთიერთობისა, რომლითაც აღჭურვილია შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტი<sup>13</sup>.

მოქალაქე ანუ ფიზიკური პირი შეიძლება ჩაითვალოს სამართლის უნივერსალურ სუბიექტად, რომელიც თითქმის სამართლის ყველა დარგის სუბიექტად გვევლინება. მოქალაქის სამართალსუბიექტობა სამართლის ყველა დარგისათვის შეიცავს საერთო ნიშნებს, ელემენტებს: უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა, ასაკობრივი ცენზი და სხვ. სამართლის სხვადასხვა დარგში მოქალაქის, როგორც სუბიექტის, მონაწილეობა განსაზღვრავს მის სამართალსუბიექტობას კონკრეტული სამართლის დარგის თავისებურების გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში მას შეიძლება დაემატოს ისეთი ელემენტები, როგორიც არის მეურვეობა, მზრუნველობა, წარმომადგენლობა, რაც შეეხება სამოქალაქო სამართლებრივ სუბიექტობას, ან უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის ელემენტებს დაემატება ერთი ძირითადი ელემენტი — კომპონენტი, მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი. სამოქალაქო სამართალში ამ სამი ძირითადი ელემენტიდან ერთ-ერთის გამოკლება იწვევს ნებისმიერი სამართლებრივი დარგისათვის მოქალაქის არასამართალსუბიექტობას.

უფლებაუნარიანობის საკითხი საბჭოთა ცივილურ ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი და მასზე აღარ შევჩერდებით. სამოქალაქო სამართალში შედარებით შეუსწავლელია ქმედუნარიანობის პრობლემა და მასთან დაკავშირებული მოქალაქის ასაკობრივი ცენზის საკითხი, იგი კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, როგორც სამართალსუბიექტობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ელემენტი. აღსანიშნავია, რომ სამართლის სხვადასხვა დარგებში მოქალაქეთა ქმედუნარიანობა არ არის დაკავშირებული სუბიექტის ერთიან ასაკობრივ ცენზთან.

შრომის სამართალში, როგორც საერთო წესი, დადგენილია 16 წელი, როგორც შრომის ხელშეკრულების დადების, წანამძღვარი (გამონაკლისია სამუშაო პირობებში). სისხლის სამართლის ნორმებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენენ 16 წლის ასაკიდან (თუ არ ჩავთვლით იმ შემთხ-

<sup>13</sup> Александров Н. Г. Законность и правоотношения в советском обществе, М., 1955, с. 138.

ვეგებს, როდესაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 14 ან 18 წლის ასაკიდან). საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა სრულუფლებიან სუბიექტად მიიჩნევს პირს, თუ იგი 18 წლისა შესრულდა. სახელმწიფო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში მოქალაქე მონაწილეობს თითქმის ყველა ურთიერთობებში 18 წლის ასაკიდან. ამ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში პირი, რომელსაც 15 წელი არ შეუსრულდა, საერთოდ მოკლებულია შესაძლებლობას დადოს რაიმე გარიგება (თუ არ ჩავთვლით წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებებს) დამოუკიდებლად. 15-დან 18 წლის ასაკამდე მოქალაქის ქმედუნარიანობა ასაკის გამო შეზღუდულია. პირი თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე გარიგებას დებს მშობლის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით. მათივე შუამდგომლობის საფუძველზე თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე პირს შეიძლება ჩამოერთვას ხელფასის ან სტიპენდიის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-14 მუხლით. კანონმდებელი აქაც სუბიექტის სრულ დამოკიდებულებას უკავშირებს 18 წლის ასაკს, ანუ სრულწლოვანების მიღწევას. დროის ასეთი დაკავშირება შემთხვევითი არ არის.

კანონმდებელი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ანუ მიაღწია სრულწლოვან ასაკს, აქვს ცხოვრებისეული გამოცდილება, მომწიფებულია როგორც სოციალურად, ასევე ბიოლოგიურად და ამ მიზეზით კანონმდებელი 18 წლის ასაკს სამართლებრივი ურთიერთობების უნივერსალურ ასაკად მიიჩნევს. იმ პირის სამართალსუბიექტობა, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, შეიძლება ჩავთვალოთ კვაზისამართალსუბიექტობად, ან ნაწილობრივ სამართალსუბიექტობად. ფაქტობრივად ასეთი პირი სამართალსუბიექტობას მაინც მოკლებულია. მიგვაჩნია, რომ ამჟამად დადგენილი სამართლის ასაკობრივი ზღვრები სამართლებრივ სისტემაში სუბიექტურად არის დადგენილი, ობიექტური ასაკობრივი ცენზი კი სრულწლოვანების მიღწევის პერიოდია (ანუ დღეისათვის 18 წლის ასაკი). სრულწლოვანება უზრუნველყოფს მოქალაქის სამართალსუბიექტობას, ჯამიტომ მოქალაქის ასაკობრივი ცენზი სამართალსუბიექტობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი საკანონმდებლო სისტემის უკანასკნელი წლების ტენდენციას (და ამის ნათელი ილუსტრაციაა თვით 1977 წლის კონსტიტუცია), ადვილად შევამჩნევთ მოქალაქეთა ქმედუნარიანობის ასაკის შემცირებას. თვით დღეს მოქმედი კანონმდებლობაც გამონაკლის შემთხვევებში ფაქტობრივად უშვებს მოქალაქის უნარს სრულწლოვანი ასაკის მიუღწევლად სარგებლობდეს სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობით. ამ უფლებით სარგებლობენ პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით შეუმცირდათ საქორწინო ასაკი. ფაქტობრივად სსრ კავშირში შეიძლება სრულ სამოქალაქო სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობდეს პირი, რომელიც მიაღწევს 16 წლის ასაკს (მაგალითად, შუა აზიის ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, სადაც დადგენილია უფრო დაბალი საქორწინო ასაკი).

ასეთი დიფერენციაცია ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ-კულტურული და სოციალური განვითარების დროს გამართლებული არ არის. მართლაც პარადოქსულია, რომ პირს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, მუშაობს 16 წლიდან, მაგრამ სასაქონლო ფულადი ურთიერთობის სრული სუბიექტი არ არის, ვიდრე არ იქნება რეგისტრირებული ქორწინებაში.

სამართლიანი იქნება სამოქალაქო და საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში მოქალაქის სრული ქმედუნარიანობა დაგვეკავშირებინა 16 წლის ასაკთან. აგრეთვე მართლზომიერად მიგვაჩნია, სამოქალაქო სამართალში არსებული ნაწილობრივი ან არასრული ქმედუნარიანობის ასაკი განგვესაზღვრა 14-დან 16 წლამდე ასაკით და ამის საფუძველზე დაგვესკვნა, რომ მოქალაქის სამართალსუბიექტობის კატეგორია სამოქალაქო და საოჯახო სამართალში პირდაპირ კავშირშია ასაკობრივ ცენზთან, რომელიც 16 წლის ასაკით უნდა განისაზღვროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოქალაქის, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის, სამართალსუბიექტობა განისაზღვრება 16 წელს მიღწეული მოქალაქის სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებითაც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული ინსტიტუტებით და ნორმებით, აგრეთვე იმ ქცევის წესებით, რომლებითაც მოქალაქე პოტენციურად აღჭურვილია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას და თუ ეს ურთიერთობები არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითად საწყისებს. ე. ი. სამართალსუბიექტობის შინაარსი საბჭოთა სამოქალაქო სამართალში განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმით: ა) მოქალაქის ასაკით; ბ) სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობით; გ) უფლებაუნარიანობით და ქმედუნარიანობით.

სტატიაში წამოჭრილი საკითხების პრაქტიკული გადაჭრა ხელს შეუწყობს საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობის საკითხების სრულყოფას.



# **სამართალდარღვევის აღკვეთა პროფტექნიკური**

## **განათლების სასწავლებლებში:**

### **მანოკრსივალეზული ღონისძიებები, აქოსანები, პროგნოზები**

ს. რიგვაპს

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში სამართალდარღვევა მიჩნეულია საშიშ ანომალიად და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი საქმიანობის ცენტრალურ საკითხად ითვლება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო განზე დგას ახალგაზრდა შემეცნების წყაროსაგან, საზოგადოებრივი საქმიანობისაგან, რაც უფრო სუსტად აქვს მას განვითარებული საზოგადოებრივი შეგნება, მით უფრო სერიოზულია მისი სამართალდარღვევის სოციალური მნიშვნელობა. დიდი ხნის გამოცდილება ამტკიცებს, რომ სასწავლებელში მართლწესრიგის მდგომარეობა პირდაპირ არის დამოკიდებული სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესთან.

ამასთან, სამართალდარღვევების განმსაზღვრელია არა მარტო ამა თუ იმ პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის დონე, არამედ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი მექანიზმიც, რომლის ნაწილსაც სასწავლებლის საქმიანობა წარმოადგენს. დღეს უკვე შეიძლება ლაპარაკი ასეთ მექანიზმზე, ანუ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის რესპუბლიკაში შექმნილი ურთიერთმოქმედი ძალების სისტემის შესახებ.

1980 წელთან შედარებით 1981 წელს სამართალდარღვევათა რიცხვი ჩვენთან საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 1982 წელი კიდევ უფრო უკეთესად დაგამთავრეთ. შემცირების ტენდენცია შენარჩუნებულია დღესაც. 1982 წელს მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან სამართალდამრღვევთა რიცხვმა შეადგინა 0,4 პროცენტი, 1983 წელს კი 0,3 პროცენტსაც არ აღწევდა. სამართალდარღვევების გარეშე ამჟამად მუშაობს 58 სასწავლებელი.

მომხვეჭელობა და ნივით გატაცება იწვევს ისეთი სახის დანაშაულებებს, როგორც არის ქურდობა, ძარცვა, ავტოსაშუალებათა გატაცება, რასაც შემდეგ პიროვნების განადგურებამდე მივყავართ. ეს აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, როგორც პრობლემა, რომელიც საჭიროებს საზოგადოების საგანგებო ყურადღებას.

როგორია იმ ურთიერთმოქმედი ძალების სისტემა, რომლებიც აქტიურ გავლენას ახდენენ საქართველოს პროფტექნიკურ სასწავლებლებში მართლწესრიგის მდგომარეობაზე და უზრუნველყოფენ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სამართალდარღვევათა შემცირებას?

ამ სისტემის ხელმძღვანელი რგოლია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საკოორდინაციო ჯგუფი და სამართალდარღვე-

გების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, აგრეთვე შესაბამისი კომისიები, რომლებიც შექმნილია განყოფილებებთან. მის შემადგენლობაში შედის საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეც.

სისტემატურად, ყოველი წლის დასაწყისში მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე იმართება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მიმდინარე წელს ასეთი კრება გაიმართა დევიზით: „მართლწესრიგის დაცვა პარტიული, სახელმწიფო საქმეა, საყოველთაო საზრუნავია“. აქტივის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა მოწმდება და განიხილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შემაჯამებელ ყოველთვიურ თათბირებზე.

პროფტექსასწავლებლებში სამართალდარღვევათა პრობლემას ცენტრალური კომიტეტი კომპლექსურად, სისტემის განვითარების, სწავლებისა და აღზრდის ხარისხის საერთო ანალიზის საფუძველზე წყვეტს. ამის თვალაჩინო მაგალითია ცენტრალური კომიტეტის წევრთა რეგულარული სტუმრობა პროფტექსასწავლებლებში, იმ მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენა, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყვიტონ პარტიულმა ორგანოებმა ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე პროფტექსანათლების სახელმწიფო კომიტეტი რეგულარულად აბარებს ანგარიშს ცენტრალურ კომიტეტს, რაც უზრუნველყოფს მუშაობის სისტემურობას და მკიდრო ურთიერთკავშირს, დიდ პასუხისმგებლობას ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესასრულებლად.

პროფტექსანათლების სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეებისა და ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები. სახელმწიფო კომიტეტი, თავის მხრივ, მინისტრთა საბჭოს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სამართალდარღვევათა ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე რეაგირების შესახებ.

**სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობას უზრუნველყოფს პროფტექსანათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის რგოლებთან აუცილებელი კონტაქტებისა და ურთიერთკავშირის სისტემა.**

სამუშაო ორგანოს ფუნქციას აქ ასრულებს სახელმწიფო კომიტეტთან შექმნილი დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის ბრძოლის საკოორდინაციო კომისია, რომელიც 1979 წელს შეიქმნა. სსრ კავშირის პროფტექსანათლების სახელმწიფო კომიტეტის 1983 წლის № 22 ბრძანების საფუძველზე მისი ფუნქციები გაფართოვდა.

სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, კომისია მუშაობს შემუშავებული და დამტკიცებული დებულების საფუძველზე, თანახმად წლიური და კვარტალური გეგმებისა. ანალოგიური კომისიები შექმნილია პროფტექსანათლების ზონალურ და საქალაქო სამმართველოებთან, რომლებსაც სათავეში უდგანან ამ ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელები.

დღის სწავლების ყველა სასწავლებელში ამ სასწავლო დაწესებულებათა დირექტორების მეთაურობით შექმნილია სამართალდარღვევათა პროფილაქტი-



კის საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ დირექციის, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას, აგრეთვე ამყარებენ კონტაქტებს მიკრორაიონის სხვა ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო კომიტეტში შექმნილია სამართალდარღვევათა და მათზე ოპერატიული რეაგირების აღრიცხვის სისტემა. სადღეღამისო ინფორმაცია უშუალოდ მოდის შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობის ან ტელეფონოგრაფიის სახით. მოგვარებულია აგრეთვე ქვევიდან — სასწავლებლიდან ინფორმაციის მიღების საკითხი.

აპარატის მუშაკები მუდმივად მორიგეობენ საღამოს საათებში, დასვენების დღეებში, უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის სრულ ინფორმირებას საქმის მდგომარეობის შესახებ.

ყოველ ორშაბათს აპარატის მუშაკთა გაფართოებულ თათბირებზე კითხულობენ ინფორმაციას სამართალდარღვევათა შესახებ, თვეში ერთხელ კოლეგია განიხილავს სამართალდარღვევების ფაქტებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს — თვის, კვარტალის, ნახევარი წლის შედეგების მიხედვით.

სამართალდარღვევების საკითხებზე ოპერატიულ მუშაობას მუდმივად ეწევა ახლახან სასწავლო-აღმზრდელობით სამმართველოსთან შექმნილი მეთოდკაბინეტის 2-3 მუშაკი.

რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგს განსაზღვრავს არა მარტო სრულფასოვანი სტრუქტურა, არამედ ყველა რგოლის აქტიური ურთიერთმოქმედება, მუშაობის კოორდინაცია ყველა დონეზე.

პირველადი რგოლი, რომელთანაც ჩვენ უნდა გვეკონდეს კონტაქტი, არის, სკოლა, ვინაიდან დამნაშავეებთან ბრძოლა არსებითად შეუძლებელია საერთო კონტინგენტისა და საერთო პასუხისმგებლობის გაუთვალისწინებლად. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სკოლა ყოველთვის არ გამოდის თანამებრძოლის როლში. ამ მოვლენის სათავე კი ის არის, რომ სკოლას ზოგიერთი მოსწავლე მისი ჩამოყალიბების პროცესში მხედველობის არიდან გამოჩნდება და შემდეგ ცდილობს ამ „უიღბლო მოსწავლისაგან“ გათავისუფლდეს თუმცა, როგორც ეს კეთილ ოჯახებშია მიღებული, „უიღბლო“, ბავშვებს, როგორც ავადმყოფებს, მეურვეობენ და საზრუნავად სხვებს არ ანდობენ. შესანიშნავი დახასიათებები, რომლებსაც აძლევენ ძნელად აღსაზრდელ, ე. წ. „ხელიდან წასულ“ მოსწავლეებს, კიდევ ერთი უკეთური ნაბიჯია, რომელიც ამწვავებს მათს ბედს.

პარტიის ქ. თბილისის გლდანის რაიკომმა მიაგნო პრობლემის ფესვს და იბოვა სწორი გზა ამ მიმართებით სკოლისა და პროფტექსასწავლებლების მუშაობის გაერთიანებისათვის. რაიონში შექმნილია სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების დირექტორების სადისკუსიო კლუბი, რომლის საქმიანობაც უკვე გამოვიდა რთულ პრობლემაზე დისკუსიის ჩარჩოებიდან და დღეს შეიძლება ეწოდოს აღმზრდელობითი დაწესებულებების ხელმძღვანელთა თანამეგობრობა. კლუბის სხდომები, შეხვედრები ეწყობა სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების ბაზაზე. სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების დირექტორთა პირადი კონტაქტები ქმნის არა მარტო საქმიან, არამედ ერთმანეთის

წინაშე პირადი მორალური ვალდებულებების ატმოსფეროსაც. ამ რაიონის პროფტექსასწავლებლების დაკომპლექტება რეაკლასდამთავრებულებით წარმატებით ხორციელდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სკოლების მხრივ დახმარებას. სასწავლებელი წინასწარ არის ინფორმირებული ძნელად აღსაზრდელი მოსწავლის შესახებ, რომელიც მაშინვე აპყავთ აღრიცხვაზე. სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების ერთობლივი კლასგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიებანი მოსწავლეს არ აძლევს საშუალებას უცხოდ იგრძნოს თავი სკოლის კოლექტივისაგან — გრძელდება აღზრდის ერთიანი პროცესი ყოველგვარი ავადმყოფური განხეთქილების გარეშე.

ასეთსავე ერთიანობას ვალწევთ ჩვენ არა მარტო სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში, არამედ მათზე რეაგირებაშიც. ზესტაფონის რაიონში მოხდა დრამატული შემთხვევა: პროფტექსასწავლებლის მოსწავლემ მოკლა მამა. ამ სამართალდარღვევის მიზეზის დასადგენად მოწყობილმა კომპლექსურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა თვალი მიგვედევნებინა მოზარდის გზისათვის დანაშაულამდე, გზისათვის, რომელზეც არც ოჯახმა, არც სკოლამ, არც პროფტექსასწავლებელმა, არც კომკავშირმა არ შექმნეს ბარიერი. და აი, მას ემსხვერპლა 9 წლის განმავლობაში უზნეო მამისაგან გატანჯული, დედისაგან მკვლელობისათვის წაქეზებული მოზარდი, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა სკოლას, მაგრამ ვერ პოვა თანაგრძნობა, ბოლოს, სასწავლებელს, მაგრამ აქაც არ გამოუჩენიათ მის მიმართ დიდი ყურადღება. საკითხი შესწავლის შემდეგ განხილულ იქნა ყველა ზემოთ აღნიშნულ რგოლში, კომკავშირის რაიონის პლენუმის დონეზე, მაგრამ უკვე დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

ტრადიციულ ფორმად იქცა სახელმწიფო კომიტეტში შეხვედრები საბაზო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, საუბრები მათთან ყველა საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია მომავალი მუშების აღზრდასთან, მათ შორის — სამართალდარღვევების პროფილაქტიკაზე, მოსწავლეთა დასვენების ერთობლივ ორგანიზაციაზე. შემთხვევითი არ არის, რომ საავიაციო ქარხნის მუშაკთა სპორტულ ზეიმზე „მამა, დედა, მე — სპორტული ოჯახი“, როგორც ქარხნის დიდი ოჯახის წევრები, მოწვეული იყვნენ საბაზო სასწავლებლების მოსწავლეებიც. თვით დამრიგებლობის შინაარსი, რომელსაც ახორციელებენ საბაზო საწარმოები, შეიცავს სამართალდარღვევების თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. საავიაციო ქარხნის დამრიგებლები წინასწარ სწავლობენ მოსწავლეთა დახასიათებებს, ანაწილებენ მათ ბრიგადების მიხედვით, ძნელად აღსაზრდელები აპყავთ აღრიცხვაზე და, ბოლოს, მომავალ აღსაზრდელებს პირადად ხედებიან ქარხანაში, უკვე შეიარაღებულნი გამოკვეთილი პედაგოგიური ამოცანებით.

სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს კომკავშირისა და პროფტექსანათლების სისტემის ურთიერთკავშირი. კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში ფუნქციონირებს პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებთან მუშაობის მუდმივმოქმედი კომისიები. პროფტექსანათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით ეწყობა ტრადიციული რესპუბლიკური ორთვიურები. ქ. გორში გაიმართა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომა პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. ბიუროს გაფარ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.

ოიხუტულ სხდომაზე მოწვეული იყვნენ იუსტიციის მინისტრი, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგე, უნივერსიტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სკოლების მასწავლებლები, განათლების განყოფილების მუშაკები. სასარგებლო იყო სემინარი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, რომელიც საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტმა ჩაატარეს კომკავშირულ ქალაქ ბორის ბნელაძეში საწარმოო სწავლების ახალგაზრდა ოსტატთათვის. ამ რამდენიმე ხნის წინ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის აქტიური მონაწილეობით ჩატარდა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორთა რესპუბლიკური სემინარი.

ოპერატიული მდგომარეობის შეფასებებსა და ანალიზს, ერთობლივი ქმედითი ღონისძიებების შემუშავებას ეძღვნება პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი გამსვლელი გაფართოებული კოლეგიები, ამ კოლეგიების სამუშაო ჯგუფთა სასწავლებლების დირექტორები და მათი მოადგილეები, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სამართალმცოდნეობის მასწავლებლები, საბაზო საწარმოების წარმომადგენლები, სასამართლოს, პროკურატურის მუშაკები. ამ კოლეგიების საქმიანობა ფართოდ შექცდება პრესის, ტელევიზიის, რადიოს საშუალებით.

კოლეგიის შემდეგ სასწავლებლებში იმართება პედსაბჭოების გაფართოებული სხდომები, სადაც მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები სასწავლებლის მასშტაბით. შემსრულებლობითი ფუნქციები სასწავლებელში დაკისრებული აქვთ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებს, რომელთა ხელმძღვანელობით მოქმედებენ ოპერატიული რაზმები — „ნორჩი ძეგყინსკელი“ კლუბები — „კანონი და კანონიერება“, ტარდება ლექციები, დისპუტები, რეიდები. სწავლული იურისტები, სამართალდამცველი ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ეცნობიან სამართალმცოდნეობის კურსის სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა ცოდნას, სასწავლებლებში აწყობენ სამართლის პროპაგანდის კვირეულებს. სამართალმცოდნეობის მასწავლებლები კვალიფიკაციას იმაღლებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუდმივმოქმედ კურსებზე.

ჩვენ ვცდილობთ, „სამართალმცოდნეობის საფუძვლების“ კურსს სასწავლებლებში კითხულობდნენ შინაგან საქმეთა ორგანიზაციის, პროკურატურის და სასამართლო მუშაკები. ამას ბევრი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, იურისტმა უკეთ იცის ქალაქის, რაიონის ოპერატიული მდგომარეობა, სწავლებისას შეუძლია გამოიყენოს ახალ-ახალი კონკრეტული ფაქტები და მაგალითები; მეორე, მოსწავლეთან ურთიერთობის პროცესში შეუძლია შექმნას ატმოსფერო, რომელიც თავიდან აგვაცილებდა მოსწავლეთა მოუფიქრებელ საქციელს, მოსწავლეთა წაქეზებას რეციდივისტებისაგან. და, ბოლოს ამ კატეგორიის მუშაკების პედაგოგიზაციასაც დიდი სარგებლობა მოაქვს. შემთხვევითი არ არის, რომ აგვისტოს პედაგოგიურ კონფერენციაში როგორც დიდი პედაგოგიური საბჭოს წევრები და ძირითადი მომხსენებლები ყოველთვის არიან შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანიზაციების მუშაკები.

გასაგებია, რომ ყველა ამ ორგანოს ურთიერთმოქმედების ვითარებაში პროფტექჯანათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის როლი განსაკუთრებით პასუხსაგებია: იგი უნდა იყოს მთელი მექანიზმის გული, შემოქმედებითი იდეების გენერატორი, საუკეთესო გამოცდილების აღმომჩენი და პრობანდისტი. სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მრავალმხრივი სისტემა თხოულობს ამ ორგანოს მობილიზებას. აი, რატომ იქცა კოლეგიის გამსვლელი სხდომები მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფორმად და საშუალებად.

ძველი მალაიური ზღაპარი გვიამბობს, რომ ადამიანის მიერ გადარჩენილმა გველმა მისი დაგესლვა მოინდომა. „ქვეყანაზე არსებობს ბოროტების კანონი“, ამტკიცებდა გველი და ამ სიტყვებით ამართლებდა თავის უმადურობას. კუმ კი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქვეყანაზე სიკეთის კანონმა უნდა იზემოს, ადამიანი იხსნა გველისაგან, თუმცა თავად დამალვა ამჯობინა, რადგანაც დარწმუნებული არ იყო, რომ კაცი არ შეჭამდა მას — კუს ხორცი ხომ ძალიან გემრიელია...

სიკეთეს კაცი მხოლოდ სიკეთით უპასუხებს. სამწუხაროდ, ჩვენ ზოგჯერ არ გვეოფნის საამისო ძალა. ლაპარაკია არა მარტო კეთილ სიტყვაზე, არამედ იმ აქტიურ სიკეთეზე, რომელსაც შეიცავს პატიოსანი, შემოქმედებითი აღმზრდელობითი თვალსაზრისით სრულფასოვანი მუშაობა აღსაზრდელებთან. სწორედ ასეთი მუშაობა აღკვეთავს ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს, სამართალდარღვევებს.

პროფტექნიკური სასწავლებლების კოლექტივები და პედაგოგები სამართალდარღვევათა სრული ლიკვიდაციის იმედებს ამყარებენ მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ქუთაისის № 4 პროფტექსასწავლებელში მუშაობს საწარმოო სწავლების ოსტატი ს. ხვედელიძე, რომელმაც გაიმარჯვა „საუკეთესო საწარმოო სწავლების ოსტატის“ სახელის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში. იგი საქართველოს პროფტექჯანათლების სახელმწიფო კომიტეტმა დააჯილდოვა 1982-83 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით. პროფტექსასწავლებელში მუშაობის 23 წლის მანძილზე მის ჯგუფებში არ ყოფილა სამართალდარღვევის არც ერთი შემთხვევა. აქ საქმე არაიდბლიანობა და შემთხვევითი გამართლება, კი არ არის, არამედ კოლოსალური, პედაგოგიური სინდისით ნაკარნახევი შრომა. ამის დამადასტურებლად მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიხმობ: მუშაობის მთელი ამ წლების განმავლობაში თავისი აღსაზრდელები არც დღისით და არც საღამოს საათებში, არც კრებებსა თუ ლექციებზე არასოდეს დაუტოვებია მას მარტო. სწავლების პროცესი თუ მის შემდეგ მოსწავლეებთან გულითადი ურთიერთობა ოსტატს აღზრდის ყველაზე კეთილსაიმედო ვაკვეთილებად მიაჩნია. ამიტომაც არ გაგვეკვირვებია, რომ თხზულება უფროს მეგობარზე მისმა ერთ-ერთმა აღსაზრდელმა სწორედ თავის ოსტატს მიუძღვნა. რუსთავის № 3 პროფტექსასწავლებელმა, რომელიც, მიუხედავად სერიოზული ძვრებისა, დღესაც განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია, მოძებნა ერთადერთი სწორი გზა — სასწავლებელი გადააქცია მოსწავლეთა ინტერესების ცენტრად. კლასგარეშე ღონისძიებანი აქ გააზრებულად ეწყობა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ ზეიმზე გაიმართა კონკურსები საწარმოო სწავლებასა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, სადაც გათვალისწინებული იყო გართობის ბევრი ელემენტი,

ამასთან, საღამოს გასართობ ნაწილს — ცეკვებს, სიმღერებს — ახალგაზრდებისათვის არ ჰქონდა უპირატესობა შემეცნებით გართობასთან შედარებით, რადგანაც ფიზიკოს ე. გ. სპექტორისა და ფილოლოგ ვ. კ. მოსოვას ჯგუფებში მოსწავლეები შეეჩვივნენ გააზრებულ, გონივრულ დასვენებას, რომლებიც მოსწავლეებისაგან მოითხოვს დროს, ძალ-ღონეს, ენერჯიას „ამიტომაც იგი გამიჯნულია მათი ტყუილუბრალო დროსტარებისაგან.

ასეთივე არა ფორმალური, არამედ ყოველი მოსწავლისათვის გამიზნული ღონისძიებების პრინციპით იყო მოწყობილი სასწავლებლის მიერ მომზადებული საღამო, სადაც მოსწავლეები მიესალმნენ საბაზო საწარმოს ვეტერანს ნიკოლოზ როდომანჩენკოს — გამოკვეთილი მუშური ბედის მქონე კაცს. ამასთან, ამ ღონისძიებას წინ უძღოდა ეტაპი — მოსწავლეები არაერთხელ (თანაც სხვადასხვა შემადგენლობით) იყვნენ მუშის სახლში, გაეცნენ ოჯახურ რელიკვიებს, რომლებიც ასახავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მთელ ეპოქას, მუშის ბიოგრაფიას. სწორედ აქედან გამომდინარე ფაქტებს ეყრდნობოდნენ ისინი თხზულებების წერისას, გამოცხადდა ჯგუფების კედლის გაზეთების კონკურსი როდომანჩენკოს — პროფტექსასწავლებლის აღზრდილის, მუშის, დეპუტატის, დამრიგებლის შესახებ. ასე რომ, საღამოზე ახალგაზრდები შეხვდნენ კაცს, რომელიც უკვე ახლობელი იყო მათთვის, ღირსი მიბაძვისა, რაც თვითონ ჰქონდათ შეგნებული, და არა ტრიბუნიდან, უცხო ორატორის სიტყვებით მოსმენილი.

პიროვნებას დიდი მოთხოვნა შეიძლება წამოეყენოთ მხოლოდ იქ, სადაც იქმნება პირობები ამ პიროვნების ფორმირებისათვის, სხვანაირად არც უნდა გავიაზროთ აღზრდა. თბილისის № 36 პროფტექსასწავლებელში იმდენი წრე და სექცია მუშაობს, რომ მოსწავლეთა 80 პროცენტი იკმაყოფილებს თავის ინტერესებს. ამ სასწავლებლის სპარტაკიადებში, მხატვრულ თუ საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობის მასობრიობა და წარმატებები ქმნის შემოქმედებითს სულს, კოლექტივის დარაზმულობას, ყოველ პედაგოგსა და მოსწავლეს უნერგავს სწრაფვას შინაგანი სრულყოფისადმი.

ტყიბულის № 19 პროფტექსასწავლებელში ხშირად ეწყობა მხარეთმცოდნეობის შესწავლის მიზნით ექსკურსიები, რომელთა მომზადებაშიც მთავარი ორგანიზაციული როლი ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებს ეკისრებათ.

მარტყოფის № 115 პროფტექსასწავლებელში შექმნილია რესპუბლიკური ტექნიკის სახლის ფილიალი, სადაც წრეები მუშაობენ თვითმმართველობის საფუძველზე. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ გამოცდილებას, რათა იგი ეფექტიანად განავითარონ სხვა სასწავლებლებში.

აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ ერთმანეთს უნდა შეეწრყას მრავალფეროვანი ამოცანები: პროფესიის სიყვარულის ჩაწერვა, ამის საფუძველზე — თეორიული და პრაქტიკული ცოდნისადმი ინტერესის განვითარება, შემდეგ — სურვილის აღძვრა, რომ გამოიყენონ ეს ცოდნა და შესაძლებლობა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, და, ბოლოს, ამ საერთო საქმეში კოლექტივის დარაზმვა, ამით კი — ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეების გამიჯვნა არაჯანსაღი ინტერესებისაგან.

აღზრდის პრობლემის ასეთი კომპლექსური გადაწყვეტის სანიმუშო მაგალითს ჩვენ ვხედავთ თბილისის № 18 პროფტექსასწავლებლის მუშაობაში, რომლის მოსწავლეებიც შეეჭიდნენ ყველაზე კეთილშობილ, პატრიოტულ საქმეს — ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციას. ამასთან,

ისინი ამ პროფესიულ საქმიანობას ისეთ მაღალ დონეზე ეწევიან, რომ არქეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებმა ეს სამუშაო „ფრიაღზე“ შეაფასეს. რესპუბლიკის მეცნიერებმა კი სწორედ ჩვენს მოსწავლეებს, და არა სტუდენტ-არქეოლოგებს მიანდეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ისტორიული რელიკვიის, ქ. თბილისის ნარიყალას ციხესიმაგრის რესტავრაცია. ჩვენმა მოსწავლეებმა ააღორძინეს ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი — შიო მღვიმის მონასტერი, რომელიც წარსულში იყო ხულიგნებისა და დამნაშავე ელემენტების აღთქმული ადგილი. დღეს ამ მოზარდთა შორის ყველაზე ძნელად აღსაზრდელიც კი, რომელმაც იცის შემოქმედების ფასი, ვერ გახდება მისი დამანგრეველი, რადგანაც მას უკვე შეგნებული აქვს თითოეული ქვის, ყველაზე პატარა ბაზილიკის ფასი. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელია ადვილად შეეღიოს თავისი შრომის ნაყოფს.

**სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ მასობრივ რიტუალურ, სასწავლო-აღმზრდელი მონაკვეთებს, ტრადიციულ დღესასწაულებს.** მოსწავლეთა შეკრებები, მუშად კურთხევის საღამოები, ცოდნის დღესასწაული, პირველი შრომითი ხელფასის საზეიმო გადაცემა — ყველაფერი ეს ხელს უწყობს იმის შეგნებას, თუ რა საპატიო და პასუხსაგებია მუშის წოდება, მათს ქცევაში აყალიბებს განსაკუთრებულ ზნეობრივ ვალდებულებებს.

მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ოლიმპიადები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ჩაბმას კლასგარეშე მუშაობაში, აგრეთვე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობს მოსწავლეთა კონტინენტის მესამედი. გასულ სასწავლო წელს პირველ რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე სამეცნიერო თუ პროფესიული ცოდნის სხვადასხვა დარგში მოსწავლეებმა წარმოადგინეს 2.400 მოხსენება. ეს ნიშნავს ათობით წაკითხულ წიგნს, სტატისას, ათობით საათ წრებრივ და ინდივიდუალურ კვლევის სამუშაოს, დღეებს და კვირებს, გონივრულად გატარებულ დროს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ მას განსახილველი პრობლემის პოზიციებიდან მივუდევებით.

კლასგარეშე მუშაობის აქტივიზაციის საფუძველზე ჩვენ მივალწიეთ პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა აბსოლუტურ მონაწილეობას გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმში, რუსული ენისადმი ინტერესის გაზრდას. ზეიმი, რომელიც ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაიმართა თბილისში, გააღამაზა ტრიბუნის ილუსტრაციულმა ფონმა. ის შესანიშნავი სანახაობა კი, რომელსაც გარკვეული იდეური დატვირთვა ჰქონდა, თბილისელებსა და მათ სტუმრებს უძღვნეს თბილისის პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებმა. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ათობით ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეს ვარჯიშებისა თუ რეპეტიციების დროს, მკაცრი სპორტული და შემოქმედებითი დისციპლინის გამო, ამაღლებულ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობის პირობებში მოუხნა და, რაც მთავარია, მათ განიცადეს მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობები ამ ამაღლევებელი ზეიმის წუთებში.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების უმეტესობა, 93,7 პროცენტი ხდება არასასწავლო დროს, თანაც მათ ის მოზარდები სჩადიან, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებში, ეს მოითხოვს, რომ ყურადღება მიექცეს მოზარდების საცხოვრებელ ადგილას მუშაობის ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმებს, მათ შორის მშობლების მუშაობასაც.

ქ. თბილისის ლენინის რაიონში ასეთ მუშაობას უზნებსა და მიკრორაიონებში სათავეში უდგას ეგრეთ წოდებული სამკუთხედები: პროფტექსასწავლების კომკავშირის კომიტეტი, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის პედაგოგ-ორგანიზატორი, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი. გათვალისწინებულია ისიც, რომ ყველაზე ძნელადაღსაზრდელი მოსწავლეების მიზიდვის საშუალებაა სპორტი, ამიტომაც შექმნილია სპორტული კლუბები, რომლებიც დიდად პოპულარულია. № 6 საბავშვო უბნის ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია ორი ტექნიკური სასწავლებელი, ახალგაზრდებისათვის გახსნილია საფეხბურთო კლუბი, რომლის ხშირი სტუმარია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ გუცაევი, ხოლო № 75 პროფტექსასწავლების კალათბურთელთა კლუბს კი მეურვეობს ცნობილი კალათბურთელი ზ. საკანდელიძე, მან თვითონ შექმნა სასწავლებელში რამდენიმე გუნდი, სადაც ბევრი ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეა.

მოსკოვის პროსპექტზე კეთილ საქმეს აკეთებს — ამწვანებს ბულვარებს, ეზოებს „მარია ფილიპოვნას ბრიგადა“, როგორც უწოდებენ პენსიონერ მ. ფ. ლონმანოვას ხელქვეითებს. ამ გვარდიაში პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებიც არიან. ახალ მიკრორაიონში — ვაზისუბანში, შექმნილია ოპერატიული რაზმი. ყოველდღიურ პატრულს საღამოს საათებში სათავეში უდგას თადარიგის პოლკოვნიკი გ. ლ. კლიმენკო.

გლდანისა და საქარხნო რაიონებში შექმნილია მშობელთა ლექტორიუგები, სახელმწიფო კომიტეტის საკოორდინაციო კომისია აწყობს გამსვლელ სწდომებს იმ პროფტექსასწავლებლებში, სადაც ყველაზე მეტი სამართალდარღვევებია. ამ სწდომებზე იწვევენ მშობლებსაც. № 110 პროფტექსასწავლებელში შექმნილია მშობელთა უნივერსიტეტი.

ბევრი კარგი ჩანაფიქრი, ეფექტიანი ღონისძიება და ენერჯია იკარგება ხშირად პედაგოგთა ინერტულობისა და ცალკეული სასწავლებლების ხელმძღვანელთა არაკვალიფიციურობის გამო. ამჟამად ჩვენი კურსია პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელობის განმტკიცება და კოლექტივების გაჯანსაღება. გულდასმით ვეზადებით ღირექტორების ატესტაციისათვის.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ ჭეშმარიტებით, რომ უფლება გვაქვს მოზარდისაგან მოვითხოვოთ იმდენი, რამდენსაც მოვითხოვდით საკუთარ თავს. ამიტომ ვეკიდებით მთელი სიმკაცრით ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრივ გამოვლენილ უპასუხისმგებლობას, ფინანსური დისციპლინის დარღვევის, გამოძალგის ფაქტებს. ისინი მოვხსენით თანამდებობიდან და მივეციტ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ჩვენ ვთვლით, რომ სასწავლებლის პედაგოგლექტივები უნდა დაკომპლექტდეს იმ ადამიანებით, რომლებმაც გაიარეს პროფტექსაგანათლების სისტემაში შრომითი ფორმირების სკოლა. ასეთ პერსპექტივად კი გვესახება თბილისში ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის ბაზაზე საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნა. ჩვენთან ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისის № 6 პროფტექსასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი. მისი შემადგენლობა სანიმუშოა: 40 საწარმოო სწავლების ოსტატიდან 26 პროფტექსასწავლებლის კურსდამთავრებულია, მათ შორის 20 — ამავე სასწავლებლისა (ერთ-ერთი მათგანი კი ყოფილი ძნელად აღსაზრდელია, რომელსაც კარგად ესმის თითოეული მოზარდისათვის ბრძოლის ფასი).

ვლახარაკობთ რა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შედეგიანობის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და გადაუჭრელი პრობლემაა, რომელთა დაუძლეველად ვერ შევძლებთ დასახული მიზნების განხორციელებას.

ჩვენ ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ თითოეული გაკვეთილის, თითოეული მეცადინეობის აღმზრდელობით მნიშვნელობას; სწორედ აქა გვაქვს ხშირად დიდი დანაკარგები ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებზე პედაგოგიური ზემოქმედების თვალთახედვით.

აღზრდის პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული ყოფა-ცხოვრების პირობებთან. სამწუხაროდ, არც ისე ბევრი საერთო საცხოვრებელი აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ახალგაზრდობის აღზრდის ნამდვილი კერა, საიდანაც სადამობოთი არ მოგინდებოდა წასვლა. ამ მიზეზით არის გამოწვეული ის, რომ მიუხედავად საერთო საცხოვრებლებით სრული უზრუნველყოფისა, ყველა ჩამოსული არ ცხოვრობს იქ — ბევრი ქირაობს თოხას საერთო საცხოვრებლის ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რასაც მათი პირადი ცხოვრების უკონტროლობამდე მივყავართ. ასევე სრულად ვერ ვიყენებთ სამხედრო ხელმძღვანელებს. როგორც მადისციპლინირებელ რგოლს. შეცდომაა, როცა გვგონია, რომ ქცევის განსაკუთრებული ნორმები დაცული უნდა იქნეს მხოლოდ დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებზე. ყოველი გაკვეთილი უნდა ექვემდებარებოდეს დისციპლინის გამომუშავებას საერთოდ. ეს დიდ სამსახურს გაუწევს მოზარდს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ექსტრემალურ სიტუაციებში. ჩვენთან კი ისეთი მადისციპლინირებელი მომენტი, როგორც არის დილის ხაზი, ეწყობა სამხედრო ხელმძღვანელების ჩარევისა და სამუშაო დღის ამ საორგანიზაციო მომენტში მკაცრი რეჟიმული ელემენტების შეტანის გარეშე. ამას კი კავშირი აქვს მართლწესრიგის დარღვევასთან. მართლწესრიგის დარღვევა ხომ წესრიგის დარღვევით იწყება.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ შემრიგებლური დამოკიდებულება სასწავლებლებში სრულფასოვანი სპორტული ბაზების უქონლობისადმი. მთელი სისრულით არ ხდება არსებული სპორტული ობიექტების გამოყენებაც. არადა, სპორტული მეცადინეობა ხომ გვაძლევს საშუალებას, კომპლექსურად გადავწყვიტოთ როგორც ახალგაზრდების ფიზიკური განვითარების, მათი შრომისა და არმიაში სამსახურისათვის მომზადების, ასევე დასვენების იმ ფორმის ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც მეტნაკლებად მიიზიდავს მოზარდებს, თანაც, როგორც წესი, ყველა ძნელად აღსაზრდელს.

მოსწავლეების ძირითადი მასა ჯერ კიდევ არ არის გატაცებული ტექნიკური და მხატვრული შემოქმედებით. წრეების დიდი რაოდენობა ყოველთვის როდია პროფტექნასწავლებლის წარმატებით მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაჩვენებელი, ვინაიდან ხშირად წრეებისა და სექციების საქმიანობის შინაარსი არ შეიცავს დიდ აღმზრდელობით აზრს, რომელსაც გვთავაზობს დღეს კლასგარეშე მუშაობა.





# **სასურსათო პროგრამის განხორციელების ზოგადი სამართლებრივი ასპექტი**

## **თ. ლილუაშვილი**

1. სოციალისტური საზოგადოება, რომელიც მთლიანად გამორიცხავს წარმოების სტიქიურ მოწესრიგებას, ანარქიასა და კონკურენციას, წარმოშობს სამართლებრივი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ გარდაუვალობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალიზმის პირობებში, ესე იგი ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფო საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეა, მეურნეობის გეგმაზომიერი და მიზანდასახული წარმართვა სამართლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია. საბჭოთა სამართალში, მის ცალკეულ ნორმებში ასახულია სკკპ პოლიტიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროში, რომელსაც ეს ნორმა ან ნორმათა ერთობლიობა აწესრიგებს. პარტიის პოლიტიკა ასახულია, მაგალითად, ისეთ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ აქტში, როგორც არის სსრ კავშირის 1990 წლამდე სასურსათო პროგრამა, რომელიც მოიწონა 1982 წლის მაისის პლენუმმა. ამავე პოლიტიკის განხორციელებას ემსახურება აგრეთვე 1982 წლის მაისის დადგენილება „პროდუქციის წარმოების ზრდითა და ხარისხის გაუმჯობესებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“<sup>1</sup> და მრავალი სხვა დადგენილება.

ისეთი ღონისძიებებიც კი, რომლებსაც, ერთი შეხედვით, არა აქვთ უშუალო კავშირი სამართალთან, როგორც არის, მაგალითად, მიწების გავარგისება მათი შემდგომი გამოყენებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა, ნიადაგის დაცვა წყლისმიერი და ჰაერისმიერი ეროზიისა და დაჭაობებისაგან, სამართლებრივი ნორმების მეშვეობით რეგულირდება. მაგრამ სამართალმა რომ შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია — ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, საჭიროა მთელი რიგი პირობები, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, ძირითადია ორი: 1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მოქმედი ნორმების დასაბუთებულობა როგორც ეკონომიკური, ისე იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით და 2. მიღებული ნორმატიული აქტების (კანონების, დადგენილებების, განკარგულებების და ა. შ.) განუხრელი განხორციელება. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2. სამართალი, როგორც ცნობილია, განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით. ეს სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით

<sup>1</sup> სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა და მისი რეალიზაციის ღონისძიებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მასალები. თბ., 1982, გვ. 32 და 117.

არავითარ დავას არ იწვევს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორები თვითონ სთავაზობენ კანონმდებელს კანონების მზამზარეულ ვარიანტებს. ეს ფაქტორები მოითხოვენ კანონმდებლისაგან განახორციელოს გარკვეული ღონისძიებანი, შეიმუშაოს ნორმატიული აქტი, მაგრამ თუ რანაირი ღონისძიება უნდა დაისახოს, რანაირი ნორმატიული აქტი იქნება ყველაზე უფრო ოპტიმალური, — ეს კანონმდებელმა, თვითონ სამართალშემოქმედებითმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს.

აი, სწორედ ნორმატიული აქტის შემუშავების პროცესში წამოიჭრება მთელი რიგი სიძნელეები, რომლებიც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო თუ ხელისუფლების სხვა ორგანოებს არ მოეპოვებათ სრული ინფორმაცია იმისათვის, რომ წინასწარ ზუსტად და შეუცდომლად განჭვრიტონ ნორმატიული აქტის ეფექტიანობა. საქმე ის არის, რომ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ძალზე რთულია, რაც, თავის მხრივ, აძნელებს ამ პირობების ამომწურავ შესწავლასა და განზოგადებას.

ამიტომ არის, რომ მიმართავენ ექსპერიმენტს, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც.

ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაში, ექსპერიმენტი, თუ იგი მიზანდასახულად და წინასწარ მოფიქრებული გეგმით ხორციელდება საშუალებას გვაძლევს ზუსტად და შეუცდომლად განვსაზღვროთ საჭირო გარდაქმნების შინაარსი და ხასიათი, მივიღოთ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება. ამავე დროს, ექსპერიმენტით დადასტურებული დადებითი შედეგები რომ ფართოდ გავრცელდეს და დასანერგავად სავალდებულო გახდეს. აუცილებელია მათი სამართლებრივი საშუალებებით განმტკიცება. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ექსპერიმენტის შედეგების განზოგადებაში სხვა შესაბამის სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერი იურისტებიც.

თავისთავად ცხადია, რომ ექსპერიმენტის განზოგადებისას და შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ექსპერიმენტის უკლებლივ ყველა კომპონენტი, უკლებლივ ყველა ასპექტი — გამონაკლისის გარეშე. უამისოდ ექსპერიმენტი ვერ მოგვცემს სრულყოფილ ეფექტს.

საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ აბაშის ექსპერიმენტი.

აბაშის ექსპერიმენტი ფაქტობრივად და ფორმალურადაც დაიწყო ერთი მეტად საჭირობოროტო საკითხის მოსაგვარებლად: როგორ და რა საშუალებით უზრუნველგვეყო გლეხობის ფართო შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ მეურნეობაში.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი: გლეხობის საზოგადოებრივ მეურნეობაში ფართო შრომითი მონაწილეობის პრობლემა ყოველთვის იღვა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. ერთ დროს ამ საკითხის გადასაჭრელად გლეხებს შეუშვებდათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. ამით ფიქრობდნენ, რომ ისინი იძულებული გახდებოდნენ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ მეურნეობებში. მოლოდინი არ გამართლდა. პირიქით, მას მოჰყვა ისეთი უარყოფითი შედეგი, როგორც არის სოფლის მოსახლეობის მასობრივი გადასვლა ქალაქებში სამუშაოდ და საცხოვრებლად. ასე წარმოიშვა მეორე, არანაკლებ სერიოზული პრობლემა, რომლის პრაქტიკული გადაწყვეტა ახლაც

ხერხდება. როგორც 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ, მხოლოდ ახლა დაიწყო ქალაქში სოფლის მოსახლეობის წასვლის შემცირების ტენდენცია, რაც „დიდი ხნის ნანატრი პროცესია“<sup>2</sup>.

აბაშელების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ უარყვეს იძულების მეტოდი და სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში ფართო შრომითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გამოიყენეს ეკონომიკური წახალისების ფორმა. საყოველთაოდ ცნობილია აბაშელების მეთოდის არსი: გლეხს დამატებითი ანაზღაურების სახით ეძლეოდა 10 პროცენტი გეგმის შესრულებისათვის და 70 პროცენტი ზეგეგმითი მოსავლიდან, ისიც ნატურით<sup>3</sup>.

სხვათა შორის, გარკვეული ცვლილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა მოიწონა აბაშის ექსპერიმენტის ეს ნაწილი. ამრიგად, აბაშის ექსპერიმენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი და ყველაზე საინტერესო ასპექტი ის არის, რომ მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ეკონომიკური წახალისების უდიდესი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით.

სამწუხაროდ, თანდათანობით აბაშის ექსპერიმენტის ამ ასპექტმა, კერძოდ წახალისებისა და მატერიალური დაინტერესების მეთოდმა ვერ პოვა სრული მხარდაჭერა და ვერც ყველა რაიონში მოხერხდა მისი სრულყოფილი დანერგვა. ამან კი გარკვეულად შეასუსტა მის მიმართ ინტერესი.

ბუნებრივია, იბადება საკვებით კანონზომიერი კითხვა: რა არის ამის ნამდვილი მიზეზი, რამ გამოიწვია ასეთი ვითარება?

რაკი ეკონომიკური სტიმულირება ძირითადად ზეგეგმითი მოსავლიდან პროცენტობით განისაზღვრება, სხვანაირად რომ ვთქვათ, რაკი გლეხი თავისი შრომის ანაზღაურებას ელოდება უმთავრესად ზეგეგმითი მოსავლიდან გარკვეული პროცენტის მიღებით, ბუნებრივია, ისმის უაღრესად სერიოზული და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი: ვინ განსაზღვრავს ამ გეგმას? ვინ და რა წესით დაუდგენს გლეხს, რომ მასზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე მიღებული უნდა იქნეს ამდენი და ამდენი ტონა მარცვლეული, ყურძენი თუ სხვა სახის პროდუქცია?

საქმე ის არის, რომ გლეხმა თითქმის აბსოლუტური სიზუსტით იცის, თუ რამდენ ტონა პროდუქციას მიიღებს ამინდის ხელსაყრელ პირობებში ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. ამიტომ ცხადია: თუ გეგმა ისეა შედგენილი, რომ გლეხს აღარ რჩება ზეგეგმითი მოსავლის მიღების შანსი, მაშინ იგი აღარ მიიღებს აქტიურ შრომითს მონაწილეობას საზოგადოებრივ მეურნეობაში.

სწორედ გეგმების გარკვეულად გაზრდა და ამის გამო ზეგეგმითი მოსავლის მიღების შანსის შემცირება წარმოადგენს აბაშის ექსპერიმენტისადმი ინტერესის შესუსტების ერთ-ერთ მიზეზს. როგორც ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით უფრო ეფექტიანი იქნება, თუ გლეხს დამატებითი ანაზღაურების სახით ნატურით მიეცემა არა ზეგეგმითი, არამედ მის მიერ მოწეული საერთო მოსავლის გარკვეული ნაწილი.

როგორც აღვნიშნეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა

<sup>2</sup> იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1984, 24 ოქტომბერი.

<sup>3</sup> ვ. მგელაძე, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა. თბ., 1982, გვ. 25.

მოიწონა ნატურით ანაზღაურების პრინციპი. საქართველოში ეს პრინციპი ინერგება მევენახეობისა და მეციტრუსეობის რაიონებშიც.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მესიმიანდობის რაიონის გლეხობას და, კერძოდ, აბაშელ კოლმეურნეს შეუძლია სიმიანი საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდოს; ხოლო სიმიანდის საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო შესყიდვის ფასებისაგან. ყურძნისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის ბაზარზე გაყიდვის უფლება კი გლეხს გარკვეულად შეზღუდული აქვს.

ამავე დროს, საბაზრო ფასებს ეკონომიკური სტიმულირების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი უცილობლად არის ჩართული ეკონომიკური სტიმულირების ფაქტორთა კომპლექსში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ინტერესები მოითხოვს, რომ დადებითი გამოცდილების თუ ექსპერიმენტის შედეგების დაწერვისას ზუსტად და სრულად იქნეს გააზრებული და გათვალისწინებული ამ ექსპერიმენტის უკლებლივ ყველა კომპონენტი, მისი უკლებლივ ყველა ასპექტი. რახან მატერიალური დაინტერესება, წახალისების მეთოდი, წარმოადგენს ადამიანების ქცევაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას, ეს მეთოდი უდავოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ ბოლო დროს კი გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა არა მატერიალური წახალისების ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, არამედ მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მხარეს: უქმდება ერთი და მის ნაცვლად იქმნება ახალი ორგანო, რამდენიმე ორგანოს შერწყმის საფუძველზე ყალიბდება მართვის ერთიანი ორგანო და ა. შ.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მხარეს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა არა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამასთან ერთად არ უნდა შევასუსტოთ ყურადღება ადამიანების ქცევაზე მოტივაციური ზემოქმედების ყველაზე ეფექტიანი საშუალებებისა და ფორმების მიმართ.

3. როგორც აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ სამართალმა ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას; საჭიროა არამარტო დასაბუთებული და ყოველმხრივ მოფიქრებული ნორმატიული აქტის შემუშავება, არამედ მისი განუხრელი განხორციელება.

როგორი მდგომარეობა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მოქმედი კანონებისა თუ დადგენილებების რეალიზაციის საქმეში?

შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. გვაქვს შესანიშნავად შემუშავებული საკანონმდებლო აქტები, მაგრამ მათი განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდება, ხოლო ზოგჯერ საქმე გვაქვს აშკარა დამახინჯებებთან.

საილუსტრაციოდ ავიღოთ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საკითხებს აწესრიგებენ. ამასთან დაკავშირებით ბოლო წლებში როგორც საერთო-საკავშირო, ისე ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით მიღებულია მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება. საკმარისია დავასახელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის ერთობლივი დადგენილება „კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სოფლის მეურ-

ნეობის პროდუქციის შესყიდვის მოწესრიგების შესახებ“, აგრეთვე 1981 წლის 16 აპრილის დადგენილება „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ და მრავალი სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი პირად დამხმარე მეურნეობაში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი და რა მნიშვნელობა ენიჭება მას სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ცნობილია ისიც, რომ პირად დამხმარე მეურნეობებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ცალკეული რაიონის სოფლის მეურნეობის დამზადების გეგმის შემუშავება იმ ანგარიშით ხდება, რომ ამ პროდუქციის ნაწილს მოსახლეობისაგან შეისყიდონ. ამიტომ, თუ ეს პროდუქცია ან მისი ნაწილი მოსახლეობისაგან არ იქნა შესყიდული, გეგმის შესრულებას სრულიად რეალური საფრთხე ექმნება ან საერთოდ ვერ შესრულდება.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობისაგან ზოგიერთი სახის პროდუქციის შესყიდვის საქმეში არა გვაქვს სრული წესრიგი.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მოსახლეობისაგან პროდუქციის შესყიდვა და, მაშასადამე, გეგმების შესრულება, ბევრი რაიონის აღმასკომს გამოაქვს განკარგულება ამ რაიონის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის პროდუქციის გატანის აკრძალვის შესახებ, რასაც აგრეთვე თან მოსდევს რაიონის საზღვრებთან ხერგილების მოწყობა და ავტომანქანით იქ გამვლელ მოქალაქეთა შემოწმების საკმაოდ შეურაცხყოფელი პროცედურა. ყველა სხვა გაცილებით უფრო მაღალი რანგის კანონებს რომ დავანებოთ თავი, ასეთი განკარგულება ეწინააღმდეგება ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედ იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც კრძალავს არა რაიონის, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების მიზნით გატანას.

იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ამ ურთიერთობის სამართლებრივი და, მაშასადამე, უფრო გონივრულ საწყისებზე მოწესრიგება?

ჩვენი აზრით, ეს არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი გარემოება: ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავ აღვადგინოთ მოსახლეობასთან კონტრაქტაციის ხელშეკრულების დანების პრაქტიკაო.

მართლაც, 50-იან წლებამდე ჩვენში მოქმედებდა კონტრაქტაციის ხელშეკრულება, რომელიც იდებოდა, ერთი მხრივ, კოლმეურნე გლეხსა და, მეორე მხრივ, დამამზადებელ ორგანიზაციას შორის. ასეთი წესი შემდეგ რატომღაც გაუქმდა და დღეს კონტრაქტაციის ხელშეკრულება მხოლოდ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის შეიძლება დაიდოს.

ამჟამად სსრ კავშირში მოქმედებს მოსახლეობისაგან ზოგიერთი სახის პროდუქციის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებები, მაგრამ ასეთი ხელშეკრულებები არა გვაქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციაზე, როგორც არის ყურძენი, მსხალი, დაფნა, ციტრუსები და ა. შ.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებების შემუშავება და მათი საკანონმდებლო წესით განმტკიცება წესრიგსა და ორგანიზებულობას შეიტანდა ამ უაღრესად მნიშვნელოვან და მეტად სათუთ ურთიერთობებში, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემდა მიგველო არა მარტო სასურველი ეკონომიკური ეფექტი, არამედ ძალიან დიდი ეფექტი იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოსახლეობასთან საზოგადოებრივი მეურნეობების კოოპერირების შემდგომ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობასთან კოოპერაცია კვლავ უნდა განვითარდეს. მთავარია, რომ ნამეტი პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებანი დაიდოს ყოველ კომლთან, რათა ამ სფეროს უკეთ და უფრო გეგმაზომიერად ვმართავდეთ<sup>4</sup>.

პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს მითითება ყველგან ერთნაირად არ ხორციელდება. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებები იდება ფორმალურად, არის ხოლმე ტიპობრივი ხელშეკრულებებიდან არსებითი გადახვევის შემთხვევებიც. მაგალითად, ზოგიერთ რაიონში შემოღებულ ტიპობრივი ხელშეკრულებების თანახმად, „თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე მოქალაქე დაუშვებს პროდუქციისა და პირუტყვის საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდვას, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანას, ან სხვა დამამზადებლისათვის მიყიდვას და თავს არიდებს მის შესრულებას, კომლს შეუმცირდება (ჩამოერთმევა) მიწის ნაკვეთი მეურნეობის მიერ დადგენილი ოდენობით“.

მიწის ნაკვეთი კოლმეურნე გლეხს და სოფლად მომუშავე სხვა კატეგორიის მშრომელებს გადაცემული აქვთ არა ხელშეკრულებით, არამედ სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. ამავე საკანონმდებლო აქტებით არის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის თუ შემცირების საფუძველები. ცხადია, ხელშეკრულებას არ შეუძლია შეცვალოს კანონმდებლობა და დაადგინოს მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის ან შემცირების ახალი საფუძველები. მთავარია ისიც, რომ მიწა არ შეიძლება საერთოდ ხელშეკრულების თუ სხვა სახის გარიგების ობიექტი იყოს.

ვხვდებით აგრეთვე სხვა სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ აუცილებელია მოსახლეობისაგან სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისათვის ერთგვაროვანი ტიპობრივი ხელშეკრულებების შემუშავება.

<sup>4</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1984, 8 აპრილი.



# ზოგიერთი მოსაზრება სისხლის სამართლის სახელმძღვანელობის სკულპოზისათვის

ა. წიკლაური

საბჭოთა სისხლის სამართალში მიღებულია, რომ სისხლისსამართლებრივი სანქცია არ უნდა იყოს აბსოლუტურად განსაზღვრული, თორემ სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას მოახდინოს სასჯელის დიფერენციალური კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. იგი ვერ შეძლებს გამოიყენოს სამართალში მიცემულის მიმართ სასჯელის ის ზომა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შესაბამეობა სასჯელის დანიშვნის პრინციპებსა და მიზანს. სასურველი არ არის აგრეთვე ეგრეთ წოდებული ცალმხრივ განსაზღვრული სანქციები, ანუ ისეთები, რომლებიც ადგენენ სასჯელის ან მხოლოდ მინიმალურ, ან მხოლოდ მაქსიმალურ ზღვარს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში სანქციების უმრავლესობა იყო ან აბსოლუტურად განსაზღვრული, ან აბსოლუტურად განუსაზღვრელი. სხვადასხვა დეკრეტები და დებულებები ადგენდნენ, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ითვლებოდა სისხლის სამართლის წესით დასჯადად<sup>1</sup>. სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა კი მთლიანად დამოკიდებული იყო მოსამართლის შეხედულებაზე, რომელსაც განაჩენის გამოტანის დროს რევოლუციური სინდისითა და სოციალისტური მართლშეგნებით უნდა ეხელმძღვანელო.

1919 წლის „რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებმა“ შემოიტანა ე. წ. განუსაზღვრელი განაჩენის ცნება. ამ კანონის 25-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა შეიძლებოდა მიესაჯათ როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით, გარკვეული მოვლენის დადგომამდე<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ ასეთი ხასიათის განაჩენები მალე აიკრძალა.

ეს იყო ხანა, როდესაც საბჭოთა სისხლის სამართალი საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული. მაშინ მეცნიერთა ერთ ნაწილს სასჯელთა განუსაზღვრელობა — ანუ სამართალში მიცემულთა ბედის მთლიანად პროლეტარული სამართლოს შეხედულებისამებრ გადაწყვეტა მიაჩნდა იმ დადებით ნიშნად, რომლითაც თითქოსდა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსხვავდებოდა ბურჟუაზიული ანუ ექსპლოატატორული სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან<sup>3</sup>.

უკიდურესობას წარმოადგენს როგორც აბსოლუტურად განსაზღვრული, ისე

<sup>1</sup> ლ. სურგულაძე, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია, (1921-1922წლ.), „მეცნიერება“ 1979 წ. გვ. 31; Н. Д. Дурманов, Советский уголовный закон, МУ, 1967, с. 125.

<sup>2</sup> Руднев М. А. Неопределенные приговоры. — Вестник советской юстиции. М., 1926, № 20(78), с. 793—794.

<sup>3</sup> Уголовное право, [История юридической науки, М., «Наука», 1978, с. 208.

აბსოლუტურად განუსაზღვრელი სანქცია. საბოლოოდ, სისხლის სამართლის სანქციის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა შეფარდებით განსაზღვრული სანქცია. სწორედ ამ პოზიციასზე დადგა პირველივე საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც რუსეთის სფს რესპუბლიკამ მიიღო 1922 წელს.

მოკავშირე რესპუბლიკების ოცინი წლების სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულებს ყოფდნენ ორ კატეგორიად. პირველში შედიოდა ის დანაშაულები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ (საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი). ამ კატეგორიის დანაშაულებისათვის კანონმდებელი აწესებდა სასჯელის მხოლოდ მინიმალურ ზომას და არ განსაზღვრავდა მის მაქსიმუმს, მეორეში შეტანილი იყო ყველა სხვა დანაშაული და მათთვის კანონმდებელი კონკრეტულ მუხლებში განსაზღვრავდა სასჯელის მაქსიმალურ ზღვარს. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის აწესებდა თავისუფლების აღკვეთას მკაცრი იზოლაციით 10 წლამდე ვადით. სანქციითა ასეთი ფორმულირების მიუხედავად, ისინი მაინც შეფარდებით იყვნენ განსაზღვრული.

მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში არსებობდა ზოგადი მუხლი, რომელიც აწესებდა თავისუფლების აღკვეთის საერთო ვადას — ერთი თვიდან ათ წლამდე. ამ ვითარებაში იქმნებოდა სასჯელის განსაზღვრის დიდი ინტერვალი და მოსამართლეს ფართო შესაძლებლობა ჰქონდა სასჯელის როგორც გამკაცრების, ისე შემსუბუქებისათვის.

მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სანქციის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად მიჩნეულია შეფარდებით განსაზღვრული სანქცია. ოღონდ სასჯელის განსაზღვრის ამპლიტუდა შეზღუდულია. დრომ დაამტკიცა, რომ მომავალშიც მათი სრულყოფა და დახვეწა უნდა განხორციელდეს სანქციაში ალტერნატიული სასჯელების შეტანით და თვით სასჯელთა შიგნით დიფერენციაციის გზით<sup>4</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, თითქოს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საერთოდ აღარ გვხვდება აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები<sup>5</sup>.

ეს მთლად ასე არ არის. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში გვხვდება რამდენიმე მუხლი, რომელთა სანქციები, აშკარა თუ ლატენტური ფორმით, აბსოლუტურად არიან განსაზღვრული<sup>6</sup>.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საკითხი სანქციის განსაზღვრულობის ხარისხის შესახებ მთელი თავისი სიმწვავეით დგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს სამართალდარღვევის სიმძიმის,

<sup>4</sup> О. Э. Лейст, Санкции в советском уголовном праве, М., 1962, с. 191.

<sup>5</sup> См. курс советского уголовного права, М., 1970, т. 1, с. 177, т. III, с. 17. О. Э. Лейст, Санкции в советском уголовном праве, М., 1962, с. 190.

<sup>6</sup> См. Курс советского уголовного права, Л., 1968, с. 187. მ. გ. უგრეხელიძე, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, „საბჭოთა სამართალი“, 1978 წ., № 4. თ. კ. გამყრელიძე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის და საკანონმდებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი“, 1978 წ., № 6.





დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მისი ბრალის ხარისხის აუცილებელ გათვალისწინებას განაჩენის გამოტანის დროს.

სანქცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლოს გაითვალისწინოს ამა თუ იმ განსახილველი ქმედობის ყველა გარემოება და ბრალდებულის ინდივიდუალური თავისებურებანი ინდივიდუალიზაციის პრინციპის განუზრვლად განხორციელება განაჩენის გამოტანის და სასჯელის დანიშვნის დროს, წარმოადგენს საბჭოთა სასამართლოს არა მარტო უფლებას, არამედ მოვალეობას<sup>7</sup>. აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია კი გამორიცხავს სოციალისტური მართლმსაჯულების პრინციპის განხორციელების შესაძლებლობას.

განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 209<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, „მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით, ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში სიკვდილით“.

პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის დაწესდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით „მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. შემდეგში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებში შეიტანა ნორმა, რომელიც გაძლიერებულად იცავს მილიციის მუშაკისა და სახალხო რაზმელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ღირსებას.

ერთი შეხედვით, 209<sup>1</sup> მუხლში თითქოს ყველაფერი რიგზეა — შემადგენლობა დიფერენცირებულია ჩადენილი ქმედობის სიმძიმის მიხედვით. ძირითადი შემადგენლობის სანქციაში გვაქვს ალტერნატიული სასჯელი, ორივე სახის სასჯელი შეფარდებით განსაზღვრულია. მუხლს გააჩნია მაკვალიფიცირებელი გარემოებაც — ამ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებაში. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედობის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენისას კანონმდებელმა გაითვალისწინა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა, თანაც აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის სახით<sup>8</sup>.

209<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი, რომელიც მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის პირობებში ისჯება სიკვდილით. დამამძიმებელ გარემოებებზე 209<sup>1</sup> მუხლის კვალიფიცირურ ნაწილში შეიძლება მიჩნეული იქნეს 104-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებები, გარდა 104-ე

7 См. Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тб., 1975, с. 93.

<sup>8</sup> როგორც რუსურ 1926 წლის, ასევე საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსებმა მაქსიმალურად შეამცირეს სიკვდილით დასჯის გამოყენების სფერო. არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სასჯელის ერთადერთ სახედ, ხოლო მოგვიანებით იყო პერიოდი, როდესაც ჩვენმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ საერთოდ უარი თქვა სასჯელის ამ სახეზე.

მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული გარემოებისა<sup>9</sup>.

სანქციის ასეთი სახით ჩამოყალიბება არ უნდა იყოს სწორი. თუ თვალს გადავაგლებთ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ ყველაზე მძიმე სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულებსაც კი არ ახლავს ამგვარად კონსტრუირებული სანქციები.

შესაძლებელია ერთი შეხედვით შეიქმნას წარმოდგენა, თითქოს ამ მდგომარეობიდან არსებობდეს გამოსავალი. 209<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედობაზე, როდესაც იგი დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი, შეიძლება გავრცელდეს 54-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისა და სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ, მაგრამ ეს დაუშვებელია კოდექსის 209<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულის მიმართ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამ წინააღმდეგობას წყვეტს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44<sup>1</sup> მუხლი. 209<sup>1</sup> მუხლზე, დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას ვრცელდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში აღნიშნული შეღავათი. მაგრამ აქ უკვე სხვა მთავარი დაბრკოლების წინაშე აღმოვჩნდებით<sup>10</sup>. შექმნილი მდგომარეობის ნათლად წარმოსადგენად. გავიხსენოთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლას დისპოზიციის ერთი ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ“. 209<sup>1</sup>-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედობა კი აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის წყალობით ისჯება მხოლოდ სიკვდილით. ამიტომ ყოველგვარი აზრი ეკარგება 209<sup>1</sup>-ე მუხლის ჩართვას 54-ე მუხლის ჩამონათვალში<sup>11</sup>. 209-ე მუხლის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში, 54-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათი მხოლოდ მაშინ შეიძლება გავრცელდეს, როდესაც 45-ე მუხლის ძალით სიკვდილით დასჯა შეიცვლება სხვა სახის სასჯელით.

გაცილებით უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდება სასამართლო, როდესაც 209<sup>1</sup>-ე მუხლის კვალიფიციური შემადგენლობის სუბიექტი იქნება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება დაუშვებელია.

ერთი სიტყვით, 209<sup>1</sup> მუხლის პრაქტიკაში გამოყენების დროს სასამართლო შეხვდება დიდ სიძნელეებს, ამიტომ იგი აუცილებლად საჭიროებს დახვეწას, დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლში, რომლის სანქციის ბოლო ნაწილი 209<sup>1</sup>-ე მუხლის სანქციის ანალოგიურია.

<sup>9</sup> См. Комментарий к Уголовному кодексу РСФСР под ред. Ю. Д. Северины, М., «Ю. Л.», 1980, с. 370.

მ. გ. უგრეხელიძე, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, „საბჭოთა სამართალი“, 1978 წ., № 4.

<sup>10</sup> იხ. ო. კ. გამყრელიძის დასახელებული სტატია, გვ. 60.

<sup>11</sup> იხ. ო. კ. გამყრელიძის დასახელებული სტატია, გვ. 62.

3. „საბჭოთა სამართალი“, № 5.

როგორც უკვე ითქვა, სანქციის განსაზღვრულობის ხარისხის საკითხი წამოიჭრება სასჯელის დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლი კი საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ამ მოთხოვნის ცხოვრებაში გატარების მაინცდამაინც ფართო შესაძლებლობას არ იძლევა.

ეს მუხლი აერთიანებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების თითქმის ყველა შემთხვევას, მიუხედავად გატაცების ხერხისა, რაც ასევე არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. იგი აგებულია ხელყოფილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ოდენობის ნიშანზე და უგულვებელყოფს სასჯელთა პროპორციულობის პრინციპს დანაშაულის ჩადენის ხერხისა და სუბიექტის გათვალისწინებით. ამ აზრის საილუსტრაციოდ შევადაროთ ერთმანეთს სანქციები, რომელთაც შეიცავენ 91-ე მუხლი — „ქურდობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით“ და 96-ე მუხლი — „ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით“. ქურდობა „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ასიდან ხუთას მანეთამდე“, ხოლო ყაჩაღობა „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე“, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. 96<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით კი ყაჩაღობასა და ქურდობის ხერხებს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია, რადგან ორივე ამ ხერხით ქონების დატაცება ერთი სანქციის ფარგლებშია მოქცეული.

ამ მუხლის მეორე ხარვეზი ის არის, რომ მისი სანქცია აბსოლუტურად განსაზღვრულია იმ შემთხვევისათვის, როდესაც დისპოზიციაში აღწერილ ქმედობას ჩაიდენს არასრულწლოვანი. ამ მუხლის სანქციით გათვალისწინებული ძირითადი სასჯელის თავისუფლების აღკვეთის ვადა ათიდან თხუთმეტ წლამდეა განსაზღვრული.

„საფუძვლების“ 23-ე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში კი ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წელიწადს. მაშ, როგორ მოიქცეს მოსამართლე, მას ხომ 96<sup>1</sup>-ე მუხლით 10 წელზე ნაკლების მისჯა არ შეუძლია (თუ არ გამოიყენა 45-ე მუხლი)?

ჩვენი აზრით არ არის მიზანშეწონილი არასრულწლოვანთა მიმართ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის, მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 93<sup>1</sup>-ე მუხლით შესაბამისი დანაშაულისათვის სასჯელის მინიმალური ზღვარი არის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლის სანქციის მინიმალური ზღვარის შემცირება, თუკი ეს განხორციელდება, კიდევ ერთი მაგალითი იქნება იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ ერთმანეთის დადებითი საკანონმდებლო გამოცდილების გაზიარება.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია დაწესებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ეს მუხლი ითვალისწინებს გასახლებულის თვითნებურად დაბრუნებას საცხოვრებლად აკრძალულ ადგილებში. ყველა შემთხვევაში ეს დანაშაული ისჯება გასახლების დარჩენილი ვადის გადასახლებით შეცვლით. ეს

კი უნდა მივიჩნიოთ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელების ხელშეშლელ გარემოებად. მართალია, დარჩენილი ვადა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ეს არ გულისხმობს განაჩენის გამოტანის დროს ბრალის ხარისხის გათვალისწინების შესაძლებლობას, პირიქით, ადასტურებს სასჯელის განსაზღვრის შეზღუდულ ფარგლებს. ამ კოდექსის 26-ე მუხლში ნათქვამია, რომ გასახლება შეიძლება დაენიშნოს პირს, როგორც ძირითადი ისე დამატებითი სასჯელის სახით 2-დან 5 წლამდე. ასევე, გადასახლების ვადები რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრულია 2-დან 5 წლამდე ინტერვალით, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც 187-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედობის სუბიექტს დარჩა გასახლების ვადა 2 წელიწადზე ნაკლები? (გადასახლების მინიმალური ზღვარი ხომ 2 წელიწადია). რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტატორთა აზრით, ასეთ შემთხვევაში დაიშვება 2 წელიწადზე ნაკლები ვადით გადასახლება 187 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში<sup>12</sup>.

დამნაშავისათვის გასახლების დარჩენილი ვადის გადასახლებით მექანიკური შეცვლით სასამართლოს აღარა აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს თითოეული კონკრეტული შემთხვევის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, პირის საზოგადოებრივი საშიშროება და მისი ბრალის ხარისხი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 179 მუხლში, მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილით, თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით და სხვა.

ანალოგიური მუხლის სანქცია შეფარდებით განსაზღვრულია ყირგიზეთის, ესტონეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. შეფარდებით არის განსაზღვრული განსახილველი დანაშაულის სანქცია — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლშიც. ეს შემადგენლობა გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილში და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვს თვემდე ვადით, ან გადასახლებით სამ წლამდე ვადით.

სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ზოგადი ტენდენციებია მისი შემდგომი დემოკრატიზაცია, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება, საშიშ დამნაშავეთა დასჯისადმი დიფერენცირებული მიდგომა, აგრეთვე იმ პირების მიმართ, ვინც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სისხლის სამართლის კანონის პროფილაქტიკური და აღმზარდლობითი ზემოქმედების შემდგომი გაძლიერება<sup>13</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე იძლევა იმის საიმედო გარანტიას, რომ უახლოეს მომავალში კანონმდებელი საერთოდ იტყვის უარს აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციების გამოყენებაზე.

<sup>12</sup> Комментарий к Уголовному кодексу РСФСР под ред. Ю. Д. Северина, М., «Ю. Л.», 1980, с. 360.

<sup>13</sup> Современные тенденции развития социалистического уголовного права, М., «Наука», 1983, с. 9.

## **უსაფუძვლოდ შექმნილი ქონების დაბრუნების ვალდებულების შესახებ**

ა. კობახიძე

საბჭოთა სამართალი იცავს როგორც სოციალისტურ საკუთრებას, ისე მოქალაქეთა პირად ქონებას. ერთ-ერთი ასეთი დაცვის სახეობაა უსაფუძვლოდ შექმნილი თუ დაზოგილი ქონების დაბრუნების ვალდებულება. ამ ინსტიტუტს იცნობდა ჩვენი ქვეყნის პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსიც და მას ეწოდებოდა „უსაფუძვლო გამდიდრება“. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავებასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ტერმინი შეუსაბამო იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. ამიტომ საფუძვლებმა და ახალმა სამოქალაქო სამართლის კოდექსებმა მას უწოდეს „ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი“. უნდა ითქვას, რომ უფრო მოხერხებული და შინაარსის მომცველი ტერმინი იყო „უსაფუძვლო გამდიდრება“, რადგან როგორც სამოქალაქო სამართლის წინათ გამოცემულ სახელმძღვანელოში იყო ნათქვამი „ტერმინი „გამდიდრება“ სპეციალური მნიშვნელობითაა ნახმარი სამოქალაქო სამართლის კოდექსში და არ ემთხვევა იმ მნიშვნელობას, რომლითაც იგი იხმარება სალაპარაკო და ლიტერატურულ ენაში. ჩვენ არ უნდა ვურევდეთ ტერმინ „გამდიდრების“ იურიდიულ-ტექნიკურ მნიშვნელობას იმ მნიშვნელობასთან, რომელიც აქვს ამ სიტყვას სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ“<sup>1</sup>.

ამიტომ დასაშვებია, თუ ამ მოხერხებულ ტერმინს მომავალშიც ვიხმარო. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დანაშაულია ჩადენილი, მართლაც არის უსაფუძვლო გამდიდრება ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და ახალი კოდექსების მიღების შემდეგაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში კვლავ იხმარება ტერმინი „უსაფუძვლო გამდიდრება“, როცა საკითხი ეხება ამ ვალდებულებიდან გამომდინარე შედეგებს<sup>2</sup>.

რა არის უსაფუძვლო გამდიდრება? საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს ქონების შეძენის საფუძვლებს, ერთი პირიდან მეორის საკუთრებაში ქონების გადაცემის წესსა და პირობებს. ასეთი საფუძველი შეიძლება პირდაპირ იყოს აღნიშნული კანონში, ანდა გარიგებიდან გამომდინარეობდეს. თუ პირ-

<sup>1</sup> სამოქალაქო სამართალი, სახელმძღვანელო მ. მ. ავაკოვის და დ. მ. გენკინის რედაქციით. თბ., 1946 წ. გვ. 455.

<sup>2</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 13 დეკემბრის № 11 დადგენილება „სბეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ (Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1922—1977, Москва, 1981, стр. 201 — 207); а также «Бюллетень Верховного Суда СССР», 1963, № 1, стр. 19—20.

მა ქონება შეიძინა ან დაზოგა კანონით (გარიგებით) დადგენილი საფუძვლის გარეშე, იგი ვალდებულია დაუბრუნოს ეს ქონება მესაკუთრეს.

ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა ქონების უსაფუძვლოდ შექმნისა და დაზოგვის შედეგად, რეგლამენტირებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 43-ე თავში (486-487 მუხლები). სარჩელს უსაფუძვლოდ შექმნილი (დაზოგილი) ქონების დაბრუნების შესახებ ეწოდება კონდიქციური სარჩელი<sup>3</sup>.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დადგენილი საფუძვლის გარეშე შეიძინა ქონება სხვის ხარჯზე, მოვალეა დაუბრუნოს უკანასკნელს უსაფუძვლოდ შექმნილი ქონება“. ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი „ასეთი მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების შექმნას შემდგომში საფუძველი მოაკლდა“.

როგორც მუხლის შინაარსი გვიჩვენებს, ვალდებულების ამ სახეობას ახასიათებს სამი ძირითადი ნიშანი: 1. პირმა შეიძინა ან დაზოგა ქონება, ე. ი. თავისებურად გამდიდრდა; 2. ამ პირის მიერ ქონების შექმნა (დაზოგვა) მოხდა სხვა პირის ხარჯზე; 3. ქონების შექმნა (დაზოგვა) მოხდა სათანადო იურიდიული საფუძვლის გარეშე.

ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხანია აღარ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და მეურნეობის სოციალისტური სისტემა გამორიცხავს ვინმეს გამდიდრებას სხვის ხარჯზე. მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი, სხვადასხვა გზით, სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ იძენს გარკვეულ ქონებას, ანდა ასევე უსაფუძვლოდ ზოგავს თავის ქონებას. როცა ასეთ შექმნას თუ დაზოგვას არა აქვს კანონიერი საფუძველი ან შემდეგში გამოეცალა საფუძველი, წარმოიშობა ვალდებულების თავისებური სახე, რომელიც განსხვავდება სხვა ვალდებულებებისაგან (ზიანის მიყენება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და სხვა).

მხარეები ამ ვალდებულებაში არიან: 1. პირი, ვინც ქონება შეიძინა ან დაზოგა, ე. ი. ვინც გარკვეულად გამდიდრდა და 2. პირი, ვის ხარჯზეც გამდიდრდა შემქენი, ე. ი. ვინც დაზარალდა.

კონკრეტულ შემთხვევებში, როცა ქონება შექმნილია ისეთი მოქმედებით, რომელიც შეგნებულად ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს, იგი უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში. ე. ი. ამ დროს აღნიშნულ ვალდებულებაში დაზარალებული აღარ გამოდის როგორც მხარე, მის ნაცვლად ქონებას ღებულობს სახელმწიფო.

ვალდებულების ეს სახე სხვა ვალდებულებებისაგან რომ განვასხვაოთ, პირველ რიგში საჭიროა გავარკვიოთ რას ნიშნავს ქონების უსაფუძვლო შექმნა თუ დაზოგვა. კანონი პირდაპირ მიუთითებს თუ რა შეიძლება იყოს ქონების შექმნის საფუძველი. ეს არის რომელიმე იურიდიული ფაქტი, ე. ი. მოქმედება ან ხდომილება, რომელთანაც დაკავშირებულია ქონებაზე უფლების წარმოშობა. მაგალითად, რაიმე ნაწარმოების შექმნა, ხელშეკრულების დადება, მემკვიდრეობის გახსნა და სხვა.

<sup>3</sup> См. Ю. К. Толстой, — «Обязательство из необосновательного приобретения или сбережения имущества», Вестник ЛГУ, № 5, 1973 г., стр. 135—143.

ამასთან ერთად, პრაქტიკაში ვხვდებით ფაქტებს, როცა ქონებას იძენს ან ზოგავს პირი ისე, რომ არ არსებობს ამისათვის დადგენილი კანონიერი საფუძველი. ასეთი შეძენა შეიძლება მოხდეს დანაშაულის ჩადენით, ნაპოვნი ფულის მითვისებით, ნივთის ღირებულების განზრახ თუ შეცდომით მეორედ მიღებით, ხელშეკრულებით კუთვნილზე მეტი თანხის შეცდომით მიღებით და სხვა.

უსაფუძვლო გამდიდრება შეიძლება მოხდეს ქონების დაზოგვის შედეგადაც. ამას უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როცა ორ ან რამდენიმე მემკვიდრეს ან მოვალეს გადასახდელი აქვს თანხა სხვა პირის სასარგებლოდ და ერთ-ერთი იხდის იმაზე მეტს, ვიდრე უნდა გადაეხადა. ამ შემთხვევაში მას უნდა აღნაზღაურდეს ზედმეტად გადახდილი იმ პირის მიერ, ვინც უსაფუძვლოდ დაზოგა ქონება.

ქონების უსაფუძვლო შეძენა (დაზოგვა) შეიძლება მოხდეს როგორც იმ პირის მოქმედებით, ვინც იძენს ამ ქონებას, ისე დაზარალებულის, ანდა ორივეს ერთობლივი მოქმედებით. ის შეიძლება იყოს აგრეთვე მესამე პირის მოქმედების შედეგი ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდეს არც შემძენმა და არც დაზარალებულმა. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა უსაფუძვლო შეძენის შესახებ, არაფერი იცოდეს არც შემძენმა, არც დაზარალებულმა და არც მესამე პირმა (მაგალითად, რაიმე ბუნებრივი მოვლენის შედეგად ერთის ქონება გაიზარდა მეორის ხარჯზე).

ქონების უსაფუძვლო შეძენა შეიძლება იყოს როგორც შემძენის თუ დაზარალებულის მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი ქმედების შედეგი. ჩვენ სწორად მიგვაჩნია პროფ. ე. ა. ფლეიშიცის<sup>4</sup> მოსაზრება, რომელიც არ ეთანხმება პროფ. ვ. ა. რიასენცევის იმაში, რომ უსაფუძვლო შეძენის ვალდებულების ერთ-ერთი ნიშანია „შეძენის თუ დაზოგვის გარეგნულად მართლზომიერი ხასიათი“<sup>5</sup>, ე. ი. ფლეიშიცი ეთანხმება მ. მ. აგარკოვს, რომელიც თვლის რომ უსაფუძვლო შეძენა შეიძლება მოხდეს არამართლზომიერი ქმედების არარსებობის შემთხვევაშიც<sup>6</sup>. ასევე სწორ მოსაზრებას გამოთქვამენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. კოფმანი და მ. ს. ორდანსკი<sup>7</sup>.

ქონების უსაფუძვლო შეძენა შეიძლება მოხდეს არა მარტო შემძენის უკანონო მოქმედების შედეგად, არამედ გარეშე პირების არამართლზომიერი ქმედების, ზოგჯერ კი თვით დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედების შედეგადაც.

მთავარი კრიტერიუმი ის არის, რომ ქონების შეძენა (დაზოგვა) უსაფუძვლოა და სწორედ ამ უსაფუძვლობის გამო არ შეიძლება დარჩეს ქონება ე. წ. „გამდიდრებული“ პირის საკუთრებაში.

იგივე შედეგი დგება, როცა ქონების შეძენას თუ დაზოგვას შემდეგში საფუძველი ეცლება, ე. ი. შესაძლოა პირმა ქონება კანონიერად შეიძინოს,

<sup>4</sup> См.: Е. А. Флейшиц — Обязательства из причинения вреда и из необосновательного обогащения», Москва, 1951, стр. 213—214.

<sup>5</sup> В. А. Рясенцев, Обязательство из так называемого необосновательного обогащения в советском гражданском праве. — Ученые записки МГУ, 1949, вып. 114, стр. 89.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>7</sup> Советское гражданское право, под ред. проф. О. А. Красавчикова, том, 2, М., 1969, стр. 434.

მაგრამ შემდეგში ეს საფუძველი მოისპოს და შეძენის მიმართ წარმოიშვას კალდებულება—დაუბრუნოს ქონება მის კანონიერ მფლობელს.

ამასთან დაკავშირებით გაუგებრობას იწვევს იმ ავტორთა შეხედულება, რომლებსაც უსაფუძვლო შეძენისათვის დამახასიათებლად არ მიაჩნიათ საკუთრების უფლების გადასვლა<sup>8</sup>. თვით ვალდებულების სახელწოდება გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ქონების შეძენასთან ან დაზოგვასთან. შეძენა ხომ საკუთრებაში გადასვლას გულისხმობს, მით უფრო დაზოგვა. სხვა საკითხია, რომ ეს შეძენა (დაზოგვა) უსაფუძვლო იყო, ანდა შემდეგში გამოეცალა მას საფუძველი. მიუხედავად ამისა ამ შემთხვევაში შეძენის მიმართ გვაქვს საკუთრების დამახასიათებელი ყველა ნიშანი. შეძენი ფლობს ამ ქონებას, სარგებლობს და განკარგავს კიდევ. ეს უფლება წყდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ამ ქონებას უკან დააბრუნებს. თუ ასე ვიმსჯელებთ, არც იმ ქონებაზე ყოფილა საკუთრების უფლება, რაც ზიანის ასანაზღაურებლად უნდა დაეკისროს ზიანის მიმყენებელს.

განიხილოთ შემთხვევები, როდესაც წარმოიშობა უსაფუძვლო გამდიდრება. მანამდე შეგნიშნავთ, რომ არაზუსტია ცივილისტურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომ უსაფუძვლო შეძენის ყველაზე გავრცელებული სახეობაა არკუთენილის მიღება. ამას მიუთითებს თითქმის ყველა ავტორი, რომლებიც განიხილავენ ამ ვალდებულების ცალკეულ შემთხვევებს. ჩვენი აზრით არკუთენილის მიღება გვაქვს საერთოდ ამ ვალდებულების ყველა შემთხვევაში. ყოველთვის, როცა არის ეს ვალდებულება, პირი იღებს იმას, რაც მას არ ეკუთვნის. არკუთენილის მიღება შეიძლება მოხდეს როგორც ორგანიზაციებს, ისე ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს და თვით მოქალაქეთა შორის. სახელდობრ, ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს: 1. არარსებული ვალდებულების შესრულებისას; 2. არსებული ვალდებულების გადამეტებით შესრულებისას; 3. შეწყვეტილი ვალდებულების შესრულებისას; 4. სხვის ხარჯზე ქონების უსაფუძვლოდ დაზოგვისას და 5. შეგნებულად სამართლის ნორმის დარღვევისას, ე. ი. ქონების ისეთი არამართლზომიერი მოქმედების შედეგად შეძენისას, რომელიც გარიგებას არ წარმოადგენს.

**არარსებული ვალდებულების შესრულებისას და არსებული ვალდებულების გადამეტებით** შესრულებისას ძირითადად საქმე გვაქვს შეცდომასთან. პირი შეცდომით ღებულობს ან გასცემს ქონებას. შეცდომა შეიძლება იყოს **სუბიექტში** (ქონებას შეცდომით გადასცემენ სხვა, არაკრედიტორ პირს), **საგანში** (მოვალე შეცდომით იხდის იმაზე მეტს, რაც ემართა), **საფუძველში** (პირმა შეცდომით შეასრულა არარსებული ვალდებულება). შეცდომა შეიძლება იყოს როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის შედეგი.

**შეწყვეტილი ვალდებულების შესრულება** ხდება, როცა პირი ღებულობს ქონებას მას შემდეგ, რაც მისი მიღების კანონიერი საფუძველი მოისპო, ე. ი. ქონების მიღებას შემდეგში გამოეცალა საფუძველი.

**ქონების შეძენა კანონიერი საფუძვლის მოსპობის შემდეგ** შეიძლება იყოს როგორც ახალი ნორმატული აქტის მიღების, ისე იმ პირველადი საფუძვლის გაუქმების შედეგი, რასაც ემყარებოდა თავიდან ქონების გადაცემა. მაგალი-

<sup>8</sup> См.: Арзламаевцев А. Н. — Охрана социалистической собственности по советскому гражданскому праву. Изд-во ЛГУ, 1956 г., стр. 203—204; Шаргородский М. Д. Курс советского уголовного права, часть общая, т. 2, 1970, стр. 306.



თად, ახლად მიღებულმა კანონმა საფუძველი გამოაცალა შესრულებულ ვალდებულებას და ამ კანონს მიენიჭა უკუქცევითი ძალა. ანდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ერთმა პირმა მეორეს გადაუხადა თანხა, გაუქმდა ზემდგომი სასამართლო ორგანოს მიერ და მოსარჩელეს უარი ეთქვა თანხის მიცემაზე. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუბრუნოს მიღებული ჭონება იმ პირს, ვისგანაც მან იგი მიიღო. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა ვალდებულების შესრულებამ მიზანი დაკარგა. მაგალითად, პირი, რომელსაც გადაახდევინეს მისთვის მიზარებული ნივთის ღირებულება, რომელიც მან დაკარგა, ამ ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ე. ი. მთავარი ის არის, რომ ვალდებულება, რომელიც თავის დროზე შესრულდა კანონის შესაბამისად, შემდგომში კარგავს ძალას და წარმოიშობა ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება. ასეთი ქონებაც იურიდიულად უთანასწორდება უსაფუძვლოდ შექმნილ ქონებას.

ქონების დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა არა მარტო მაშინ, როცა ქონება პირმა უსაფუძვლოდ მიიღო, არამედ მაშინაც, როცა პირმა სხვის ხარჯზე დაზოგა თავისი ქონება კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი საფუძვლის გარეშე. მაგალითად, ორი მემკვიდრიდან ერთმა დაფარა სამკვიდროს დამტოვებლის ვალი, რის შედეგადაც მეორემ დაზოგა თავისი ქონება. ეს უკანასკნელი ვალდებულია გადაუხადოს პირველს უსაფუძვლოდ დაზოგილი ქონება. მსგავსი ვალდებულება წარმოიშობა სოლიდარული პასუხისმგებლობის დროსაც. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისას და სოლიდარული მოთხოვნის დროს ერთ-ერთი კრედიტორის სასარგებლოდ მთლიანი ვალის გადახდისას, მაგრამ მათი გაიფიქრება არ შეიძლება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „მოვალეს, რომელიც სოლიდარულ ვალდებულებას შეასრულებს, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი“, ხოლო ამავე კოდექსის 182-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით „სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი, თუ იმ ურთიერთობებიდან, რომლებიც მათ შორის არის სხვა რამ არ გამოდინარეობს“. მართალია, ორივე შემთხვევაში ერთი პირი მეორის ხარჯზე ზოგავს ქონებას, მაგრამ აქ წარმოიშობა არა უსაფუძვლოდ დაზოგილი ქონების დაბრუნების ვალდებულება, არამედ ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა. ე. ი. უნდა ვიხსენებდეთ არა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლით, არამედ 181-ე და 182-ე მუხლებით. 486-ე მუხლი ეხება ქონების ისეთ დაზოგვას, რომელიც კანონით დადგენილი საფუძვლის გარეშე მოხდა, სოლიდარული ვალდებულების (მოთხოვნის) შესრულება კი კანონით დადგენილი წესით ხდება.

**ქონების შექმნა ისეთი არამართლზომიერი მოქმედების შედეგად, რომელიც გარიგებას არ წარმოადგენს, ყველაზე უფრო მეტად არის გავრცელებული.** საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად „ქონება, რომელიც შექმნილია სხვის ხარჯზე არა გარიგების მიხედვით, არამედ ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც შეგნებულად სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოა, თუ მისი კონფისკაცია არ არის მოსახდენი, უნდა სახელმწიფოს შემოსავლად ჩაირიცხოს“. პირველი, რასაც ხაზი უნდა გავსვას აქ, ის არის, რომ ასეთი მოქმედება არ უნდა ატარებდეს გარიგების ხასიათს. თუ სახეზე გვაქვს გარიგება, გამოიყენება არა 486-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, არამედ 49-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლითაც გათვალისწინებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მიზნით დადებული გარიგების ბათილობისას უკანონოდ მიღებული ქონების სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლოა იყოს გარიგება, მაგრამ მისი ბათილობა არ მოხდეს იმის გამო, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო განზრახვა ამოქმედებდა მხოლოდ ერთ მხარეს და მისი შესრულების შემდეგ კანონი არ ითვალისწინებს ასეთი გარიგების ბათილობას. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო შეძენის ვალდებულება. მაგალითად, სპეკულაციის დროს შესყიდული ნივთები რჩება მყიდველს, ე. ი. არ ხდება გარიგების ბათილობა და გამოყიდველს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება სპეკულაციით მოგებული თანხა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული. მართალია, სპეკულაციის დროს ძირითადად ხდება გარიგების ბათილობა, მყიდველს უბრუნდება ის, რაც მან მისცა გამოყიდველს (49-ე მუხლის შესაბამისად), ხოლო გამოყიდველს ჩამოერთმევა სასპეკულაციო საქონელი და გაუკეთდება კონფისკაცია, მაგრამ თუ სპეკულაციის შედეგად მიღებული ფული არ არის, ის გადასახდელად დაეკისრება დამნაშავეს, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მყიდველის მიერ შეძენილი ნივთები კი რჩება მას, თუ ისინი ამოღებული არ არის სახელმწიფო ბრუნვიდან. შესაძლოა, გარიგების ორივე მხარეს ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო განზრახვა, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელი იყოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ამ გარიგების ბათილობის შედეგი. მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერების ყიდვა-გაყიდვისას, თუ ეს ნივთიერება მოიხმარა მყიდველმა და გამოყიდველს არ აღმოაჩნდება დანაშაულებრივი გზით შეძენილი ფული, დადგება არა გარიგების ბათილობის შედეგი, არამედ გამსაღებელს დაეკისრება უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების გადახდა. სასამართლო პრაქტიკაში ეს ძირითადად ასეც წყდება, მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებაში ნარკომანიის საქმეებზე რატომღაც არაფერია ნათქვამი, მაშინ როდესაც სპეკულაციის სახელმძღვანელო დადგენილებაში ეს მითითებულია. პლენუმმა თავისი დადგენილებით უნდა გამოასწოროს ეს ხარვეზი. ასევე ითქმის სამეურნეო დანაშაულის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით მიღებულ სახელმძღვანელო განმარტებებზე (აკრძალული რეწვა, კერძო მეწარმეობითი საქმიანობა, კომერციული შუამავლობა და სხვა). პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებში აუცილებლად უნდა ითქვას ამ დანაშაულთა შედეგად მიღებული ქონების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ.

როგორც უკვე ითქვა, უსაფუძვლოდ გამდიდრება ყველაზე მეტად გავრცელებულია ქრთამის აღების, ქრთამის მიცემაში წაქეზების, აზარტული თამაშის დროს და სხვა დანაშაულის ჩადენისას. ამ დროს პრაქტიკაში მართებულად გამოიყენება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

მაგრამ მის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოებს, თეორიული დავა. ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს ამ ნორმის შეცვლას: მაგალითად, ვ. გ. დავევი წერს, რომ „დანაშაულებრივი გზით უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვას არა მარტო მაშინ როცა ის არ შეიძლება, კონფისკაციაქმნილი იყოს, არამედ მისი შეძენის ყველა შემთხვევაში“<sup>9</sup>, რომ „კონფისკაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების გადახდევინების შეუძლებლობისას ანდა ქონების ნაწილის მიმართ, რომელიც აღემატება უსაფუძვლოდ შეძენილს“<sup>10</sup>. ამიტომ, მისი აზრით, რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 473--ე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე) მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია მოითხოვს დაზუსტებას<sup>11</sup>. აღნიშნულ აზრს იწონებს ი. კ. ტოლსტოი. იგი წერს: „ქონება შეიძლება კონფისკაციაქმნილი იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს პირობები იმისათვის, რომ იგი, როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი ჩარიცხული იქნეს სახელმწიფო შემოსავალში, ან იმ პირის სასარგებლოდ,

<sup>9</sup> Г. В. Даев, Современные проблемы гражданского иска в уголовном процессе. Изд-во ЛГУ, 1972, стр. 34.  
<sup>10</sup> იქვე, გვ. 35.  
<sup>11</sup> იქვე, გვ. 39-40.

ვის ანგარიშზეც იქნა იგი შექმნილი<sup>12</sup>. ამიტომ, მისი აზრით, მხარდაჭერას იმსახურებს ვ. გ. დაევის წინადადება კოდექსის ამ მუხლის რედაქციის დაზუსტების შესახებ. ჩვენი აზრით, ეს ავტორები ცდებიან. კანონმდებელი ლაპარაკობს, რომ როდესაც ქონება შექმნილია სხვის ხარჯზე ისეთი მოქმედებით, რომელიც შეგნებულად ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავალში, თუ მისი კონფისკაცია არ არის მოსახდენი. ეს გულისხმობს არა იმას, რომ კონფისკაცია წინა პირობაა. უსაფუძვლო შექმნის ვალდებულებისათვის, არამედ იმას, რომ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში, დანაშაულით შექმნილი ქონება (ძირითადად კი როცა ეს ქონება არის), ექვემდებარება კონფისკაციას და საჭირო აღარ არის დანაშავე პირისათვის ქონების, როგორც უსაფუძვლოდ შექმნილის დაკისრება. ე. ი. აქ კონფისკაციას კანონმდებელი იმიტომ კი არ ხმარობს, რომ ის უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობად მიაჩნია და მის ბუნებას უპირისპირებს, არამედ იმისათვის, რომ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში, როცა დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება კონფისკაციას ექვემდებარება, ამ ქონების ზედი გადაწყდეს კანონით დადგენილი კონფისკაციის გამოყენებით და აღარ მივმართოთ უსაფუძვლო შექმნის ვალდებულებას. საკლითად, იგივე სპეკულაციის საქმეებზე, როდესაც სახეზეა სპეკულაციის საგნები, გამოიყენება ამ საგნების კონფისკაცია, მაგრამ, როცა ეს საგნები უკვე მყიდველის ხელშია და ღოგბებული ფული დანაშავეს არ აღმოაჩნდება, ამ თანხის გადახდა მას დაეკისრება როგორც უსაფუძვლოდ შექმნილი ქონებისა. იგივე ითქმის სხვა დანაშაულის სახეობებზეც.

სხვა საკითხია, რომ დანაშაულით შექმნილი ქონების ზედის განსაზღვრასთან დაკავშირებით საჭიროა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფა, რასაც ვ. გ. დაევი გვთავაზობს და, ჩვენი აზრით, სრულ მხარდაჭერას იმსახურებს. ვ. გ. დაევი სწორად მიუთითებს, რომ მთელ რიგ სახეობათა დანაშაულის დროს, მართალია, არ არსებობს უშუალოდ კონკრეტული დაზარალებული პირი, რომელმაც მატერიალური ზარალი განიცადა და რომელსაც უფლება ექნებოდა აღედრა სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ დანაშაულის ჩამდენმა პირმა უსაფუძვლოდ მიიღო გარკვეული ქონება, რომელიც უნდა გადახდეს მას სახელმწიფოს სასარგებლოდ. თუმცა ეს ვალდებულება არსებობს სამოქალაქო სამართალში, მაგრამ, რა დასამალია, რომ იგი იშვიათად გამოიყენება თვით სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტისას და, ცხადია, როცა საჭიროა ყოველთვის არ ხდება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, უმთავრესად სწორედ იმიტომ, რომ ამის გამოყენების აუცილებლობა სპეციალურად არ არის მითითებული სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. მარტო მექრთამეობისა და სპეკულაციის საქმეებზე მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებში ამის მითითება საკმარისი არ არის. საჭიროა ზოგადი ნორმა, რომელიც ამ საკითხს მოაწესრიგებდა. ამიტომ, მისაღებია ვ. გ. დაევის წინადადება, რომ სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების 25-ე მუხლს, რომელიც სამოქალაქო მოსარჩელეს ეხება, დაემატოს მესამე ნაწილი, რომლის თა-

<sup>12</sup> Вестник ЛГУ, 1973, № 5, стр. 141—142.

ნახმადაც დანაშაულით შეძენილი ქონება, თუ ის დაზარალებულ პირს არ უნდა დაუბრუნდეს, პროკურორის სარჩელით, ან თვით სასამართლოს ინიციატივით ჩაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში<sup>13</sup>. ცხადია, ანალოგიურად უნდა შეიგნოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე და 311-ე მუხლები.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ საკითხს სპეციალურად უნდა გაუსვას ხაზი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებმა, რომლებიც მიღებულია ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, ჩვენი აზრით სისხლის სამართლის კოდექსის მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ეხება ისეთ დანაშაულობებს, რომლებითაც პირი უსაფუძვლოდ მდიდრდება (აზარტული თამაში, უკანონო ექიმობა, კომერციული შუამავლობა, კერძო რეწვა, აბორტის უკანონოდ გაკეთება და სხვა), უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით იმგვარად, რომ სანქცია პირდაპირ ითვალისწინებდეს უსაფუძვლოდ მიღებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხვას. ეს აუცილებელია იმის გამოც, რომ კონფისკაციის შეფარდება არ შეიძლება, თუ ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული კანონში. ამიტომ სასამართლოები ხშირად შეცდომებს უშვებენ ამ საქმეების განხილვის დროს. ამგვარ დანაშაულთა შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებში პირდაპირ მითითება უსაფუძვლოდ შეძენილი თანხის ჩამორთმევის შესახებ თავიდან აგვაცილებდა შეცდომებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები სწორად არ წყვეტენ უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების ბედს იმ კატეგორიის საქმეებზეც კი, რომელთა შესახებაც სპეციალურად არის მითითებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებში. მაგალითად, ქ. თბილისის სახალხო სასამართლოების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სასამართლოებმა სპეკულაციის საქმეებზე დამნაშავეთა 10 პროცენტს არ დააკისრა უსაფუძვლოდ მიღებული თანხა, ხოლო მექრთამეობის საქმეებზე 12 პროცენტს. პროკურორებიც ყოველთვის არ აღძრავენ სარჩელებს ამ თანხების გადახდევინების თაობაზე.

საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა სასამართლომ ზუსტად გაარკვიოს უპირველესად, ვის მიადგა ზარალი. დანაშაულით, ვის სასარგებლოდ და რა უნდა დაეკისროს დამნაშავეს, შემდეგ რა სახის ქონებაა საკონფისკაციო და რა ქონებაა დამნაშავეს მიერ უსაფუძვლოდ შეძენილი, და ამის მიხედვით გადაწყვიტოს საკითხი. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა. თ. კ-ს ბრალდების საქმე, რომელსაც მსჯავრი დაედო სხვა დამნაშავე პირებთან ერთად განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებაში თანამონაწილეობისა და ამ გზით დატაცებული 30 ათასი მანეთის ქრთამად მიღებაში. რამდენადაც თ. კ. დატაცების თანამონაწილე იყო და სხვა პირებთან ერთად დაზარალებული ორავნიზაციის სასარგებლოდ დაეკისრა დატაცებული (მათ შორის ქრთამად აღებული) თანხის გადახდა, სასამართლომ მას ქრთამის სახით მიღებული ფულის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების გადახდა აღარ დააკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. პირიქით, ც. ს-ს და მ. ო-ს ბრალი ედებოდათ სახელმწიფო ქონების დატაცებაში თანამონაწილეობასა და დატაცებული ფულიდან 3 ათასი მანეთის ქრთამად მიღებაში. ქ. თბილისის საქალაქო რაიონის სახალხო სასამართლომ მათ მოუხსნათ დატაცებაში თანამონაწილეობა და დაუტოვა მხოლოდ ქრთამის აღება. ამიტომ სასამართლომ მათ დააკისრა შეძენილი ქონების გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

და ცხადია, მათთვის არ დაუქისრებია ზარალის ანაზღაურება. ასევე თაღლითობით მიღებული ფული დამნაშავეს დაეკისრება დაზარალებულის სასარგებლოდ, მაგრამ ქრთამის მიცემაში წაქეზებით მიღებული თანხა, თუ ქრთამის მიცემმა წინასწარ არ განაცხადა ამის შესახებ, მას ეს როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება უნდა გადახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია განვსაზღვროთ უსაფუძვლოდ შეძენიდან გამომდინარე ვალდებულება: ქონების უსაფუძვლოდ შეძენის (დაზოგვის) შედეგად წარმოშობილი ვალდებულება არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის თანახმად ერთი პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დადგენილი საფუძვლის გარეშე ქონების შეძენით (დაზოგვით) მიიღო ქონებრივი სარგებელი სხვის ხარჯზე, ვალდებულია დაუბრუნოს ქონება დაზარალებულს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ამ უკანასკნელმა დაკარგა, ხოლო როცა ეს შეძენა მოხდა შეგნებულად სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო ქმედების შედეგად, შემძენს უსაფუძვლოდ მიღებული ქონება გადახდება სახელმწიფოს სასარგებლოდ.

თუ სრულად გავანალიზებთ ამ ვალდებულებას, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის ბოლო ნაწილი, რომელიც ქონების დაზოგვას ეხება ზედმეტია. საკმარისია ამ მუხლის პირველ ნაწილში სიტყვა „შემძენის“ შემდეგ ჩავსვათ სიტყვა „დაზოგვა“ და კანონმდებლის აზრი სავსებით გასაგები იქნება.

ვალდებულება თავისი შინაარსით ცალმხრივია. შემძენის მიმართ წარმოიშობა მხოლოდ ქონების დაბრუნების ვალდებულება, ხოლო დაზარალებულის მიმართ მხოლოდ უფლება — მიიღოს ქონება. შემძენი ვალდებულია დაუბრუნოს ქონება ნატურით. თუ ეს შეუძლებელია, უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება იმ ოდენობით, რაც ამ ქონებას ჰქონდა შეძენის მომენტში. ამასთან პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა აგრეთვე დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ აქვს მიღებული. როგორც ვთქვით, ამ ვალდებულებასთან ძირითადად საქმე გვაქვს, როცა გვაროვნული ნიშნის ქონების შეძენა მოხდა. თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა ხდება, წარდგენილი იქნება სავინდიკაციო და არა კონდიქციური სარჩელი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 487-ე მუხლი ჩამოთვლის ქონებას, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას. ამ ვალდებულებით. ასეთია: 1. ქონება, რომელიც გადაცემულია ვალდებულების შესასრულებლად, შესრულების ვადაზე ადრე; 2. ქონება, რომელიც გადაცემულია ვალდებულების შესასრულებლად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც ასეთი შესრულება დაშვებულია კანონით; 3. საავტორო გასამრჩელო, აღმოჩენისა თუ ისეთი გამოგონებისათვის, რომლისთვისაც საავტორო მოწმობაა ვაცემული, აგრეთვე გასამრჩელო რაციონალიზატორული წინადადებისათვის, თუ ასეთი გასამრჩელო გადახდილია ორგანიზაციის მიერ ზედმეტად ან ისეთი საფუძვლით, რომელიც შემდგომში მოისპო, თანაც ნებაყოფლობით და ისე, რომ ანგარიშში შეტდომი არ მოსვლია და მიმღებს არაკეთილსინდისიერება არ გამოუჩენია; 4.

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებასა ან სიკვდილთან დაკავშირებული ზიანისათვის ზედმეტად გადახდილი საზღაური, თუ მიძღები კეთილსინდისიერია.

ეს ნორმა იწვევს მკვლევართა კრიტიკას. სახელდობრ, მიუთითებენ, რომ ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ზედმეტია<sup>14</sup>. მართლაც, საჭირო არ არის ამ მუხლის მეორე პუნქტი, რადგან მსგავსი ნორმა მოცემულია კოდექსის იმ თავში, სადაც საერთოდ სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ არის ლაპარაკი (86-ე მუხლი) და აქ მხოლოდ განმეორებასთან გვაქვს საქმე. იგივე არ ითქმის პირველ პუნქტზე. აქ ლაპარაკია ზოგად წესზე, რომლის მიხედვით პირს უფლება არა აქვს მოითხოვოს ვალდებულების შესასრულებლად გადაზეადრე გადაცემული ქონების დაბრუნება. ეს დაახლოებით იმ დებულების შეზღუდული ფორმით განმეორებაა, რომელიც მოცემული იყო სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 401-ე მუხლში და რომლის მსგავსი ნორმის შემოღებას გვთავაზობს ი. კ. ტოლსტოი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) საჭიროა აღდგეს და საერთო ხმარებაში შემოვიღოთ მონერხებული ტერმინი „უსაფუძვლო გამდიდრება“.

2) შეიცვალოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის რედაქცია იმგვარად, რომ ამოღებულ იქნეს მისი ბოლო (მეექვსე) ნაწილი და პირველ ნაწილს სიტყვა „შიდიხნა“-ს შემდეგ დაემატოს: — „ან დაზოგა“.

3) ამოღებულ იქნეს კოდექსის 487-ე მუხლის მეორე პუნქტი.

4) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების 25-ე მუხლს დაემატოს ასეთი შინაარსის მესამე ნაწილი: „როცა დანაშაულით დაზარალებული კონკრეტული პირი არ არსებობს, დამნაშავის მიერ უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება განაჩენით ან განჩინებით ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში. თუ სასამართლომ ეს არ გააკეთა, სარჩელი უნდა აღძრას პროკურორმა“. ანალოგიური ცვლილებები უნდა შევიდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

5) სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებში, სადაც ლაპარაკია დანაშაულობებზე, რომლებითაც პირი უსაფუძვლოდ იძენს ქონებას, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ქონება ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში.

6) სასამართლოების მიერ უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების ბედის გადაწყვეტის შესახებ პირდაპირ უნდა მიუთითოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სახელმძღვანელო განმარტებებში იმ კატეგორიის საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესწავლისას, რომელთა დროს საქმე გვაქვს დამნაშავის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შეძენასთან, როგორც ეს ხდება შეჭრათამეობისა და სბეკულაციის საქმეთა გამო.

## თანამდებობრივი დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები

შ. ზაზიაშვილი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევას. სწორედ იგი გვაძლევს საშუალებას მართებულად განვსაზღვროთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია. ამის თაობაზე ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი პროფ. ა. პიონტკოვსკი წერდა: „დამნაშავეობის მიზეზების შეუსწავლელად ეს ბრძოლა არ შეიძლება ეფექტიანი იყოს<sup>1</sup>. ასევე, პროფ. ს. პ. მიტრიჩევის აზრით „დანაშაულის ლიკვიდაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა მიზეზების შესწავლას და ამის საფუძველზე მისი თავიდან აცილების ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებას“<sup>2</sup>.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების გამოკვლევის დადგენის აუცილებლობა რეგლამენტირებულია თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც. მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ მე-60 მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მოკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და განახორციელონ ღონისძიებანი მათი თავიდან აცილებისათვის“. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე პროკურორის ერთ-ერთ მოვალეობად მიჩნეულია, შეამოწმოს, „გამორკვეულია თუ არა გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და მიღებულია თუ არა ღონისძიებანი მათი აღკვეთისათვის“. სსსკ 367-ე მუხლში ნათქვამია საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე კერძო განჩინებით დაწესებულებების, საწარმოების ან თანამდებობის პირთა ყურადღება მიიპყროს იმ მიზეზებს და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და მოითხოვს სათანადო ღონისძიებებს.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების დადგენისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობის შესახებ ნათქვამია აგრეთვე საქართველოს სსრ სსსკ 110-ე და 118-ე მუხლებში.

ამავე საკითხებზე სასამართლო ორგანოებისადმი სავალდებულო მითითე-

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 103.

<sup>2</sup> С. П. Митричев, Теоретические основы советской криминалистики, М., 1965,

ბებს შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებანი. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1976 წლის 3 დეკემბერს მიიღო დადგენილება „დანაშაულის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. პლენუმმა დაავალა სასამართლებს „სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას უფრო ფართოდ გამოიკვლიონ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, აგრეთვე მათ აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „რიგ შემთხვევებში სასამართლოები სრულად არ ააშკარაებენ იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მექრთამეობის ჩადენას, არ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მათა აღმოსაფხვრელად“.

სასამართლო ორგანოების მიერ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და თავიდან აცილების გამოკვლევის საკითხებზე ლაპარაკია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1-ლი ოქტომბრის № 4-ე დადგენილებაში „თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის გამო (საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე და 191-ე მუხლები)“. დადგენილების მე-7 პუნქტში ნათქვამია: ამ დანაშაულის პროფილაქტიკისა და მისი თავიდან აცილების მიზნით სასამართლოებმა თანამდებობრივი დანაშაულის ყველა საქმეზე აუცილებელია გამოარკვიონ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და სათანადო ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოიტანონ კერძო განჩინებები.

დამნაშავეობის გამომწვევ მიზეზებად მიჩნეულია ის სოციალური მოვლენები და პროცესები, რომლებიც იწვევს, ქმნის ან განაპირობებს დანაშაულის ჩადენას. ხელშემწყობ პირობებად კი მიჩნეულია ეკონომიკისა და იდეოლოგიის სფეროში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც, მართალია, თავისთავად არ წარმოქმნის დანაშაულს, მაგრამ ხელს უწყობს მის ჩადენას.

ყველა გარემოებას, რომელიც კი საერთოდ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მასში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების აღმოცენებაზე და ხელს უწყობს მისი დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებას, პირობიდან ად ყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებებად (ფაქტორებად). ამათ გარდა დანაშაულს იწვევს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებებთან, კერძოდ: არასათანადო საზოგადოებრივი წესრიგი, დანაშაულთა გამოვლენისა და გახსნის დაბალი დონე; არაჯეროვანი საპროკურორო ზედამხედველობა; საზოგადოებრიობის ნაკლები აქტიურობა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და თავიდან აცილების საქმეში.

კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენა აიხსნება გარემოებებით, რომლებიც შეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ერთია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო ის არასასურველი პირობები, რომელთა შედეგადაც მას გაუჩნდება და მყარ ჩვევად ექცევა ანტისოციალისტური შეხედულებები, ეს კი საფუძვლად





ედება დანაშაულის ჩადენას და მეორე, კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც მოხდა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღება.

ამრიგად, ისევე როგორც ყველა მოვლენას, დამნაშავეობასაც და მათ შორის თანამდებობრივ დანაშაულსაც აქვს თავისი წარმომშობი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. თანამდებობრივი დანაშაულის, ისევე როგორც ყველა სხვა სახის დანაშაულის საერთო მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთი პირის შეგნებაში ჭარბობს ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალური ჩვევების გადმონაშთები, რომლებიც განსაკუთრებით იჩენს თავს ინდივიდის ფსიქოლოგიაში, შრომისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში, პარაზიტობაში და ეგოიზმში, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისა და კანონისადმი უპატივცემულობაში.

ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ეს ანტიპოდები. შეპყრობილნი არიან რა იოლი, არაკანონიერი გზით უზომოდ გამდიდრების ავადმყოფური სენით, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მზად არიან ანგარების მიზნით ან სხვა რაიმე პირადი მოტივით ბოროტად გამოიყენონ თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობა და აქციონ იგი არაკანონიერი გზით უზომოდ გამდიდრების წყაროდ. შეიძლება დაიბადოს კითხვა: განა ამ პირთა შეგნებაში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები და ჩვევები იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ ისინი დამახასიათებელია სოციალიზმის ეკონომიკური ურთიერთობისათვის? რასაკვირველია, არა. სოციალიზმი არათუ არ შეიცავს ცალკეულ პირთა ანტისაზოგადოებრივ შეხედულებათა და ასეთი მავნე ჩვევების აღმოცენებისათვის რაიმე პირობებს, არამედ, პირიქით, სოციალისტური ურთიერთობანი ქმნის საჭირო, აუცილებელ ობიექტურ წინამძღვრებს ადამიანის შეგნებაში მსგავსი შეხედულებებისა და ჩვევების გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. მაგრამ, ცხადია, საერთოდ არ შეიძლება უარყოფთ ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა, მისი საერთო გავლენა დამნაშავეობაზე და, კერძოდ, თანამდებობრივ დანაშაულთა აღმოცენებაზე.

ჩვენი თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის მთავარ მიზეზად არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამდებობის პირთა მძიმე მატერიალური პირობები. მაგრამ არც ის შეიძლება რომ მთლიანად უარყოფთ მისი გავლენა ამ კატეგორიის დანაშაულთა ჩადენაზე. მათი ურთიერთკავშირი რთულია. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ზოგიერთი ავტორი (ი. ი. ნოი, ი. ა. ისმაილოვი, პ. პ. ოსიპოვი და სხვ.) საერთოდ უარყოფს დამნაშავეობის ეკონომიკური ფაქტორების ასეთ კავშირს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ საბჭოთა ადამიანების მატერიალური უზრუნველყოფის დღევანდელი დონე, მისი კეთილდღეობის ყოველდღიური გაუმჯობესება არ ქმნის არავითარ უარყოფით და მით უმეტეს კრიმინოგენულ ეფექტებს<sup>3</sup>.

ასეთი დასკვნა გულუბრყვილოა, რადგან, როგორც საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ განხილულ თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, მსჯავრდადებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ საქმიანობაში, ეკონომიკური ფაქტორი არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა.

<sup>3</sup> И. А. Исмаилов, П. П. Осипов. Проблема общих причин преступности в советской криминологии. Вестник Ленинградского университета, вып. 23, Л., 1975, стр. 99—100.

ჩვენ უფრო სწორად და გონივრულად გვეჩვენება იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც არ უარყოფენ დანაშაულის წარმოშობაში ეკონომიკის გავლენას. ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ცხადია, ხელს უწყობს არა მარტო ცალკეულ ინდივიდთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ ბევრი ოჯახური კონფლიქტის აღმოფხვრასაც. ეს ფაქტორიც ხშირად უბიძგებს პირს გაიუმჯობესოს მატერიალური პირობები ლატენტური, არაკანონიერი გზით. შექმნილმა მძიმე კონკრეტულმა სიტუაციამაც შეიძლება პატიოსანი მუშაკიც მიიყვანოს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამ ფაქტორების უარყოფა იმ არგუმენტით, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არის მასების სილატაკე, ექსპლოატაცია და უმუშევრობა, ვფიქრობთ, არ შეიძლება. მასების ექსპლოატაცია, სილატაკე და უმუშევრობა ჩვენში დიდი ხანია მოიპო და არავის შეუძლია უარყოს ის უზარმაზარი ძვრები, რომლებიც ყოველდღიურად ხდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება აიხსნას მარტოოდენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენითა და გადმონაშთებით.

ამის დასასაბუთებლად მოვიშველიებთ მ. მ. ბაბაევისა და ა. ს. შლიაპოჩნიკოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მათი აზრით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე დამნაშავეობის წარმოშობაში ეკონომიკური ფაქტორები არ კარგავენ და ვერ დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. ისინი გავლენას ახდენენ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე, სხვადასხვა ფენაზე. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის ქცევა უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია მატერიალური პირობებით და საბოლოოდ ეკონომიკური ურთიერთობებით<sup>4</sup>.

თანამდებობრივ დანაშაულთა წარმოშობასა და გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე შემდეგი ფაქტორები:

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში დაშვებული ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებები;

2. კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული შეცდომები, შესაბამის თანამდებობებზე არაკომპეტენტურ პირთა დანიშვნა;

3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში შემორჩენილი პროტექციონიზმის, მლიქვნელობის, ურთიერთმამებლობის, კუთხურობის, ნათლიმამობის, კრიტიკის დევნისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა არსებობა;

4. ცალკეულ თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობების არასათანადო გამიჯვნა სხვა თანამდებობის პირთა კომპეტენციაში შემაგალი უფლება-მოვალეობისაგან;

5. შრომის ანაზღაურებაში არსებული ხარვეზები, თანამდებობის პირთა არაჯეროვანი უზრუნველყოფა მატერიალურად და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები;

6. არაჯანსაღი ატმოსფერო ცალკეულ პირთა ჯგუფებსა და საზოგადოებაში;

<sup>4</sup> М. М. Бабаев, А. С. Шляпочников. Экономические факторы в механизме преступного поведения, «Сов. гос. и право», 1979, № 2, гл. 61—62.

7. თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმის შეუსაბამობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან;

8. ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კანონის უპატივცემლობა, კანონისათვის გვერდის ავლა, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევა;

9. თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაზე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში შესულ სივნალებზე არასათანადო რეაგირება, ამ კატეგორიის საქმეების გაუხსნელობა;

10. თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება;

11. თანამდებობის პირთა საქმიანობისადმი სუსტი კონტროლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მხრივ;

12. ზემდგომი თანამდებობის პირების ნიჰილისტური დამოკიდებულება ქვემდგომ თანამდებობის პირთა მიმართ, წმინდა ფორმალისტური დამოკიდებულება მათი ხელმძღვანელობისა და კონტროლის დარგში;

13. ზოგიერთი თანამდებობის პირებისათვის არასწორი, არახელსაყრელი, არანორმალური სამუშაო პირობების არსებობა;

14. ცალკეული საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირთა არასაკმარისი სამართლებრივი აღზრდა;

15. თანამდებობის პირთა არაჯეროვანი აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით;

16. საგვეგმო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები (საოჯახო, პირადი მოხმარების და სხვა სახის ნივთებისა და საგნების არასწორი განაწილება, რაც იწვევს ამა თუ იმ სახის ნედლეულის ან სხვა მასალის ერთ ადგილზე დიდი ოდენობით თავმოყრას, მეორე ადგილზე კი იგივე მასალისა და ნედლეულის დეფიციტს და სხვ.);

17. არასაკმაო საპროკურორო ზედამხედველობა თანამდებობის პირთა მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი;

18. თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების არაჯეროვნად განხილვა სამართლოების გამსვლელ სხდომებზე;

19. მეურნეობის ცალკეულ დარგებში, საწარმოებში, დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომხდარ თანამდებობრივ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების არასრული გამოკვლევა, მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ სპეციალური დადგენილებებისა და კერძო განჩინებების არადროული წარდგინება და მათზე არასათანადო რეაგირება;

20 საზოგადოებრიობის ნაკლები აქტიურობა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში და სხვ.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა, სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, საზოგადოებრიობის დარაზმვას ამ დიდი ბოროტების აღმოფხვრისათვის.



# აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული სამსახურის საქმიანობის სრულყოფისათვის

ბ. ლომონჯავა

## 1. სოფლის მეურნეობის ახლებურად მართვის საფუძვლები

სოფლის მეურნეობის მართვის ახალ სისტემას ჩვენს რესპუბლიკაში საფუძველი ჩაეყარა 1973 წელს აბაშის რაიონში განხორციელებული ექსპერიმენტით. ცნობილია, რომ იმ პერიოდისათვის აბაშის რაიონი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსახლეობამ დაკარგა მიწის სიყვარული და შრომის ინტერესი. ამან რაიონის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვა, რომ სოფლის მეურნეობა და მისი ცალკეული დარგები ახლებურად ემართა, რაც ძირითადად იმით გამოიხატა, რომ 1974 წელს აბაშაში შეიქმნა გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი და სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა სამსახური<sup>1</sup>.

აბაშის შემდეგ ამავე სისტემით მუშაობის უფლება მიეცა 14 რაიონს. ხოლო 1980 წლის 22 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ № 303 დადგენილებით დაამტკიცა დებულება „მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ“, რომელიც შემუშავდა „სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების დებულების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7.XII-ს № 1009 დადგენილების შესაბამისად<sup>2</sup>.

1982 წლიდან საწარმოო გაერთიანებებს ეწოდა აგროსამრეწველო გაერთიანებანი. მათს საქმიანობას საფუძვლად დაედო მახარაძის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულება. ამ დებულებით დადგენილი ორგანიზაციული წყობა ყველა რაიონს პირდაპირ არ გადაუღია. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონში 1982 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს აგროსამრეწველო გაერთიანება, რომელშიც შედის 58 ორგანიზაცია, მათ შორის — 14 კოლმეურნეობა, 4 საბჭოთა მეურნეობა, 4 სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია და 38 სახელმწიფო საწარმო და დაწესებულება<sup>3</sup>.

აგროსამრეწველო გაერთიანებას, როგორც მართვის ახალ სისტემას უდავოდ აქვს უპირატესობა. დასაზუსტებელია მთელი რიგი მომენტები, რომლებიც ალბათ გათვალისწინებული იქნება „საქართველოს სს რესპუბლიკაში

<sup>1</sup> Г. Мгеладзе, Р. Андгуладзе, О. Кешелашвили, Н. Шония, «Абашский опыт управления: результаты, перспективы», Тб., 1982 г., с. 3—4, 96, გ. ნოღია „დასაწყისის შემდეგ“, ვაზეთი „კომუნისტი“, 1984 წლის 19 აპრილი.

<sup>2</sup> იხ. „დებულებები, ინსტრუქციები და მითითებები სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის საკითხებზე“. თბ., 1980 წ., გვ. 185-226, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. აპრილი. 1980 წ. გვ. 223-238.

<sup>3</sup> იხ. კ. ქაჯაია „პარტიის რაიკომი და სასურსათო პროგრამა“, თბ., 1983 წ., გვ. 41-42; გ. ნოღია „დასაწყისის შემდეგ“ ვაზეთი „კომუნისტი“, 19-IV-1984 წ.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების დებულების“ პროექტის განხილვის და დამტკიცების დროს. აგროსამრეწველო გაერთიანების შეუფერხებელი საქმიანობისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მოქმედების სფეროს სამართლებრივ მოწესრიგებას. არ შეიძლება მთელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მუდმივი ექსპერიმენტის საგანი იყოს. ექსპერიმენტი უდავოდ იწვევს სიძნელეებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაზე. ამიტომ საქმისათვის უმჯობესია, რაც უფრო მალე დამტკიცდება ზემოხსენებული დებულება, რომელიც საფუძვლად დაედება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების დებულებებს.

## 2. სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახურის მოქმედი სისტემა

რა როლს ასრულებს იურიდიული სამსახური აგროსამრეწველო გაერთიანების სისტემაში, როგორია მისი სტრუქტურა, რამდენად ეფექტიანია მისი საქმიანობა და რა უნდა გაკეთდეს სოფლად იურიდიული სამსახურის გასაუმჯობესებლად.

დღეს თითქმის არ არის მსხვილი საწარმო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია იურისტი რომ არ ჰყავდეს. იურისკონსულტის როლი მართვის სისტემაში ახლა ეჭვს აღარ იწვევს.

იურიდიული სამსახურის ფართო ქსელია შექმნილი სოფლადაც, მაგრამ იურისკონსულტთა მუშაობის ეფექტიანობა მათი რაოდენობის პირდაპირ პროპორციული არ არის. როგორც ჩანს, ეს იმით არის გამოწვეული, რომ არ არის უზრუნველყოფილი მუშაობის სათანადო ორგანიზაცია და მატერიალური დაინტერესება.

რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვადასხვა გაერთიანებებს შტატში ჰყავთ იურისკონსულტი, ან ერთი იურისტი ემსახურება 2-3 მეურნეობას. ამას გარდა, აგროსამრეწველო გაერთიანებებთან შექმნილია იურიდიული ჯგუფები (განყოფილებები), რომლებშიც ორზე მეტ იურისკონსულტია, ისინი ემსახურებიან აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ მეურნეობებს, ზოგჯერ ერთი იურისკონსულტი — 4-5 და მეტ მეურნეობასაც.

იურიდიული მომსახურების გარეშე დარჩენილი ყოველი მეურნეობა შეიძლება იქცეს მძიმე დარღვევების კერად. ხშირად თქმულა, რომ კარგი კანონების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ კანონების რეალიზაციას. „შეიძლება გამოვცეთ მრავალი კარგი ნორმატიული აქტი, მაგრამ თუ არ მოხდა მათი რეალიზაცია, ისინი მხოლოდ კეთილ სურვილებად დარჩება. სწორედ ამიტომ აუცილებელია სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამართლის ნორმების რეალიზაციას“<sup>4</sup>.

სამართლის ნორმების სრულყოფილი რეალიზაცია კი წარმოუდგენელია კვალიფიციური იურიდიული სამსახურის გარეშე. ამიტომ სამართლიანად აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ბოლოს და ბოლოს უკუგდებულ იქნეს მთარუ-

<sup>4</sup> В. С. Тадевосян, «Укрепление социалистической законности в народном хозяйстве», изд. «Наука», М., 1980 г., с. 141—142.

ლი აზრი, რომ იურისკონსულტი არის სამართლებრივ საკითხებზე უბრალო მრჩეველი, „იურისკონსულტი... სამართლებრივი მუშაობის აქტიური ორგანიზატორი და სახელმწიფო ორგანოს ის თანამდებობის პირია, რომელიც ხელმძღვანელობს თავის საკუთარ დამოუკიდებელ უბანს და მოვალეა განაგოს იგი იმისდა მიუხედავად, სთხოვენ თუ არა მას რჩევას სამმართველო აპარატის სხვა მუშაკები“<sup>5</sup>.

აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატში დაწესებულია იურისკონსულტის შტატი, რაც გულისხმობს და მოითხოვს აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობისაგან, რომ საბჭო მუშაობდეს მოქმედი სამეურნეო კანონმდებლობის შესტი დაცვით. ამიტომ გაერთიანებამ აპარატის შტატში აუცილებლად უნდა აიყვანოს იურისკონსულტები. საშტატო განრიგის დარღვევა ფაქტობრივად არის სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა და ხელს უწყობს მმართველობაში კანონიერების რეჟიმის შესუსტებას და უწესრიგობას. ამიტომ სრულიად გამართლებელია ის ფაქტი, როცა ზოგიერთ აგროსამრეწველო გაერთიანებაში იურისკონსულტის საშტატო ერთეულები სხვა სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული.

იურისკონსულტის მუშაობის მეთოდები და ხერხები, მისი კონკრეტული როლი სამეურნეო ურთიერთობებში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი პატივს არ სცემს იურისკონსულტს, არ მიაჩნია იგი თავის მოკავშირედ და დამხმარედ. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა, რომ იურისკონსულტების შესახებ დებულებასა და ინსტრუქციას კარგად გაეცნონ ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ისევე ღრმად უნდა ერკვეოდნენ იურიდიული სამსახურის დანიშნულებაში, როგორც მათდამი დაქვემდებარებული საწარმოს საქმიანობის სხვა სფეროში.

### 3. იურისკონსულტთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის

ყველაზე რთული იურისკონსულტის მუშაობაში არის საკითხი, თუ როგორ, რა ხერხით და მეთოდებით უნდა იმუშაოს მან. ახალბედა იურისკონსულტი ზოგჯერ დიდ სიძნელეებს აწყდება. კანონიერების შესუსტების პირობებში იურისკონსულტს მრავალ წვრილმან დარღვევაზე უხდება წასვლა, რაც მას ზოგჯერ მატერიალურ ზარალს აყენებს და მუშაობის სურვილსაც უკარგავს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იურისკონსულტის ფუნქციები უნდა განისაზღვროს ინსტრუქციით, რომლითაც მას უფლება მიეცემა განსაკუთრებულ შემთხვევებში წავიდეს ცალკეულ დარღვევებზე, თუ ეს მოქმედება მატერიალურ სარგებლობას მოუტანს წარმოებას. ამ თვალსაზრისით საინტერესო აზრებია გამოთქმული იურიდიულ პერიოდიკაში<sup>6</sup>.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით სასარგებლო იქნება დაწესდეს, რომ იურისკონსულტებს მეურნეობების სასარგებლოდ ამოღებული სხვადასხვა თანხიდან დაერიცხთ პროცენტები და განესაზღვროთ თვიური გამოუმუშავების მაქსიმუმი ხელფასთან ერთად. ინსტრუქციამ უნდა შემოიღოს სპე-

<sup>5</sup> ე. დ. მეტრეველი, „იურიდიული სამსახური“, თბ., 1981. წ. გვ. 9.

<sup>6</sup> «Советское государство и право», № 3, 1980 г., с. 60—68; № 4, 1981 г., с. 71—79.

ციალური ნიხრი, რომლის თანახმადაც საქმეების კატეგორიების მიხედვით იურისკონსულტს ხელფასზე დაერიცხებოდა ამოღებული თანხის 1-დან 5 პროცენტი.

იურისკონსულტის შრომა ნორმირებული არ არის, მისი სამუშაო შემოქმედებითია და, ამასთან, როგორც წესი, იურისკონსულტს ბრძოლით უხდება წინააღმდეგობათა დაძლევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისი მეურნეობის ინტერესებს იცავს სხვა იურიდიულ პირთან ურთიერთობაში. მაგალითად, ჩხოროწყუს დამზადების გაერთიანებას მოსკოვის ერთ-ერთმა კონტრაგენტმა შეუმცირა პროდუქციის ღირებულების თანხა 19.349 მანეთით უხარისხობის მოტივით. იურისკონსულტმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კონტრაგენტი-საგან გამოგზავნილ უხარისხობის დამადასტურებელ დოკუმენტებს აკლდა ზოგიერთი რეკვიზიტი, რაც საქონლის მიღების წესებით არის გათვალისწინებული. იურისკონსულტმა დროულად წარადგინა პრეტენზია, შემდეგ სარჩელი და საბოლოოდ, თითქმის სამი წლის შემდეგ, 1981 წლის დეკემბერში არბიტრაჟის გადაწყვეტილებით დაიბრუნა 10.751 მანეთი. ამ საქმის ერთ-ერთ სტადიაში განხილვის დროს იურისკონსულტი იძულებული გახდა ემხილებინა ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა კერძოდ, მოსკოვის კონტრაგენტები 1978 წელს მომწოდებლისაგან პროდუქციას ღებულობდნენ რკინიგზის წესდების დარღვევით, რაც გამონაკლისის წესით დაშვებული იყო 1970 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე. მაგრამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებას, რომელიც ცვლის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, მხოლოდ ერთი წლის ძალა აქვს. ამგვარად, 1978 წელს პროდუქცია მყიდველმა მიიღო მოქმედი წესების დარღვევით, რაც საქმის გარჩევისას გათვალისწინებულ იქნა. ამ შედეგებისათვის რომ მიეღწია, იურისკონსულტს დიდი შრომის დახარჯვა მოუხდა, მიმოწერამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეადგინა მთელი ტომი.

თუ იურისკონსულტის ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან გარკვეულია, მან ზუსტად უნდა დაიცვას თავისი ორგანიზაციის ინტერესები კანონიერი საშუალებებით, გაცილებით უფრო რთულია იურისკონსულტის შიდა სამეურნეო მუშაობა. ღებულების და ინსტრუქციის თანახმად, იურისკონსულტი მოვალეა სისტემატურად შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება მეურნეობის მართვის ორგანოების მიერ მიღებული სახელმძღვანელო აქტები მოქმედ კანონებს. არის ფაქტები, როდესაც მეურნეობის ინტერესებისათვის ხელმძღვანელი ვარეულია კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში. ასეთ ვითარებას გულისხმობს იურისკონსულტების ღებულების მე-14 მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „წარმოების, ორგანიზაციის, დაწესებულების იურისკონსულტი, რომელიც არ მიიღებს ზომებს შესაბამისად ამ ღებულებისა კანონიერების აღმოსაფხვრელად, პასუხს აგებს წარმოების დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად დადგენილი წესით“.

თუ იურისკონსულტი დარწმუნდება, რომ მეურნეობის ხელმძღვანელი სხვადასხვა გარემოებათა გამო უკანონოდ მოქმედებს, იგი უნდა დაეხმაროს მეურნეობის ხელმძღვანელს კანონიერების აღდგენაში. უფრო რთულ ვითარებაში

იურისკონსულტმა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანო და მოითხოვოს დამნაშავეის სათანადოდ დასჯა. ვფიქრობთ, ინსტრუქციაში უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს იურისკონსულტის მიერ ზემდგომ ორგანოებში საკითხის დასმის ფარგლები.

იურიდიული სამსახური ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მეურნეობის იურისკონსულტს ზემდგომ ორგანოში ჰყავდეს რაიონის მასშტაბის ხელმძღვანელი იურისტი. აგროსამრეწველო გაერთიანების პირობებში მეურნეობათა იურისკონსულტების საქმიანობას მიზანშეწონილია უძღვებოდეს აგროსამრეწველო გაერთიანება თავისი უფროსი თუ მთავარი იურისკონსულტის მეშვეობით. აგროსამრეწველო გაერთიანებას შტატში უნდა ჰყავდეს იურისტები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მეურნეობათა იურისტებს.

1981 წლიდან მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანებაში იურიდიული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დავალებული ჰქონდა ზედამხედველობა გაეწია, შესაბამებოდა თუ არა გამგეობის დადგენილებები მოქმედ კანონმდებლობას და გაეფორმებინა აგრეთვე ოქმები. ამჟამად გეგეჭკორის აგროსამრეწველო გაერთიანებაში იურიდიული განყოფილების უფროსი არის აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობის წევრი და დავალებული აქვს ოქმების გაფორმებაც. ვფიქრობთ, ეს არის საკითხის სწორი გადაჭრა. იურიდიული სამსახურის ასეთი ორგანიზაციის დროს აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობა დაზღვეულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევისაგან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის მოქმედი სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს ისე, როგორც ეს ჩხოროწყუს აგროსამრეწველო გაერთიანებაში მოხდა, სადაც დაშალეს იურიდიული ჯგუფი და იურისკონსულტები გაუშვეს მეურნეობებში (თითოეული 2-3 მეურნეობაში). ვფიქრობთ, იურისკონსულტებს, რომლებიც ერთზე მეტ მეურნეობას ემსახურებიან, უკეთ მომსახურების ზონის გაფართობისათვის 30 პროცენტით უნდა გაუდიდდეთ ხელფასი სამსახურის შეთავსებისათვის<sup>7</sup>, იურისკონსულტებს უნდა დაუწესდეთ ხელფასის დანამატი სისტემატური მიმოსვლისათვის მანძილის გათვალისწინებით<sup>8</sup>. უდაოდ მიგვაჩნია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსები არიან მთავარი სპეციალისტები და მათ ხელფასები უნდა ეძლეოდეთ სხვა მთავარ სპეციალისტების თანაბრად.<sup>9</sup>

ამგვარად, აგროსამრეწველო გაერთიანების პირობებში იურიდიული სამსახურის სტრუქტურის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია: აგროსამრეწველო გაერთიანებას ჰყავდეს შტატში ორკაციანი ჯგუფი საკუთარი მომსახურებისათვის. აქედან ერთი იქნება უფროსი, მეორე — რიგითი იურისკონსულტი; უფროსი იურისკონსულტი უფლებებით გაუთანასწორდეს მთავარ სპეციალისტს. ეს ჯგუფი, უპირველესად უფროსი იურისკონსულტი, უნდა იყოს აგროსამრეწ-

<sup>7</sup> იხ. 1981 წლის 8 მაისის №135 პ-4 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო საწარმოების მუშაკების შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“, გვ. 95. პ. 21.

<sup>8</sup> იხ. «Справочник профсоюзного работника», М., Профиздат, 1981 г., с. 181.

<sup>9</sup> ამ საკითხზე იხ. „საბჭოთა სამართალი“ 1982 წ. № 2, გვ. 53-54.



ველო გაერთიანების ყოველდღიური საქმიანობის კურსში და დებულების შესაბამისად აქტიურად მონაწილეობდეს მის საქმიანობაში, ესწრებოდა გამგეობისა და საბჭოს სხდომებს, მონაწილეობდეს დადგენილებების შემუშავებაში, მისი შესრულების შემოწმებაში; უფროსი იურისკონსულტი მოვალეა აკონტროლებდეს, შეესაბამება თუ არა სამრეწველო გაერთიანებიდან გასული საქმიანი ქაღალდები მოქმედ ნორმატიულ აქტებს, მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა გაუწიოს აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ მეურნეობებში მომუშავე იურისკონსულტებს, შეამოწმოს მეურნეობებში დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მდგომარეობა, ცალკეულ შემთხვევებში დაენმაროს მათ სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოებში საქმეთა წარმოებაში. საკუთრივ მეურნეობებს, თუ არის ამის შესაძლებლობა, შტატში უნდა ჰყავდეს იურისტები, მაგრამ როცა საჭირო კადრები არა ჰყავთ, უმჯობესია აგროსამრეწველო გაერთიანებებთან იურიდიული განყოფილების (ჯგუფის) შექმნა მეურნეობების იმდაგვარი გადანაწილებით, რომ არც ერთი მეურნეობა არ დარჩეს იურიდიული მომსახურების გარეშე.

და, ბოლოს, აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული მომსახურების შესახებ სახელმძღვანელო აქტებს ჩვენი რესპუბლიკისათვის უნდა ადგენდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, რომელსაც შემდეგ დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ამ წესით მიღებულ დებულებასა და ინსტრუქციას მეტი ქმედითი ძალა ექნება.

ამასთან ამ აქტებში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვაში განხორციელებული ცვლილებანი.

# ნოტარიატი: მუშაოზის ორგანიზაცია, ამოხანაუი, პროკლავაუი

ზ. ლავარინი

რესპუბლიკის სხვა სამართალდაცვით ორგანოებთან ერთად სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფო ნოტარიატსაც.

საბჭოთა ნოტარიატი იცავს მოქალაქეების, დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების კანონიერ უფლებებს. მისი საქმიანობის შინაარსი მრავალმხრივია. ნოტარიატის ორგანოები აფორმებენ მოქალაქეთა სამართლებრივი უფლებების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, ანდერძებს და სხვა გარიგებებს, ადასტურებენ აგრეთვე იურიდიულ ფაქტს, გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობას და ა. შ. ეს დოკუმენტები ქმნიან მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიებს, ამავე დროს მათი შედგენისას გათვალისწინებულია სახელმწიფოს ინტერესები.

სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოები სანოტარო მოქმედების შესრულების დროს მოვალენი არიან ემყარებოდნენ მოქმედ კანონმდებლობას, უზრუნველყონ საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, აღვეთონ სამართალდარღვევა. ისინი უნდა ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის 57-59 მუხლებით, რომლებიც ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციას, დაწესებულებას, თანამდებობის პირს პატივისცემით მოეპყრას პიროვნებას, მის უფლებებსა და თავისუფლებებს.

საბჭოთა ნოტარიატს საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 4 ოქტომბერს, როდესაც რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დებულება, რომლითაც ნოტარიატი გადაიქცა იუსტიციის სისტემის დამოუკიდებელ ორგანოდ.

პირველი საერთო-საკავშირო საკანონმდებლო აქტი სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციისა და პრინციპების შესახებ მიღებულ იქნა 1926 წელს. მის საფუძველზე სახელმწიფო ნოტარიატი თითქმის ნახევარი საუკუნე ახორციელებდა თავის ფუნქციებს.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებამ, სხვა ქვეყნებთან საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ-კულტურული და მეცნიერული ურთიერთობების განვითარებამ მოითხოვა სახელმწიფო ნოტარიატის ახალი კანონმდებლობის მიღება. 1973 წლის 13 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მი-

ილო კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“. ამ აქტში აისახა სახელმწიფო ნოტარიატის მუშაობის დადებითი გამოცდილება, კვლავაც დამკვიდრდა პრაქტიკაში გამართლებული სამართლებრივი ნორმები, ამასთანავე მასში შეტანილ იქნა ახალი პრინციპული დებულებანი, რომლებიც შემუშავებულია იურიდიული მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით. საკავშირო კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საფუძვლად დაედო მოკავშირე რესპუბლიკების კანონებს ნოტარიატების შესახებ.

ნოტარიატის საკავშირო კანონი შემდეგშიც ვითარდებოდა და იხვეწებოდა, რაც აისახებოდა რესპუბლიკურ კანონმდებლობაშიც. ამჟამად მოქმედი კანონი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით. მის საფუძვლზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 23 ივნისის № 456 დადგენილებით დაამტკიცა ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

რესპუბლიკაში ამჟამად ფუნქციონირებს 130 სახელმწიფო სანოტარო კანტორა, რომლებსაც 138 სახელმწიფო ნოტარიუსი ემსახურება.

ყველაზე რთულ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად ქალაქებში თბილისში, სოხუმიში, ბათუმსა და ცხინვალში შექმნილია პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორები.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც თითქმის ყველა სანოტარო კანტორა ბნელ, მოუწყობელ შენობაში იყო მოთავსებული, იდგა გაუთავებელი რიგები, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის სანოტარო კანტორების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, რამაც უზრუნველყო მოქალაქეთა მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება. თუ 1972 წელს რესპუბლიკაში მხოლოდ 75 სანოტარო კანტორა გვექონდა, ამჟამად როგორც ზევით ითქვა, ფუნქციონირებს 130 სანოტარო კანტორა. თუ 1972 წელს სახელმწიფო სანოტარო კანტორებში შესრულებული იყო 818.960 სანოტარო მოქმედება, 1983 წელს შესრულდა 1.082.518 სხვადასხვა სანოტარო მოქმედება, ამ ციფრების მიღმა მილიონობით საბჭოთა მოქალაქის საარსებო ინტერესები დგას. ამანაც განაპირობა ის, რომ საქართველო დღეს ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც სანოტარო კანტორებში რიგები ფაქტობრივად ლიკვიდირებულია.

სახელმწიფო ნოტარიატის რესპუბლიკური კანონის მე-13 მუხლით, სახელმწიფო სანოტარო კანტორები, გარდა იმისა, რომ ადასტურებენ გარიგებებს, გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს, ამოწმებენ აგრეთვე დოკუმენტების პირებსა და ამონაწერების სისწორეს დედანთან, ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს, დეპოზიტში იღებენ ფულსა და ფასიან ქალაქებს, შესანახავად იღებენ დოკუმენტებს, ასრულებენ სააღსრულებო წარწერებს, საზღვაო პროტესტებს და სხვა. მარტო 1981 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ დადასტურებულია 4.719 ანდერძი, გაცემულია 10.324 მემკვიდრეობის მოწმობა, დადასტურებულია 3.228 სახის განსხვავების ხელშეკრულება და სხვა. სა-

ხელმწიფო ნოტარიუსები ყველა სანოტარო მოქმედების შესრულებისას მკაცრად იცავენ მოქმედ კანონმდებლობას.

სოციალისტური კანონიერების დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. ამის უზრუნველსაყოფად ყველა იურიდიული სამსახური ვალდებულია კანონის აზრი და შინაარსი გააცნოს თითოეულ მოქალაქეს. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ნოტარიატის ორგანოებსაც. სახელმწიფო ნოტარიუსები სისტემატურად უკითხავენ მოსახლეობას ლექციებს სამოქმედო ტერიტორიის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. მარტო 1983 წელს წაკითხულია 3.500-ზე მეტი ლექცია და მოხსენება საბჭოთა სამოქალაქო საშართლის აქტუალურ თემებზე. ნოტარიუსები ხშირად გამოდიან ადგილობრივი პრესის ფურცლებზეც.

ნოტარიატის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად მოსახლეობის იურიდიული მომსახურების მიზნით დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო კანტორები არ არის, ზოგიერთი სახის სანოტარო მოქმედების შესრულების უფლება დაკისრებული აქვთ სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს. იმისათვის, რომ ამ აღმასკომებში სანოტარო მოქმედებანი კანონის მოთხოვნათა დაცვით სრულდებოდეს, სახელმწიფო ნოტარიუსები ვალდებული არიან პერიოდულად შეამოწმონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებთა კანონიერება, პერიოდულად მოაწყონ ინსტრუქტაჟი, გაუწიონ მათ მეთოდოლოგიური დახმარება და სხვა.

იმ საბჭოების თანამდებობის პირები, რომლებსაც აღმასკომების გადაწყვეტილებით დავალებული აქვთ სანოტარო მოქმედების შესრულება, წელიწადში ერთხელ გადიან ხუთდღიან საწარმოო პრაქტიკას შესაბამისი რაიონის სანოტარო კანტორებში.

სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მათი დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ამ მიმართებით მთელი რიგი ღონისძიებები განაზოცრცია. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო ნოტარიუსებად მუშაობენ მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშაკია. იუსტიციის სამინისტროს გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო ნოტარიუსების კვალიფიკაციის ამაღლება. ახლად დანიშნული სახელმწიფო ნოტარიუსები, როგორც წესი, გადიან ერთთვიან სტაჟირებას I სახელმწიფო სანოტარო კანტორებში, ხოლო ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იგზავნიან კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე. სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველო ყოველთვიურად აწყობს სემინარებს ნოტარიუსებისათვის, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოწმდება თითოეული სანოტარო კანტორის მუშაობა, შედეგებს განიხილავს სამინისტროს კოლეგია ან სამმართველოს ოპერატიული თათბირი, რომლებიც სახავენ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რესპუბლიკაში ერთიანი სანოტარო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით სამმართველო პერიოდულად ამოწმებს და განაზოგადებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებებს. შედეგები განიხილება სამინისტროს კოლეგიაზე, მუშავდება სათანადო სადი-

რეკტივო ან საინსტრუქციო წერილები, რომლებიც ეგზავნება სანოტარო კანტორებს სახელმძღვანელოდ.

სახელმწიფო ნოტარიუსების უმრავლესობა პირნათლად ასრულებს დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას და საზოგადოებრივ დავალებებს. მათ შობის არიან ამბროლაურის, ლანჩხუთის, ქ. სოხუმის I, ქ. ქუთაისის II, ქ. თბილისის III სახელმწიფო ნოტარიუსები გ. ხიდურელი, ზ. ჩხაიძე, ა. ჯინჯოლავა, ს. ედიბერიძე, ლ. ჭუმბურიძე და სხვა. ამ სანოტარო კანტორებში მაღალ დონეზეა მოსახლეობის მომსახურების კულტურა, სანოტარო მოქმედებათა შესრულების ხარისხი. ეს ნოტარიუსები ხშირად გამოდიან პრესის ფურცლებზე ადგილობრივი რადიოთი, ლექციებით და სხვა.

მაგრამ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ზოგიერთი სახელმწიფო ნოტარიუსის პროფესიული ცოდნის დაბალი დონე, დავალებული საქმისადმი უგულსიყურო დამოკიდებულება და სხვა.

თბილისის თითოეულ რაიონში მოქმედებს 2-3 სანოტარო კანტორა, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებით არიან განლაგებული. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოსახლეობის უკეთ მომსახურების, სანოტარო კანტორების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მათი სასამსახურო ფართობით უზრუნველყოფისა და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისში რაიონული სანოტარო კანტორების შექმნა. ამის შესახებ საკითხი დაისვა ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რომელმაც 1980 წლის 14 მარტის № 332 განკარგულებით დაავალა ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს რაიონული სანოტარო კანტორებისათვის გამოეყოს კეთილმოწყობილი ბინები. ეს განკარგულება დღემდე შეუსრულებელია.

ნოტარიატის ორგანოები ყველაფერს იღონებენ, რათა გააუმჯობესონ მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურება, განუხრელად დაიცვან კანონი, სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესები.



# წაკისულის ვურსული

## ქართული ბოლშევიკების მოღვაწეობა მოსკოვის გარემოსაჯულების ორგანოებში

მ. ლანელია

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ფართოდ იყო გამოყენებული ხელისუფლების ახლად ჩამოყალიბებული ორგანოები — სახალხო სასამართლოები, რევოლუციური ტრიბუნალები და მუშათა მილიცია. საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სასამართლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოადგენს ჩაგვრის აპარატს, ბურჟუაზიული ექსპლოატაციის აპარატს. ამიტომ პროლეტარული რევოლუცია არ შეიძლება დაკმაყოფილებულიყო სასამართლო დაწესებულებათა რეფორმით, მას უნდა დაემსხვრია მთელი ძველი სასამართლო, მისი ბიუროკრატიული აპარატი და შეექმნა ახალი სახალხო სასამართლო, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა მშრომელთა და ექსპლოატირებული კლასების სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის პრინციპი. სასამართლოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მშრომელთა უმკაცრესი დისციპლინისა და თვითდისციპლინის გატარება<sup>1</sup>.

1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოსკოვის საბჭომ სახალხო სასამართლოს შესახებ სახალხო კომისარათა საბჭოს დეკრეტის შესაბამისად მიიღო დადგენილებანი ძველ, ბურჟუაზიულ სასამართლო დაწესებულებათა ლიკვიაციისა და ახალი, ტერიტორიული სასამართლოს შექმნის თაობაზე. მოსკოვის რაიონულ საბჭოებს, საფაბრიკო და საქარნო კომიტეტებს წინადადება მიეცათ სასწრაფოდ დაეკომპლექტებინათ სახალხო სასამართლოები არჩევნების გზით. დეკემბრის ბოლოს არჩეულ იქნა 20 სახალხო სასამართლო, შეიქმნა აგრეთვე სახალხო სასამართლოების საბჭო.

1917 წლის 11 დეკემბერს მოსკოვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო საქმეთა კომისარიატის შექმნის შესახებ. ქ. მოსკოვის

ამ უმაღლეს სასამართლო ორგანოს სათავეში ჩაუდგა ძველი ბოლშევიკი, რუსეთის სამივე რევოლუციის აქტიური მონაწილე დ. ი. კურსკი, რომელიც შემდგომში იუსტიციის სახალხო კომისრად დაინიშნა.

კონტრრევოლუციური ძალების აღკვეთაში უდიდესი როლი შეასრულა მოსკოვის რევოლუციურმა ტრიბუნალმა, რომელიც მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა 1917 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში შექმნა.

1917 წლის 14 დეკემბერს გაზეთი „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს უწყებები“ იტყობინებოდა, რომ სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტის განსახორციელებლად მოსკოვში ფუნქციონირებს რევოლუციური ტრიბუნალი. მის საქმიანობას საფუძვლად დაედო მ. ნ. პოკროვსკის მიერ შედგენილი დებულება ტრიბუნალის შესახებ, რომელიც დაამტკიცა მოსკოვის საბჭოს საგანგებო სხდომაზე.

მოსკოვის საბჭოს პლენუმმა აირჩია ტრიბუნალის შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: მოსკოვში ოქტომბრის ბრძოლების აქტიური მონაწილე, ბოლშევიკი ვ. ი. ბოდროვი, ცნობილი პარტიული და საბჭოთა მოღვაწე, მოსკოვში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოსკოვის კომიტეტის ბიუროს წევრი და მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ქართველი ბოლშევიკი ილია ბენედიქტეს ძე წიგწივაძე, ბოლშევიკი ა. მ. ტაშარინი, რომელმაც შემდგომში დიდი როლი შეასრულა მოსკოვის სურსათით მომარაგებაში, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წევრი ს. ს. ბელორუსოვი და სხვები<sup>2</sup>.

რევოლუციურმა ტრიბუნალმა, როგორც პოლიტიკურმა ორგანომ, უდიდესი როლი

1 В. И. Ленин, Полное собрание сочинений, V изд., т. 36, стр. 162—163.  
 2 მოსკოვის ოლქის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ЦГАМО ფ. 66, აღწ. 12. საქმე 7, ფურც. 2.

შეასრულა კონტრრევოლუციისა და სბეკუ-  
ლაციის, სახელმწიფო ქონების დატაცები-  
სა და საბოტაჟის, მაროდერობისა და სხვა  
დანაშაულის, ყველა ჯურის კონტრრევოლუ-  
ციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავდაპირველად, სახალხო სასამართლო-  
ების საბოლოო ჩამოყალიბებამდე, ტრიბუნა-  
ლი ასრულებდა აგრეთვე ადგილობრივი და  
საოლქო სასამართლოების ფუნქციებსაც. იგი  
იყო ახალი ხელისუფლების ქეშმარიტი ქომა-  
გი და თავის მოღვაწეობაში ეყრდნობოდა  
მშრომელი მასების მხარდაჭერას.

ქართველი ბოლშევიკ-ლენინელი ილია წიგ-  
წივაძე მოსკოვის რევოლუციური ტრიბუნა-  
ლის სული და გული იყო. მთელი თავისი  
შეგნებული ცხოვრება, ძალ-ღონე და უნარი  
მან მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის  
ბრძოლის მოახმარა. იგი იყო რევოლუციური  
მოძრაობის აქტიური მონაწილე, ცნობილი  
პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი  
ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრ-  
ძოლი. „ამხანაგი ილია“ — ასე უწოდებდნენ  
პარტიულ დოკუმენტებში, ასევე მიმართავ-  
დნენ მას დიდი ლენინი და მისი თანამებრ-  
ძოლები.

ილია წიგწივაძის, როგორც პროფესიული  
რევოლუციონერის, ცხოვრება და მოღვაწეო-  
ბა მკვიდრად არის დაკავშირებული კომუნის-  
ტური პარტიის ისტორიასთან, მოსკოვში  
საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის  
ბრძოლისათვის, ვ. ი. ლენინთან და ლენინური  
გვარდიის რევოლუციონერებთან, მ. თ. ვლადი-  
მიროსკისთან და ო. ა. პიანინციკისთან ერ-  
თად ი. ბ. წიგწივაძემ, რომელიც 1917 წლის  
ოქტომბერში მოსკოვის კომიტეტის სამდივ-  
ნოს შემადგენლობაში აირჩიეს, მნიშვნელო-  
ვანი წვლილი შეიტანა მოსკოვში ოქტომბრის  
შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემ-  
დეგ ი. წიგწივაძე დიდ ენერგიას ახმარს  
დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვას, და-  
უნდობლად ებრძვის კონტრრევოლუციონე-  
რებსა და მესაბოტაჟეებს.

ი. წიგწივაძე იკონებს ასეთ ეპიზოდს:  
„მოსკოვში, ოქტომბრის რევოლუციის მესა-  
მე თუ მეოთხე დღეს მე მომიწია აღმეკვეთა  
სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრე-  
ბის დამხმარე სალაროს მომსახურეთა საბო-  
ტაჟი. ისინი ცდილობდნენ უარი კეთილად  
გასაცემ თანხაზე და ამით მოსახლეობის უკ-

მაყოფილება გამოეწვიათ. სალაროს ხელმძ-  
ვანელი კადეტები დავაშინე, ხოლო რიგითი  
მოსამსახურეები დავიყოლიე“<sup>3</sup>.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემ-  
დეგ ი. წიგწივაძე მოსკოვის კომიტეტის ბი-  
უროს წევრი და მოსკოვის საბჭოს პრეზი-  
დიუმის წევრია. პარტია მას სამუშაოდ გზავ-  
ნის რევოლუციურ ტრიბუნალში — მოსკო-  
ვის საბჭოს რევოლუციური ტრიბუნალის  
თავმჯდომარის მოადგილედ და საგამომიბო  
კომისიის თავმჯდომარედ.

ი. წიგწივაძე რამდენჯერმე ახარებს ანგა-  
რიზს მოსკოვის კომიტეტს, მოსკოვის საბჭოს  
და ფაბრიკა-ქარხნების შრომითს კოლექტი-  
ვებს რევტრიბუნალის პრეზიდიუმის მიერ  
გაწეული მუშაობის შესახებ. ტრიბუნალი  
მაშინ ქალაქ მოსკოვში ერთადერთი სასა-  
მართლო დაწესებულება იყო და უამრავი  
საქმე ჰქონდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან  
საქმეებთან ერთად ზოგჯერ ტრიბუნალი  
წვრილმან, უმნიშვნელო საქმეებსაც განიხი-  
ლავდა. ტრიბუნალის სხდომები საჯაროდ  
იმართებოდა. განაჩენს ღებულობდნენ სასა-  
მართლო კოლეგიის წევრთა ხმების უმრავ-  
ლესობით. ტრიბუნალის გადაწყვეტილებანი  
საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებ-  
არებოდა.

რევტრიბუნალს ირჩევდა მოსკოვის მუშა-  
თა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ერ-  
თი მუდმივი თავმჯდომარის, ორი მუდმივი  
მოადგილისა და 24 მსაჯულის (მოსამართ-  
ლის) შემადგენლობით. სამსჯავრო გამოიე-  
ბას წარმართავდა რევტრიბუნალის თავმჯ-  
დომარე ან მისი მოადგილე. სასამართლო კო-  
ლეგიაში შედიოდა კენჭისყრით არჩეული  
ექვსი მოსამართლე.

1918 წლის იანვარ-ოქტომბერში ტრიბუ-  
ნალმა წარმოებით მიიღო 2880 საქმე, რო-  
მელთაგანაც განიხილა 945, ახლად შექმნილ  
ადგილობრივ სასამართლოებს გადასცა 1088  
საქმე. დანარჩენი საქმეები განიხილვის სტა-  
დიაში იყო<sup>4</sup>.

მოსკოვის ტრიბუნალს დეკრეტების სა-  
ფუძველზე გამოჰქონდა განაჩენები, რომლე-  
ბიც ემყარებოდა რევოლუციურ მართლშეგ-  
ნებას. 1918 წლის 1 იანვრიდან 15 ოქტომ-  
ბრამდე მის სახელზე 27 საკასაციო საჩივარი  
და 10 საკასაციო პროტესტი იყო შეტანილი.  
საჩივრები არ იქნა გაზიარებული, ხოლო 2  
პროტესტი დააკაყოფილეს<sup>5</sup>.

<sup>3</sup> «От февраля к Октябрю», М., 1967, стр. 363.

<sup>4</sup> ЦГАМО, ფ. 66, აღწ. 12, საქ. 429, ფურც. 50.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 54, 55.



მოსკოვის საბჭო კარდინალურ ზომებს მიმართავდა საბოკატუთან საბრძოლველად. 1918 წლის 26 იანვარს მან დიითხოვა კომისიარტების მესაბოკატუები, ამასთან წინადადება მისცა მათ სამი დღის ვალში დაეცალათ სახაზინო ბინები. მიუხედავად ამისა, მასობრივი საბოკატუი არ აღიკვეთა. საბჭოთა ხელისუფლება ანტისაბჭოური ელემენტების გააფორებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მხოლოდ 1918 წლის იანვარ-თებერვალში მოსკოვის საბჭოს, პროკავშირებისა და რევოლუციური ტრიბუნალის ენერგიული ზომების შედეგად იქნა ლიკვიდირებული საბოკატუი<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რევოლუციური ტრიბუნალების საქმიანობას, მოითხოვდა მისი ხელმძღვანელებისაგან რკინისებურ პარტიულ დისციპლინას, თვითკრიტიკულობას, სოციალისტური კანონიერების უმკაცრეს დაცვას, კონტრრევოლუციონერების, მეტროთამეების, სპეკულანტების, დეზორგანიზატორების, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ უღმობელი ზომების მიღებას. ვ. ი. ლენინი მესაბოკატუებსა და გაფიცულ მოხელეებს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ „კონტრრევოლუციასთან ბრძოლა მთელი საკუთარი ძალით ადგილზე — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა“<sup>7</sup>.

ვ. ი. ლენინის დაწერილ „პროექტში დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ“ შეტანილი იყო შემდეგი პუნქტი: „11. იმავე სასჯელით (ე. ი. სახელმწიფოსა და ხალხის მოტყუებაში დამნაშავეთათვის მთელი ქონების ჩამორთმევით), აგრეთვე საპრობილუში ჩასმით ან ფრონტზე და იძულებით სამუშაოზე გაგზავნით დაისჯებიან ამ კანონის ურჩინი, მესაბოკატუნი და გაფიცული მოხელენი, აგრეთვე სპეკულანტები. ადგილობრივი საბჭოები და მათთან არსებული დაწესებულებები ვალდებული არიან სასწრაფოდ შეიმუშაონ ყველაზე უფრო რევოლუციური ზომები ხალხის ამ ნაშადვილი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად“<sup>8</sup>.

ამასთან ვ. ი. ლენინი რევოლუციური ტრიბუნალების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდა ხალხის მტერი — მესაბოკატუე, გაფიცული მოხელე გაერჩიოთ ცალკეული შერყევი, გზაბნეული პიროვნებისაგან. ფრთხილად, მოთმინებით მოპყრობოდნენ უნარიან, ნიჭიერ სპეციალისტებს, აეხსნათ მათთვის საბჭოთა ხელისუფლების მიზნები და ამოცანები, ჩაეყენებინათ ისინი მშრომელი ხალხის სამსახურში. ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: „1918 წლის 24 ნოემბერს ვ. ი. ლენინი ესაუბრება იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს ი. ბ. წიგწივაძეს ინჟინერ-გამომგონებლის თ. თ. ბოგატირევის საქმეზე და მოითხოვა იმავე დღეს მიაწოდონ შუამდგომლობა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან და განსაკუთრებით მომარაგების საგანგებო კომისიისაგან ა. ბ. კრასინისაგან ბოგატირევის განთავისუფლებისა და მისთვის სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების შექმნის შესახებ“<sup>9</sup>.

ი. ბ. წიგწივაძესთან ერთად მოსკოვის რევტრიბუნალის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა მეორე ქართველი ბოლშევიკ-ლენინელი, 1904 წლიდან პარტიის წევრი სერგო ივანეს ძე ფილია (1885-1925). იგი 1911 წლიდან რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში. 1912 წელს მან სხვა ამხანაგებთან ერთად შექმნა მბეჭდავთა კავშირი. ს. ფილიაკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 1918 წელს იგი ხელმძღვანელობს მბეჭდავთა გაფიცვებს. 1917 წელს პარტიის მოსკოვის საქალაქო რაიკომის წევრია, აქტიურად მონაწილეობს ბოლშევიკური გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ გამოცემაში. სერგო ფილია არჩეული იყო აგრეთვე რსდმპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის აღმასკომის წევრად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი მოსკოვის საბჭოს დეპუტატად. 1918 წლის 18 ივნისს მოსკოვის საბჭოს პლენარულ სხდომაზე მოსკოვის საბჭოს დეპუტატი სერგო ფილია მოსკოვის რევტრიბუნალის სასამართლოს მსაჯულად (მოსამართლედ) აირჩიეს<sup>10</sup>.

საარქივო დოკუმენტებიდან, რომლებიც

<sup>6</sup> Очерки истории Московской организации КПСС. Книга II, ноябрь, 1917 — 1945 г., М., Московский рабочий, 1983, стр. 32—33.  
<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 498.  
<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 457.  
<sup>9</sup> В. И. Ленин, Биографическая хроника, т. 6, стр. 247.  
<sup>10</sup> ЦГАМО ფ. 66, აღწ. 12, შენახვისერთეული 357, გვ. 52ა



ისტორიამ შემოგვინახა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ბოლშევიკი სერგო ფილია რევტრიბუნალის მოსამართლის პოსტზე სამაგალითოდ ასრულებდა ლენინურ განაწესს — ფხიზლად იდგა პროლეტარული დისციპლინის დაცვისა და განმტკიცების სადარაჯოზე, პრინციპულად და უღმრთოდ ებრძოდა მათ, ვინც თავისი საქციელით არცხვენიდა საბჭოთა ხელისუფლებას.

მოსკოვის საბჭოსთან იმხანად არსებობდა იურიდიული განყოფილების კოლეგია, რომლის შემადგენლობაში ირჩევდნენ საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკებს, რევტრიბუნალის ხელმძღვანელებს. მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის 1918 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით ი. ბ. წივწივაძე დამტკიცეს იურიდიული განყოფილების კოლეგიის შემადგენლობაში და მასვე დაევალა ამ კოლეგიის გამგის მოვალეობის შესრულება<sup>11</sup>.

ი. ბ. წივწივაძის აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე უშრინალ „პარტინია უინის“ ა. წ. ივლისის ნომერში დაბეჭდილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ გ. თ. სიზოვის სტატია: „ავამადლოთ სარევიზიო კომისიების აქტიურობა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„რევოლუციამდე და დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველ წლებში პარტიას საქმოდ

შეზღუდული საშუალებები ჰქონდა. თითოეული კაპიკი დათვლილი იყო. იმ დროს არსებული წესის თანახმად, პარტიის ყოველ ყრილობაზე ირჩევდნენ სარევიზიო კომისიებს, რომლებიც რევიზიას ატარებდნენ მხოლოდ ყრილობების ჩატარების პერიოდში. 1919 წელს, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობაზე, პირველად არჩეულ იქნა მუდმივი სარევიზიო კომისია სამი ამხანაგის: დ. ი. კურსკის, ა. ვ. ლუნაჩარსკისა და ი. ბ. წივწივაძის შემადგენლობით. მუდმივი სარევიზიო კომისიის არჩევა განპირობებული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივად მზარდი ფულადი და მატერიალური საშუალებების პერიოდული რევიზიების ჩატარების აუცილებლობით“<sup>12</sup>.

ამგვარად, ცნობილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ქართველი ბოლშევიკები ი. ბ. წივწივაძე და ს. ი. ფილია აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის რევტრიბუნალის საქმიანობაში, პირველი — როგორც რევტრიბუნალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო მეორე — როგორც რევტრიბუნალის მოსამართლე.

მოსკოვის ტრიბუნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. მოსკოვში რევოლუციური წესრიგის უზრუნველყოფაში. მის აქტიურ საქმიანობას ხელი შეუწყო ქართველი ბოლშევიკების ენერგიულმა მოღვაწეობამაც. ერთიანი სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელების შემდეგ რევტრიბუნალები გაუქმდა.

11 იქვე, ფ. 66, აღწ. 12, შენახვის ერთეული 348, გვ. 221.

12 Журнал «Партийная жизнь», № 13, 1984 г., стр. 27.

# საქართველო კონსტიტუციის მოსახლეობას

## სიასლენი სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია ბევრ შეკითხვას იღებს მკითხველებისაგან. ისინი გვთხოვენ განუმარტოთ მათ სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში ბოლო ხანს შეტანილი სიასლენი.

რედაქციამ გააანალიზა ეს შეკითხვები, შეარჩია უფრო ტიპური და მათზე პასუხის გაცემა სთხოვა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსს ირინე ლლონტს.

პითხვბ. ვარ 54 წლის მამაკაცი, შრომის III ჯგუფის ინვალიდი. მაქვს 25 წლის საერთო შრომის სტაჟი, მათ შორის 17 წელი განუწყვეტლივ ვმუშაობ ერთ საწარმოში. გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა რაიმე უპირატესობა მოხუცებულობის პენსიის დანიშვნისას, რადგან სტაჟი შევგაროვე, ხომ არა მაქვს უფლება ვავიდე მოხუცებულობის პენსიაზე 55 წლის ასაკის შესრულების შემდეგ და მეუთვნის თუ არა პენსიის დანამატი?

პასუხი. მოხუცებულობის პენსია დაგენიშნებათ საერთო წესით. ე. ი. 60 წლის შესრულების შემდეგ. რადგან გაქვთ 15 წელზე მეტი განუწყვეტელი შრომის სტაჟი, დაგერიცხებათ პენსიის დანამატი 10 პროცენტის ოდენობით. შრომის III ჯგუფის ინვალიდები მოხუცებულობის პენსიის დანიშვნის დროს შეღავათებით არ სარგებლობენ. მოხუცებულობის პენსიის 55 წლის ასაკში დანიშვნის უფლებით კანონის თანახმად სარგებლობენ მხოლოდ ომის ინვალიდები.

პითხვბ. ვარ 65 წლის. დანიშნული მაქვს მოხუცებულობის პენსია თვეში 120 მანეთის ოდენობით. ვაგრძელებ მუშაობას. დღეისათვის მაქვს ერთ სისტემაში შემავალ სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობის 38 წლის განუწყვეტელი სტაჟი. პენსიის დანამატი 10 პროცენტი უკვე დარიცხული მაქვს, უკმაყოფილო ვარ იმით, რომ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ უარი მითხრა კიდევ 10 პროცენტის დამატებაზე.

გთხოვთ განმიმარტოთ, სწორია თუ არა განყოფილების უარი და კონკრეტულად მიბასუხით, რა პირობებია საჭირო 20 პროცენტის ოდენობით პენსიის დანამატის დასარიცხავად. როგორც მამაკაცისათვის, ასევე ქალისათვის, ვინაიდან მალე ჩემს მეუღლესაც უსრულდება საპენსიო ასაკი.

პასუხი. მოხუცებულობით სახელმწიფო პენსიის დანამატი 20 პროცენტის ოდენობით ერიცხებათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ: მამაკაცებს — 35, ხოლო ქალებს — 30 წლის საერთო შრომის სტაჟი; აქედან 25 წელი უნდა განუწყვეტლად მუშაობდეთ ერთ საწარმოში, ერთ დაწესებულებაში, ერთ ორგანიზაციაში ან გადაყვანით რამდენიმე დაწესებულებაში.

დანამატის დარიცხვის დროს შეღავათი ენიჭებათ ქალებს, რომლებსაც შვილები ჰყავთ (შვილთა რაოდენობის და ასაკის მიუხედავად). მათთვის საკმარისია 30 წლის საერთო, მათ შორის 20 წლის ერთ დაწესებულებაში (ან გადაყვანით რამდენიმე დაწესებულებაში) განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი იმისათვის, რომ დარიცხვით პენსიის დანამატი 20 პროცენტის ოდენობით.

ამიტომ, თუ თქვენ 38 წლის სტაჟიდან 25 წელი განუწყვეტლივ არ მუშაობდით ზემოაღნიშნული პირობების დაცვით, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უარი დანამატის დარიცხვაზე კანონიერია, ვინაიდან 20 პროცენტის დანამატის დარიცხვისათვის ერთ სისტემაში განუწყვეტელი მუშაობა არ კმარა.

პითხვბ. 4 წელი ვმუშაობდი, შემდეგ 5 წელი უმადლეს სასწავლებელში ვსწავლობდი — დღეს დასწრებულ განყოფილებაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვავსოვდი. ამჟამად

ვარ 49 წლის, მყავს 7 შვილი, აქედან ხუთს უმალღესი განათლება აქვს. როდესაც შვილები წამოიზარდნენ, კვლავ განვაგრძე მუშაობა. სულ 11 წლის სტაჟი დამიგროვდა, მაგრამ თუ სწავლის პერიოდში იქნა მხედველობაში მიღებული, ჩემი შრომის სტაჟი 16 წელი იქნება.

გთხოვთ განმიმარტოთ, ჩამოვლებდა თუ არა უმალღეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი შრომის სტაჟში და, როგორც მრავალშვილიანი დედა, მოვიპოვებ თუ არა პენსიის დანიშვნის უფლებას?

პბსშხი. ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს ხუთი ან მეტი შვილი, კანონის შესაბამისად პენსია ენიშნებათ 50 წლის ასაკში და 15 წლის შრომითი სტაჟით.

უმაღლეს სასწავლებელში დღის დასწრებულ განყოფილებაზე სწავლის პერიოდი ჩაგთვლებათ მოხუცებულობის პენსიის მისაღებად საჭირო შრომის სტაჟში, ვინაიდან სწავლას წინ უძღოდა მუშაობა. ამრიგად, თქვენ 50 წლის შესრულების შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ მოხუცებულობის პენსია.

პიიხვპ. გთხოვთ განმიმარტოთ, ძალაშია თუ არა კანონი იმ დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ 12 წლის ასაკამდე ორი ან მეტი შვილი, 3 დღის დამატებითი შვებულებისა და წელიწადში ერთხელ ორი კვირის ვადით უხელფასო შვებულების მიცემის შესახებ.

თუ ეს კანონი ძალაშია, გთხოვთ ისიც განმიმარტოთ, ვის მივმართოთ განცხადებით ამის შესახებ?

პბსშხი. 1981 წლიდან დაწყებული 12 წლამდე ასაკის ორი ან მეტი შვილის დედებს, რომლებიც მუშაობენ ეძლევათ დამატებითი 3 დღის ანაზღაურებული შვებულება (იმ პირობით, რომ შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება 28 კალენდარულ დღეს). ამავ დროიდან დადგინდა მათთვის მოსახერხებელ სხვა დროს ყოველწლიური შვებულების მიღების უპირატესობის და ბავშვის მოვლის დამატებითი უხელფასო შვებულების უფლება ორ კვირამდე ხანგრძლივობით, აღმინისტრაციასთან შეთანხმებით, იმ პერიოდში, როდესაც ამის შესაძლებლობას იძლევა საწარმოო პირობები. ამ საკითხზე უნდა მიმართოთ აღმინისტრაციას და პროფკავშირულ ორგანიზაციას სამუშაო ადგილის მიხედვით.

პიიხვპ. გთხოვთ განმიმარტოთ, ეკუთვნის თუ არა ქალს ერთდროული დახმარება თვეში 50 მანეთი პირველი შვილის და 100 მანეთი მეორე შვილის გაჩენისას. თუ ამჟამად არ ეკუთვნის, შევა თუ არა ამის შესახებ კანონი ძალაში მიმდინარე ხუთწლედში?

პბსშხი. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 285 დადგენილების შესაბამისად, მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდა ბავშვიანი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. 1983 წლის 1 ნოემბრიდან მომუშავე ან წარმოებას მოწყვეტით მოსწავლე დედებს ეძლევათ დახმარება 50 მანეთის ოდენობით პირველი შვილის გაჩენისას და 100 მანეთის ოდენობით მეორე და მესამე შვილის გაჩენისას. ამასთან უცვლელი დარჩა დახმარების ოდენობა მეოთხე და მომდევნო შვილების გაჩენისას.

პიიხვპ. გთხოვთ განმიმარტოთ, რა შედეგათვებია გათვალისწინებული მიმდინარე ხუთწლედში ახლად შექმნილი ოჯახების საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად!

პბსშხი. მიმდინარე ხუთწლედში განხორციელდება ღონისძიებანი, რათა ბავშვიან ოჯახებს და 30 წლამდე ასაკში ახალდაქორწინებულებს მიეცეთ უპირატესობა სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობის მიღებისას, აგრეთვე ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობისას. გადაწყვეტილია მეთერთმეტე ხუთწლედში აღარ გადაანდევინონ ახალდაქორწინებულებს უშვილობის გადასახადი მათი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. 1984 წლის 1 აპრილიდან 30 წლამდე ასაკის ახალდაქორწინებულ მეუღლეებს, რომლებსაც ჰყავთ ერთი ბავშვი, მეუღლეთა შორის რომელიმეს აქვს ერთ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის სტაჟი და სამუშაო ადგილზე ხასიათდება დადებითად, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით უფლება აქვთ ისარგებლონ 1500 მანეთამდე უპროცენტო სესხით 8 წლის ვადით. თუ ახალდაქორწინებულ ასეთ მეუღლეებს შეეძინება მეორე ბავშვი, ვალის დასაფარავად ჩათვლებათ 200 მანეთი, ხოლო მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში — 300 მანეთი.

პიიხვპ. მყავს 4 წლის ბავშვი, რომელიც ხშირად ავადმყოფობს, ამიტომ ძალზე მიჭირს სამსახურის და ავადმყოფი ბავშვის მოვლის შეთავსება. ჩვენი უბნის ექიმმა სულ რამდენიმე დღის ბიულეტენს მაძლევს.

გთხოვთ განვიმარტოთ, როგორ წყვეტს ამ საკითხს კანონი ან რა არის გათვალისწინებული უახლოეს მომავალში?



ბსსში. მეთერთმეტე ხუთწლიეში გათვალისწინებულია 14 დღემდე გადიდდეს ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ახანაზღაურებული ბიულეტენის ხანგრძლივობა ამასთან, დანარჩენი დღეები ანაზღაურდება ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.

პიძსპ. შევიტყვე, რომ წესდება შეღავათები მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის სკოლა-ინტერნატში ბავშვების შენახვის გადასახადში. მაგრამ არც მე ვიცი და არც ჩემი სამსახურის აღმინისტრაციამ, ძალაშია თუ არა ეს კანონი, ან კონკრეტულად რას ითვალისწინებს იგი.

ბსსში. მეთერთმეტე ხუთწლიეში გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატების სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესება. გაიზრდება ხარჯვის ნორმები. სკოლა-ინტერნატში ბავშვების შენახვის ხარჯების გადანაწილგან თავისუფლდებიან ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით თვეში 60 მანეთს არ აღემატება.

პიძსპ. მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც მოკლებულია სიარულისა და ლაპარაკის შესაძლებლობას. აშუამდ იგი 15 წლისაა და ლეზულობს უოველთვიურ დახმარებას 20 მანეთის ოდენობით. მალე 55 წელი მისრულდება. ადრე ორი შვილის აღზრდის, ხოლო შემდეგ ავადმყოფი მესამე ბავშვის მუდმივი მეთვალყურეობის გამო მაქვს მუშაობის მხოლოდ 7 წლის სტაჟი. გთხოვთ განმიმარტოთ ორი საკითხი: პირველი — ეკუთვნის თუ არა ჩემს შვილს უოველთვიური დახმარების გადიდება და რა დროიდან, მეორე — პირადად მე დამენიშნება თუ არა პენსია მოხუცებულობის ასაკის 55 წლის შესრულების შემდეგ?

ბსსში. თქვენს შვილს უოველთვიური დახმარება თვეში 20 მანეთის ოდენობით აშუამდ სწორად აქვს დანიშნული. როცა ბავშვი 16 წლისა შესრულდება, საჭიროა გაატაროთ საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაში. ვინაიდან იგი დაბადებიდან მწოლიარე ავადმყოფია, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია მას ცნობს I ჯგუფის ინვალიდად და დახმარების ოდენობა გაიზრდება თვეში 30 მანეთამდე.

რაც შეეხება პირადად თქვენს საპენსიო უზრუნველყოფას, როგორც 7 წლის სტაჟის მქონე პირს, ინვალიდი ბავშვის აღზრდელ დედას, 55 წლის შესრულების შემდეგ დაგენიშნებათ მოხუცებულობის პენსია არასრული შრომის სტაჟით.

პიძსპ. ვარ 23 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი, მყავს მეუღლედ 1 წლის ბავშვი, ქმარ-შვილის მოვლა სწავლასთან ერთად გამძირდა, მაინტერესებს, დამაკმაყოფილებელი ნიშანი რომ მივიღო, რომელიმე საგანში სტიპენდია ხომ არ მომეხსნება?

ბსსში. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესაბამისად, 1981 წლის 1 იანვრიდან სტიპენდია ეძლევა უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების ყველა სტუდენტს და მოსწავლეს, რომლებსაც მყავთ შვილი და აქვთ დამაკმაყოფილებელი ნიშნები.

ასე რომ, თუ თქვენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას არ მიიღებთ, სტიპენდია კვლავაც გექნებათ.

პიძსპ. მყავს 2 შვილი, ვმუშაობ. 1985 წლის თებერვალში შემეძინება მესამე შვილი. შევიტყვე, რომ მიმდინარე ხუთწლიეში ძალაში შევიდა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ახალი წესი. გთხოვთ განმიმარტოთ, რა სიახლეს ითვალისწინებს იგი.

ბსსში. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესაბამისად, 1983 წლის 1 ნოემბრიდან სულ ცოტა ერთი წლის საერთო სტაჟის მქონე მომუშავე დედებს, აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით მოსწავლე ქალებს ფასიანი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ნაწილობრივ ანაზღაურდებოთ შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს. ეს შვებულება ანაზღაურდება თვეში 50 მანეთის ოდენობით ქვეყნის შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონებში, 35 მანეთის ოდენობით — დანარჩენ რაიონებში.

პიძსპ. 3 წელია ვმუშაობ საწარმოში. შემეძინა მეორე შვილი, 1983 წლის ნოემბერში ვიმყოფებოდი უხელფასო დეკრეტულ შვებულებაში, გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნოდა თუ არა ბავშვის ერთი წლის შესრულებამდე ნაწილობრივ ფასიანი დეკრეტული შვებულება. ამავე დროს მიწდა ვიცოდე, ხომ მაქვს უფლება ვისარგებლო დამატებითი 6 თვის უხელფასო შვებულებით ბავშვის ერთი წლის შესრულების შემდეგ?

ბსსში. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესაბამისად, 1983 წლის 1 ნოემბრიდან მუშა-მოსახსახურე ქალებს, რომლებსაც აქვთ სულ ცოტა ერთი წლის საერთო შრომის სტაჟი, უფლება მიეწიკათ ფასიანი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ისარგებლონ ნაწილობრივ ფა-

სიანი შვებულებით (მანეთი ყოველთვიურად), სანამ ბავშვს ერთი წელი შეუსრულდებოდა. თუ დედა აღნიშნული კანონის ძალაში შესვლის დროისათვის უკვე იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში, მას უფლება მიეცა ნაწილობრივ ფასიანი დეკრეტული შვებულებით ისარგებლოს იმდენი თვის განმავლობაში, რამდენიც დარჩა ბავშვის ერთი წლის შესრულებამდე. ხოლო როდესაც ბავშვი 1 წლის გახდება, შეუძლია მოითხოვოს უხელფასო შვებულება, სანამ ბავშვი წლინახევრისა შესრულდება. შვებულებაში ყოფნის პერიოდში, რა თქმა უნდა, გენახებათ სამუშაო ადგილი და გინარჩუნდებით განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი.

**პიტხვა.** 1984 წლის 2 ნოემბერს შემძინა მეორე ვაჟიშვილი, ბავშვების დედა არ მუშაობს. გთხოვთ განმიმარტოთ, შემიძლია თუ არა ვისარგებლო ერთდროული ფულადი დახმარებით ჩემი სამსახურიდან და რა რაოდენობით?

**პასუხი.** საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 30 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, როდესაც ბავშვების დედა არ მუშაობს და არც სწავლობს, ერთდროული დახმარება მიეცემა მამას სამუშაო ადგილიდან, მაგრამ მისი ოდენობა პირველი, მეორე თუ მესამე ბავშვის შექმნის შემთხვევაში არ შეიძლება აღემატებოდეს 80 მანეთს.

**პიტხვა.** ვარ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დღის დასწრებული განყოფილების სტუდენტი, მეუღლეს სტუდენტია. შეგვეძინა შვილი. გთხოვთ განმიმარტოთ, გვეკუთვნის თუ არა ერთდროული დახმარება და დაგვენიშნება თუ არა ბავშვის დაბადების გამო ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის კუთვნილი დახმარება 12 მანეთის ოდენობით ყოველთვიურად. მე და ჩემს მეუღლეს ეკონომიურად არავეს გვეხმარება, ჩვენი სტიპენდია კი 80 მანეთს შეადგენს.

**პასუხი.** თქვენ ინსტიტუტიდან მოგვეცემათ ერთდროული დახმარება 50 მანეთის ოდენობით. თუ ოჯახის შემოსავალი ყოველთვიურად შეადგენს მხოლოდ 80 მანეთს, ინსტიტუტი დაგინიშნავთ აგრეთვე ყოველთვიურ დახმარებას თვეში 12 მანეთის ოდენობით. კანონით ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახების ბავშვებისათვის კუთვნილი დახმარება ქალებს ეძლევათ, სანამ ბავშვი 8 წლისა გახდება იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის საშუალო თვიური ერთობლივი შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით დახმარების დასანიშნავად მიმართვის წინა კალენდარულ წელს არ აღემატებოდა 50 მანეთს.

**პიტხვა.** ითვლება თუ არა უმაღლეს სასწავლებელში — დასწრებულ განყოფილებაზე სწავლის პერიოდის განუწყვეტელი მუშაობის სტაჟში, თუ სწავლას წინ უძღოდა მუშა-მოსამსახურედ მუშაობა?

**პასუხი.** უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი არ ითვლება მუშაობის განუწყვეტელ სტაჟში; მაგრამ არც სტაჟის გაწყვეტას იწვევს. თუ პიროვნება 3 წელიწადს მუშაობდა ქარხანაში, შემდეგ სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებელში, წარმოებას მოწყვეტით ისწავლა 5 წელი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი სამუშაოდ მოეწყო ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში და იმუშავა 23 წელიწადს, სწავლის პერიოდი 5 წელი მას არ ჩაეთვლება განუწყვეტელ სტაჟში, მაგრამ არც სტაჟს უწყვეტს, ე. ი. სწავლის დაწყებამდე ნამუშევარ 3 წელს უწყვეტად მიემატება სწავლების დამთავრების შემდეგ ნამუშევარი 23 წელი და სულ შეუგროვდება 25 წლის უწყვეტი შრომის სტაჟი.

# გზისკენ

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

1984 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბ. პარბანძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ბ. ხონიძის მოხსენება „სასამართლოების მიერ ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის № 8 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებით, ძირითადად სწორად იყენებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ბრალდებულის სამართალში მიცემის წესს.

ამასთან ერთად სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მოსამართლე ფორმალურად, ზერეულად ეკიდება ბრალდებულის სამართალში მიცემასთან და სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად დანიშნავსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

ამის გამო პროცესის ამ სტადიაზე უოველთვის სრულყოფილად არ ხდება საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლში ჩამოთვლილი საკითხების გამოკვლევა. სასამართლოები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ ასეთ საკითხებს: შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებანი საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად; შედგენილია თუ არა საბრალდებო დასკვნა; საქართველოს სსრ სსსკ 206-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დროს დაცულია თუ არა საპროცესო კანონის უველა მოთხოვნა.

ზოგჯერ მოსამართლეები ერთპირვნულად უვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც კანონით

ნით მხოლოდ სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს.

არის პროცესზე გამოსაწვევ პირთა საკითხის გადაწყვეტილადმი უყურადღებო დამოკიდებულების შემთხვევები, რაც იწვევს სასამართლო სხდომაზე იმ პირთა გამოუცხადებლობას, რომელთა დაკითხვას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

ხშირად არ სრულდება საპროცესო კანონის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებების სახელმძღვანელო მითითებანი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის, სამართალში მიცემის სტადიაში სასამართლოების მიერ მოსამზადებელი მუშაობის აუცილებლობის შესახებ.

პლენუმზე საგანგებოდ ითქვა, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემისას ხშირად არ ხდება მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ დაშვებული კანონის დარღვევების დროული გამოსწორება, ამიტომ სასამართლო სხდომიდან დიდალი საქმეები ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის იმ საფუძველზე, რომლებიც ცნობილი იყო სამართალში მიცემის სტადიაში და, ამდენად, კანონის შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაბრუნებულიყო განმწესრიგებელი სხდომიდანვე.

არის პროცესის ამ სტადიიდან საქმეების დამატებითი გამოძიებისათვის უსაფუძვლოდ დაბრუნების ცალკეული შემთხვევები.

ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილებანი და განჩინებანი სისტემატურად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, განმწესრიგებელი სხდომის ოქმები არცთუ იზვიათად დგება უზარისხოდ. საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დარღვევით.

ზოგჯერ ირღვევა ბრალდებულის სამართალში მიცემისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად დანიშნვისათვის კანონით დადგენილი ვადები.

ბრალდებულის სამართალში მიცემის მომ-



წესრიგებელი ნორმების დარღვევები ზოგიერთ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველი ხდება.

ყოველივე ეს იწვევს საქმის გაქიანურებას, აუნაზღაურებელ მატერიალურ დანაკარგებს, დამატებითი შრომის ხარჯვას, სამუშაო დროის ფლანგვას, მოქალაქეთა უსაფუძვლოდ მოცდენას, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა გადატვირთვას, საბოლოო ანგარიშით კი უარყოფითად მოქმედებს საქმის განხილვის შედეგზე და ასუსტებს სასამართლო საქმიანობის ეფექტიანობას, არყვეს სასამართლოს ავტორიტეტს.

განხილულ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მარბიმივი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. გომულუბაძე, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ზანიჩიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, პროფესორი ბ. შაბლიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ი. გომილაშვილი და ი. ჯიბლაძე და რიგი სახალხო მოსამართლეები.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეების და კოლმეურნეების მიერ შრომითი ურთიერთობის პროცესში მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ბ. სარქიშვილმა.

აღინიშნა, რომ სასამართლოები ყოველთვის არ არკვევენ იმ გარემოებებს, რომლებიც განაპირობებს მატერიალურ პასუხისმგებლობას, კერძოდ, ნამდვილი ზარალის არსებობას, მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედობას (უმოქმედობას), მიწვევორივ კავშირს მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედობასა და ზიანს შორის, ბრალს ზიანის მიყენებაში. ჭერ კიდევ არის შეცდომები ზიანის მიმყენებელ ბრალეულ პირთა წრის განსაზღვრაში. ყოველთვის არ ხდება მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძვლების, მათი სახეობისა და ფარგლების ზუსტი გამოჭვნა. ეს ზოგჯერ იწვევს სრული პასუხისმგებლობის ნაცვლად მუშაკისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ზოგჯერ სასამართლოები მუშაკის მიერ მიყენებული ზარალის ოდენობას ამცირებენ კანონიერი საფუძვლების გარეშე, არ მსჯელობენ საქმეში იმ თანამდებობის პირთა მოასუსხებებად ჩაბმის საკითხზე, რომელთაც ბრალი მიუძღვით მატერიალურ ფასეულობათა არასწორ აღრიცხვასა და შენახვაში.

სასამართლოები ყოველთვის არ ახდენენ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოთვლას, არ იცავენ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილ ვადებს. ჭერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების და განთავსების წინააღმდეგ საბრძოლველად, არ არკვევენ ზარალის წარმოშობა მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს. სასამართლოები ყველა აუცილებელ შემთხვევაში კერძო განჩინებებით არ ახდენენ რეაგირებას საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ დარღვევებზე.

კამათში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. გომარჩხაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები ბ. გომილაშვილი და პროფესორი ლ. ჯომარჯიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ბ. დულუნიშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის არხიტრი ბ. თეთრაშვილი.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დევიდარბანი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. კვიციანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე თ. კოლუბა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ი. ჩიქოვანი.

## დანაშაულის გახსნისა და გამომძიებელთა საპროკურორო ზედამხედველობის როლის ავალღებინათვის

სოციალისტური კანონიერებისა და მართლ-  
წესრიგის აქტუალურ პრობლემებზე სამეც-  
ნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოწ-  
ეობა კარგ ტრადიციად იქცა. ასეთი ღონის-  
ძიებანი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რა-  
იონში იმართება.

ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია გაიმართა  
ქ. თბილისში. იგი მიეძღვნა მოკვლევასა და  
წინასწარი გამოძიების სტადიაში, აგრეთვე სა-  
ხალხო სასამართლოებში სისხლის სამართლის  
საქმეთა განხილვის დროს კანონიერების და-  
ცვის, მოქალაქეთა სსრ კავშირის კონსტი-  
ტუციით გარანტირებულ უფლებათა და კა-  
ნონიერი ინტერესების დარღვევის თავიდან  
აცილებისა და აღმოფხვრის, დანაშაულის  
გახსნისა და გამოძიებისადმი საპროკურორო  
ზედამხედველობის როლის ამაღლების სა-  
კითხებს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა  
საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ  
ბ. ა. შარაშენიძემ.

მისმა მონაწილეებმა დიდი ყურადღებით  
მოისმინეს საქართველოს სსრ პროკურორის  
პირველი მოადგილის ბ. ა. რაზმაძის მოხ-  
სენება „კანონიერებისა და მართლწესრიგის  
განმტკიცებაში საგამომძიებო აპარატის რო-  
ლი და ამოცანები“, საქართველოს სსრ უმა-  
ღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოად-  
გილის ბ. ნ. შოლბაძის მოხსენება „სასა-  
მართლოების როლი წინასწარი გამოძიების  
ხარისხის ამაღლებაში“ და საქართველოს  
სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის  
ბ. ა. აპიფინის მოხსენება „ბრალდებულის  
დაცვის უფლება“.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე:  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დიუმის იურიდიული განყოფილების უფრო-  
სი ი. ბ. ჩიშკაძე — „სისხლის სამართლის  
კანონმდებლობის განვითარების ძირითადი  
ტენდენციები“, ქ. თბილისის პროკურორი  
ს. ს. ნანიტაშვილი — „წამატებების სა-  
ქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია“, საქარტვე-  
ლოს სსრ პროკურატურის განყოფილების  
გამგე შ. ლ. კობინაშვილი — „სისხლის სა-  
მართლის საქმეთა დამატებით გამოძიებაში  
დაბრუნების მიზეზები“, საქართველოს სსრ  
პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელო-  
ვან საქმეთა გამოძიებელი ბ. ბ. აბლაძე —

„გამომძიებლის მუშაობა განზრახი მკვლე-  
ლობის შეჩერებულ საქმეებზე“, დუშეთის  
რაიონის პროკურორი ე. ბ. ბაღრიძე —  
„გამომძიებლის მუშაობა წინასწარი გამო-  
ძიების პროცესში მატერიალური წარალის  
ასანაწილურებლად“, ქ. თბილისის კალინინის  
რაიონის პროკურორის მოადგილე თ. შ. გე-  
ორგიანი — „საპროკურორო ზედამხედველო-  
ბა შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებ-  
ისა და მოკვლევისადმი“.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს  
ლექციები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქ-  
ტორის ბ. ბ. ტაყაიშვილი — „კვალიფი-  
კაციის ზოგიერთი საკითხი წინასწარი გამო-  
ძიებაში“, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქ-  
ტორისა — ბ. ბ. ბაგინის — „მეჭრთამე-  
ობის საქმეთა შესწავლის ზოგიერთი შედე-  
გი“, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის  
ბ. ნ. ბაღვაშიანი — „განზრახ მკვლელო-  
ბათა განხილვისა და გამოძიებაში გამოძიებ-  
ლის თანამშრომლობა შინაგან საქმეთა ორ-  
განოებთან“, იურიდიულ მეცნიერებათა კან-  
დიდატის ი. ბ. შაველიანი — „მეცნიერული  
პროგრესი დანაშაულის განხილვისა და გამო-  
ძიებაში ტექნიკურ საშუალებათა და მეცნიე-  
რული რეკომენდაციების გამოყენების შე-  
სახებ“.

კონფერენციაზე ითქვა, რომ დღეს, როცა  
მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორ-  
ციელებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვე-  
ტილებებით დასახულ ამოცანებს, კიდევ უფ-  
რო იზრდება სოციალისტური კანონიერები-  
ისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტ-  
კიცების, პროკურატურისა და შინაგან საქმე-  
თა ორგანოების კანონიერების მოთხოვნათა  
განუხრელი დაცვის მნიშვნელობა დამნაშა-  
ვეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბო-  
ლო წლებში პარტია კიდევ უფრო მეტ ყუ-  
რადღებას უთმობს პროკურატურის, სასა-  
მართლოს და შინაგან საქმეთა ორგანოების  
მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს  
მათი საქმიანობისადმი პარტიული ზედამხედვე-  
ლობის გაძლიერებისათვის. მიღებულია  
ბევრი მნიშვნელოვანი დადგენილება, რომე-  
ლთა მიზანია ამ ორგანოთა მუშაობის გაუმ-  
ჯობესება. საკანონმდებლო აქტებთან ერ-  
თად ამ დადგენილებებმა მტკიცე საფუ-  
ძველი და პირობები შეუქმნა პარტიული,





საბჭოთა, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ნაყოფიერ მუშაობას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების უზრუნველყოფისათვის.

ამ ამოცანების გადაწყვეტა გვაძლებს მუდმივად სრულყოფილად სამართალდაცვითი ორგანოების ისეთი მნიშვნელოვანი რგოლის მუშაობას, როგორც არის საგამოძიებო აპარატი, რომლის გამართულ საქმიანობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თითოეული დანაშაულის გახსნა და დამნაშავეთა მხილება.

მაგრამ საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი, როდესაც ამ აპარატის მუშაკები ყოველმხრივ იცავენ საბჭოთა კანონების მოთხოვნებს, მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა კონფერენციის ყველა მონაწილის გამოსვლებს, მოხსენებებსა და ლექციებს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში პროკურატურის ორგანოების პრაქტიკული საქმიანობა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება პარტიული და საბჭოთა ორგანოების ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ვაფართოვდა პროკურატურის ორგანოების კავშირი და თანამშრომლობა დეპუტატთა საბჭოებთან. გაუმჯობესდა კოორდინაცია სატრანსპორტო და ტერიტორიულ პროკურატურებს შორის. პრაქტიკაში ინერგება ქ. რუსთავის პროკურატურის მოწინავე გამოცდილება. საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ გაზარდა მომთხოვნელობა. რესპუბლიკის პროკურატურასა და დიდ ქალაქებში შექმნილია სპეციალიზირებული საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფები, რომლებსაც გამოცდილი გამოძიებლები ხელმძღვანელობენ. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო წელიწად-ნახევარში რესპუბლიკურმა ოპერატიულმა ჯგუფმა გახსნა რამდენიმე განზრახ მკვლელობა. წარმატებით მუშაობს საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი გ. გ. ავლაძე ხელმძღვანელობს.

საგამოძიებო აპარატის საქმიანობაში მომხდარი დღეებითი ცვლილებანი იმ ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიებების შედეგია, რომლებსაც ახლა საქართველოს სსრ პროკურატურის ხელმძღვანელობა ახორციელებს. დიდი ყურადღება ეთმობა გამოძიებულთა პროფესიულ დაოსტატებას, მოკვლევის ორგანოებთან მათი ურთიერთკავშირების სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებისა და რეკომენდაციების გამოყენებას. ანალიზდება საგამოძიებო-

საპროკურორო პრაქტიკის აქტუალური პრობლემები, ხოლო მიღებული დასკვნები გამოყენება პრაქტიკაში.

რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა სისტემატურად და ერთობლივად ისმენს განზრახ მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მიმდინარეობას, სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს აქტივიზაციისათვის. გაძლიერდა კონტროლი ცალკეულ მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებისა და, საერთოდ, ადგილებზე გამოძიების ორგანიზაციისადმი. გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება უფრო პრინციპულია, ხოლო როცა აუცილებელი იყო, დამნაშავენი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

კანონიერების განმტკიცების, საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო საქმიანობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა საგამოძიებო და სასამართლო ეთიკის ამაღლება. იმაზე, თუ რამდენად სწორად, ობიექტურად და კვალიფიციურად მოქმედებს პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის მუშაკი, ბევრად არის დამოკიდებული ამ ორგანოთა ავტორიტეტი.

მაგრამ, როგორც კონფერენციაზე ითქვა, განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ბევრი რამ არის გასაკეთებელი გამოძიების ხარისხის ამაღლებისათვის. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა ორგანოებს დამატებითი გამოძიებისათვის უბრუნდებათ დიდი რაოდენობის საქმეები. ამ მხრივ არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ყვარლის, კასპის, ხაშურის, გარდაბნის, ბოლნისის, ზუგდიდის, ყაზბეგის, მაიაკოვსკის, წალენჯიხისა და ახალციხის რაიონებში, საჩხერის, ყაზბეგის, წალკის, ვანის, ზუგდიდის, ხაშურის, ახალციხის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებში. ხშირად გამოძიება, განსაკუთრებით დაწყებით სტადიაში, ზერელედ ხდება, პროკურორები კი ყოველთვის არ ახდენდნენ მასზე სათანადო რეაგირებას.

ხშირია გამოძიების უსაფუძვლოდ შეჩერება. ცოტა როდია იმ საქმეთა რიცხვი, რომლებიც წარმოებით ჩერდება დამნაშავე პირთა დაუდგენლობის გამო. დანაშაულთა გაუხსნელობის ძირითადი მიზეზები ის არის, რომ პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედება არაღამაკმაყოფილებლად ხდება. გამოძიებულები ზოგჯერ არაკვალიფიციურად ათვალიერებენ შემთხვევის ადგილს. დანაშაულთა გახსნაზე უარყოფითად მოქმედებს ის გარემოება, რომ მთელ რიგ შემთხვევებში განზრახ მკვლელობის და სხვა მძიმე დანა-

შუღლთა გამოძიების საქმეებისადმი არ არის დაწესებული სათანადო საპროკურორო ზედამხედველობა.

კვლავ მტივიანულ საკითხად რჩება გამოძიების ხარისხი და სისხლის სამართლის საქმეთა გაჭიანურება. დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებული საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლოების მიერ დამატებითი გამოძიებისათვის ბრუნდება განზრახ მკვლელობათა, დატაცებების, მექრთამეობის, გაუპატიურების და სხვა საქმეები, ამასთან ამ საქმეთა 75 პროცენტი დაბრუნებულია უხარისხო და არასრულყოფილი გამოძიების გამო, 10,5 პროცენტი — პროცესუალური დარღვევის მიზეზით, 9,8 პროცენტი — კვალიფიკაციაში დაშვებული მიზეზებით.

თეთრი წყაროს რაიონის პროკურატურამ უაღრესად არასრულყოფილად გამოიძია კეჩიანისა და სხვათა საქმე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ განზრახ მკვლელობაში. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სამჯერ დააბრუნა აღნიშნული საქმე დამატებითი გამოძიებისათვის. დანაშაულის მცდარი კვალიფიკაციის გამო ქ. ტყვარჩელის სახალხო სასამართლომ დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა შაკირბაიასა, აბელაძისა და მირაშინიჩიკოს ბრალდების საქმეები, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 81-ე მუხლით. ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევის გამო დამატებითი გამოძიებაში დაბრუნდა ბიბილოურის დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 151-ე მუხლის მე-4 ნაწილით (მცხეთის რაიონი), მანარაშვილის დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 241 მუხლის მე-3 ნაწილი (დუშეთის რაიონი) და სხვა საქმეები.

ბევრ საქმეზე ირღვევა საგამოძიებო და საპატიმრო ვადები საქმეთა დიდი მოცულობისა და სირთულის გამო. ამასთან, ცოტა როდია ისეთი საქმეები, რომლებზეც ვადები ირღვევა გამოძიებულთა უმოქმედობის, გამოძიების ცუდი ორგანიზაციისა და საპროკურორო ზედამხედველობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო. მაგალითად, ჭავის რაიონის პროკურატურაში დიდი ხნის განმავლობაში მთელი რიგი საქმეები უმოქმედოდ იდო. საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში ოთხ წელზე მეტი ხანია იძიებენ საქმეს მეჭვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკაში

200 ათასი მანეთი დანაკლისის შესახებ და სხვა. წალკის, წალენჯიხის, ბორჯომის, მარნეულის, საჩხერის, ჩხოროწყუს რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებში ვადის დარღვევით დამთავრებულ საქმეთა პროცენტი მაღალია, ხოლო ახმეტის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ბოგდანოვკის რაიონების პროკურატურებში ყოველ მეოთხე-მეხუთე საქმეზე ირღვევა გამოძიების ვადა.

პროკურორები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო სიმტიციცესა და პრინციპულობას მოქალაქეთა უკანონო დაკავების, დაპატიმრებისა და ჩხრეკის აღმოსაფხვრელად. უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები მოხდა ქ. სოხუმიში, ვანის, ვალისა და სხვა რაიონებში. საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ მკაცრი შეფასება მისცა სოციალისტური კანონიერების დარღვევის ამ ფაქტებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებმა კრიტიკულად გააანალიზეს მდგომარეობა, იმსჯელეს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო აპარატის მუშაობის სრულყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხებზე, მკაცრი შეფასება მისცეს დაშვებულ დარღვევებს, ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს მათს აღმოსაფხვრელად.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს დადებითი გამოცდილება დანაშაულის გახსნის, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა ორგანოების კონტაქტების გაუმჯობესების, აგრეთვე სხვა საკითხებზე.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დიდად შეუწყობს ხელს მოკვლევის, გამოძიების, სასამართლოების მუშაობის გარდაქმნას, დანაშაულის გახსნას და გამოძიებაში კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილებას, საპროკურორო ზედამხედველობის როლის გაზრდას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე თ. მ. კოლუა.

3. ხომინდი,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი.



# შესვედრა ახალგაზრდა ადვოკატებთან

1984 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სსდომათა დარბაზში გაიმართა შესვედრა რესპუბლიკის ახალგაზრდა ადვოკატებთან.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმართის ორგანოების სამმართველოს უფროსმა ზ. დევიდარძანმა.

მოსხენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. რმინიშვილი. სასიამოვნოა, თქვა მან, რომ ბოლო წლებში ახალგაზრდა იურისტები დიდ დაინტერესებას იჩენენ ადვოკატის როული და მეტად პასუხსაგები პროფესიისადმი. ყოველწლიურად ჩვენთან სტაჟირებას გადის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ათი კურსდამთავრებული. სტაჟირებთან სამუშაოდ შექმნილია ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ახალბედების მიერ ადვოკატის პროფესიის პრაქტიკულად დაუფლებას. კერძოდ, პრეზიდიუმი ადგენს სტაჟირების სამუშაო გეგმას, თითოეულ მათგანს, იურიდიული კონსულტაციის გამგესთან შეთანხმებით, ხელმძღვანელად ენიშნება ორი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ადვოკატი. სტაჟირების პროცესში იურიდიული კონსულტაციის საწარმოო თათბირი პერიოდულად ისმენს სტაჟირებისა და ხელმძღვანელი ადვოკატის ანგარიშს გაწეული მუშაობის თაობაზე. ამავე დროს პრეზიდიუმი სისტემატურად აწარმოებს სტაჟირებისა და ხელმძღვანელი ადვოკატების საქმიანობას და შედეგებს ისმენს პრეზიდიუმის სსდომებზე. აქ ისახება ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობს სტაჟირების წარმატებით დამთავრებას, მათ მომზადებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მას შემდეგ, რაც სტაჟირორი სრულყოფილად აითვისებს გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს და პრეზიდიუმთან არსებული საკვალიფიკაციო კომისია მიიჩნევს მას მომზადებულად, ახალგაზრდა სპეციალისტი ირცელება ადვოკატთა კოლეგიის წევრად, მაგრამ იგი კვლავ ჩვენი ყურადღების ცენტრშია და სამი წლის მანძილზე მიჩენილი ჰყავს დამრიგებელი. ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული დაოსტატებისათვის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი სისტემატურად ახორციელებს ისეთ ქმედით ღონისძიებებს, როგორც არის შესვედრები პრაქტიკოს და სწავლულ იურისტებთან, თეორიული კონფერენციები, ახალ-

გაზრდა ადვოკატთა სკოლის მეცადინეობები და სხვა. ყოველივე ეს უაღრესად დადებით შედეგებს იძლევა.

ამ შესვედრაზე, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, მინდა აღვნიშნო, რომ უკვე გამოიჩინეს თავი ჩვენმა აღზრდილმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა მ. რობაქიძემ, ნ. თოდუამ, ლ. ბერიაშვილმა, დ. მაღლაკელიძემ და სხვებმა. ადგილობრივ პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით წითელწყაროს, ახმეტის და ცხაკაიას რაიონების იურიდიული კონსულტაციების გამგებლად დაინიშნენ ახალგაზრდა ადვოკატები მ. პობიაშვილი, ქ. სუხიაშვილი და მ. რობაქიძე.

სამწუხაროდ, ზოგიერთ იურიდიულ კონსულტაციაში ჭერ კიდე ვერ უზრუნველყოფენ ახალგაზრდა ადვოკატების სრულ დატვირთვას მათი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი ვითარებაა შექმნილი თბილისის ლენინის, ორჯონიკიძისა და საქარნო რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში (დამრიგებლები მ. შალოლაშვილი, შ. ვეკუა, ნ. რობიტაშვილი). ასევე არაა დამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალგაზრდა ადვოკატთა საბჭო (თავმჯდომარე ვ. შონია).

ახალგაზრდა ადვოკატთა საბჭოს თავმჯდომარემ, ადვოკატმა ვ. შონიამ ილაპარაკა იმ საქმიანობაზე, რომელსაც საბჭო ეწევა ახალგაზრდა სპეციალისტებთან. ჩვენს შესაძლებლობებს, სამწუხაროდ, სრულად ვერ ვიყენებთ, ვერ მოვძებნეთ ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის ქმედითი ფორმები. ღონისძიებებს ერთფეროვნებისა და ფორმალუზმის დალი აზის ამიტომ არის, რომ ვერ მოვიპოვეთ ახალბედა ადვოკატების ვალში სათანადო ავტორიტეტი და ნდობა. ყოველივე ეს და ჩვენი მისამართით აქ გამოთქმული სხვა კრიტიკული შენიშვნები საბჭომ უნდა გაითვალისწინოს შემდგომ მუშაობაში.

ახალგაზრდა სპეციალისტებს მიესალმა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, ადვოკატი ბ. ხომარაძე. მან ახალბედა კოლეგებს მოუწოდა დღენიდაგ უზრუნველენ პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება დილექტანტიზმთან ბრძოლა. უნდა ერიდეთ უსაგნო ენაშვობას, თქვა მან, გიყვარდეთ სიტყვა საქმიანი, მტკიცე და პრინციპული, სიტყვა კი მეტყველების კულტურით გააყვითელშობილეთ. ილაპარაკეთ ნათლად, მკაფიოდ და მოკლედ — ამისათვის

კი საჭიროა საქმის მასალების იურიდიული ანალიზი, ფსიქოლოგიური წილსვლები, მოქალაქეობრივი პათოსი. ცხოვრების გზაზე მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობა შეგხვდებათ. მაგრამ გულს ნუ გაიტყვებ, ჩვენი საქმიანობა ხომ ბრძოლაა ქვეშაობებისათვის, ბრძოლა რაინდული.

შეხვედრაზე გამოვიდა ადვოკატი-დამრიგებელი მ. სიღმამონიძე. იგი ახალგაზრდა სპეციალისტებს ესაუბრა საადვოკატო საქმიანობის საკუთარ გამოცდილებაზე. შეეხო იმ საკვანძო და პრობლემურ საკითხებს, რომელთა ცოდნა ხელს შეუწყობს დამწყებ ადვოკატებს მუშაობაში.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები: საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტანტ-კოლფიკატორი ი. ბაქრაძე, კ. თბილისის 26 კომისიის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი მ. რეზინი, ცხაპაის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე მ. რეზინი, კ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ლ. ბერიძე და ზესტაფონის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ლ. მალაქაძე. მათ მადლიერებით ილაპარაკეს იმ დამრიგებლებსა და ხელმძღვანელებზე, რომლებმაც ყველაფერი ილენეს ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული დაოსტატებისათვის. დამსწრეთ გააცნეს თავიანთი დამოუკიდებელი შრომის პირველი შედეგები, მომავლის ამოცანები.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მ. ნინიძემ. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, თქვა მან, უშუალო გამომდინარე იმ პრობლემებისა, რომლებსაც საფაგებო უურადლება დაუთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმმა. აქ ხაზგასმით ითქვა, რომ პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ფორმირება, მისადმი სამსახური იურისტების პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

ადვოკატის პროფესია, ადვოკატი უშუალოდ არის დაკავშირებული მოქალაქეთა სულიერ თუ მატერიალურ ინტერესებთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი თაობა მოდის საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში. დღევანდელმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ადვოკატთა რიგებში ამ პროფესიით ღრმად დაინტერესებული ახალგაზრდები მოდიან. ჩვენც გვმართებს მათ მიმართ გამოვიჩინოთ დიდი ყურადღება, რადგან, როგორც ე. შევარდნაძემ თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტ-

რალური კომიტეტის XIX პლენუმზე, „ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში ძალზე საჭიროა გავმიჯნოთ ის, თუ სად ვიჩინოთ ნამდვილ ზრუნვას და ლიბერალიზმს. წყურუბებას; უურადლება უნდა განვახსავოთ იაფფასიანი კერის დაკვირსაგან“.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი მრავალფეროვან მუშაობას ეწევა ახალგაზრდა ადვოკატებთან, მაგრამ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ნაკლოვანებებიც ბევრია საქმეთა განხილვისას ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდა ადვოკატებისაგან მოველით საქმიან, დასაბუთებულ წინადადებებს, შეურიგებელ დამოკიდებულებას საქმეთა განხილვის გაჭიანურების ფაქტებთან. ამ საპატიო ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ახალგაზრდა ადვოკატთა საბჭომ. სამწუხაროდ, საბჭოს საქმიანობა ჯერ კიდევ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსაც კი ვერ უპასუხებს. კერძოდ, არ ხორციელდება ახალგაზრდა ადვოკატების პროფესიული და კულტურული დონის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები. საერთოდ კი საბჭო მხარში უნდა ედგეს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს.

საჭიროა უფრო ნათლად გამოიკვეთოს ახალგაზრდა ადვოკატთა სკოლის როლი და ადგილი ადვოკატთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში. აღნიშნული სკოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა. ჩვენი აზრით, სკოლა ნაკლებად უპასუხებს იმ ამოცანებს, დღევანდელთა რომ უსახავს მას ახალგაზრდა ადვოკატთა აღზრდის საქმეში. ამასთან იგი თბილისელ ახალგაზრდა ადვოკატთა სკოლა უფროა, ვიდრე რესპუბლიკისა. პერიფერიებში დასაქმებული ადვოკატებიდან სკოლის მეცადინეობას ერთი ან ორი ადვოკატი თუ ესწრება, არადა, სწორედ ისინი უფრო საჭიროებენ აქტიურ დახმარებას.

სამწუხაროა, რომ არც ერთი ახალგაზრდა ადვოკატი არ გამოსულა უურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე. კარგი იქნება, თუ უურნალის სარედაქციო კოლეგია გაითვალისწინებს ამას, შემოიღებს რუბრიკას „ახალგაზრდა ადვოკატის ტრიბუნა“ და მეტი მონდომებით იმუშავებს ახალგაზრდა ავტორებთან.

ახალგაზრდა ადვოკატების პირველ რესპუბლიკურ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. პიჭინიძე.

**ი ნ ტ ე რ ვ ი უ**

**შეხვედრის დამთავრების უმედეგ ჩვენი უზრუნველ სპეციალური კომისიონდენტის მსაუბრა ახალგაზრდა ადვოკატებს. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.**

**კორმესკონდენტი** თქვენ სულ რაღაც სამოღე წლის წინათ დამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და უკვე ცხაკაიას იურიდიული კონსულტაციის გამგე ბრძანდებით. როგორ ართმევთ თავს ამ მეტად პასუხსაგებ თანამდებობას?

**მ. რუმბაძემ:** თავიდანვე მიყვარდა ადვოკატის პროფესია. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ჩემი სურვილი და სტაჟიორად გამგზავნა ცხაკაიას რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში. ვერასოდეს დავივიწყებ ჩემი ხელმძღვანელების, გამოცდილი ადვოკატების ი. პერტიასა და შ. ცერცვაძის ამაგს. მათ ჩამახედეს პირველად ადვოკატის პროფესიის რთულ ლაბირინთებში. არც შე მელაღატია მათთვის — ბეჭითად და გულმოდგინედ ვეუფლებოდი პროფესიას და მალე კოლეგიის წევრიც გავხდი. ხოლო წელს აპრილში გამომოცხადეს უდიდესი ნღობა და ჩამაბარეს იურიდიული კონსულტაცია. თავდაპირველად დავიბენი, მაგრამ კონსულტაციის მთელი კოლექტივი ერთგულად ამომიდგა მხარში და მუშაობაც გამოადვილდა. ახლა ჩვენს კონსულტაციას ურიტო მონაცემები არა აქვს, მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდებით და დღენიდაღ ვზრუნავთ ახალი წარმატებებისთვის.

**კორმესკონდენტი:** დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ორი წლინახევრის მანძილზე ალბათ მრავალი საქმე გიწარმოებიათ. რომელს გამოყოფდით?

**მ. რუმბაძე:** (ქ. თბილისის 28 კომისიის რაიონის იურიდიული კონსულტაცია): მართალია, უკვე 200 საქმეზე გამოვსულვარ, მაგრამ ერთი სისხლის სამართლის საქმე არასოდეს დამავიწყდება. ჩემს დასაცავ ვ. რ. ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით. გამოწვდილივით შევისწავლე საქმის როგორც იურიდიული, ისე ფსიქოლოგიური მხარე. მთელი არსებით ვიცავდი სამართალში მიცემულს. სახალხო სასამართლომ 1 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ განაჩენმა არ დამაკმაყოფილა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გაიზიარა პროტესტი და თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ერთი წლის გამასწორებელი

სამუშაოთი. ამ გამარჯვებამ პირდაპირ ფრთხილ შემახსნა და ახალი ენერგიით განვაგრძობ მუშაობას.

**კორმესკონდენტი:** როგორ მოხვდით ადვოკატურაში?

**ლ. ბერნიაშვილი** (ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაცია): მე-5 კურსზე ვსწავლობდი, როცა საწარმოო პრაქტიკაზე გამგზავნეს პირველი მაისის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში. მისმა გამგემ, ქალბატონმა რუსუდან თალაკვაძემ ისე გულთბილად მიმიღო და ისე საინტერესოდ მესაუბრა ადვოკატის როლსა და საქმიანობაზე, ისეთი შთაბეჭედავი მაგალითები მოყვანა, რომ იმ დღიდან სამუდამოდ გადავწყვიტე ადვოკატი ვავმზადრიყავი. ახლა თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ მთელი არსებით ვემსახურები ჩემს საყვარელ პროფესიას.

**კორმესკონდენტი:** თუ არ ვცდები, თქვენ კვლავ განაგრძობთ, არა სწავლას?

**ი. ბაშბარდია** (საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტანტ-კოდიფიკატორი): დიახ. 1982 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სისხლის სამართლის პროცესის სპეციალობით. ამჟამად მეორე კურსზე ვარ. ადვოკატად მუშაობის პერიოდში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება დიდად მემარტება თეორიული ცოდნის გაღრმავებაში. მახსოვს, როცა სპეციალობაში საქანდილატო მინიმუმის გამოცდა ჩავაბარე, ბილეთში მოცემული საკითხები (სისხლის სამართლის პროცესი, მტკიცებულებათა თეორია, კრიმინალისტიკა, სასამართლო და მართლმსაჯულლება, საპროკურორო უდამხმედველობა) ჩემთვის მხოლოდ თეორიული დებულებები კი არ იყო, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში უშუალოდ განცდილი და ნანახი. ამან მეტი რწმენა და ენერგია შემმატა.

**კორმესკონდენტი:** რას მიიჩნევთ ადვოკატისათვის ყველაზე დიდ ბედნიერებად?

**დ. მალაქაძე** (წესტაფორის რაიონის იურიდიული კონსულტაცია): უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ შენი მთელი საქმიანობით ხელს უწყობდე ქვეყნის განვითარების დადგენას და რაღა თქმა უნდა, ყოველ ეგრეთ წოდებულ „მოგებულ“ საქმეს.

**ბ. ბერძენიშვილი.**

## ქურდობა... და ბიზნესმენთა გაკოტრება



ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა კომპანიების მუშა-მოსამსახურეები ყოველწლიურად თავის მეპატრონეებს პარავენ ფულად სახსრებს, ქონებასა და საქონელს, რომელთა საერთო ღირებულება 40-100 მილიარდ დოლარს შეადგენს. ზარალი, რომლსაც ამდაგვარი თაღლითობის შედეგად განიცდიან კომპანიები, პროდუქციისა და საქონლის თვითღირებულების საგრძნობ ზრდას იწვევს, რაც საბოლოოდ მიძიმე ტვირთად

აწვება მომხმარებელს. და მაინც, ამას როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატა ვარაუდობს, ბიზნესმენთა გაკოტრების შემთხვევათა საერთო რაოდენობის 90 პროცენტი ამით არის განპირობებული.

## ბანკი გაძარცვას გადაურჩა

რომის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე შემთხვევით შეამჩნიეს ელექტროკაბელი, რომელიც საკანალიზაციო ჭის საძვრენიდან იყო ამოშვებული. თავდაპირველად პოლიციამ იფიქრა, რომ კაბელი მათ ტერორისტების მიერ ჩაწყობილ ბომბების ამფეთქებელთან მიიყვანდა.



როდესაც პოლიციელები მიწის ქვეშ ჩავიდნენ, აღმოჩნდა, რომ განზრახული იყო ყველაზე დიდი ბანკის გაძარცვა. მძარცველებმა მოაწყვეს ელექტრო განათების იმპროვიზებული სისტემა. ელექტროგაყვანილობა ცენტრალურ საკანალიზაციო მაგისტრალს მიყვებოდა, შემდეგ კი უხვევდა მის ერთ-ერთ განშტოებაში, რომელმაც პოლიციელები იტალიის უდიდესი ბანკის მთავარ მიწისქვეშა საცავამდე მიიყვანა. ნაპოვნი ულტრათანამედროვე ინსტრუმენტები, საჭმლის ნარჩენები და სიგარეტის ნაშუვი ცხადყოფდა, რომ მძარცველები ერთ კვირაზე მეტს მუშაობდნენ საცავის კედლის ქვეშ ხვრელის გასაყვანად.

პოლიციისათვის ნათელი გახდა, რომ ბანდიტებს განზრახული ჰქონდათ შეედწით საცავში საშობაო დღესასწაულის პერიოდში, როდესაც ყველა ბანკი სამი დღით იკეტება. მაგრამ ერთადერთი, რის მოპარვაც მოასწრეს მძარცველებმა, არის ელექტროენერგია, რომელიც მათს მიწისქვეშა საშობაო ილუმინაციას მოხმარდა.

### აკვლეობა თუ...

ქ. საუსენტში (ინგლისი, ესექსის საგრაფო) 45 წლის ს. ფარენტს თავს დაესხნენ. ამ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ მან წელიწადი და ორი დღე იცოცხლა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში უგრძობლად კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ მის მკვლელს, რომელიც უკვე საპატიმროში იჯდა, მკვლელობის ბრალდება არ წაუყენეს, რადგანაც თანახმად ინგლისის კანონებისა. მსხვერპლი მოკლულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება, თუ თავდასხმის მომენტიდან სიკვდილის დღემდე გავიდა არაუმეტეს ერთი წელიწადი და ერთი დღე.

### მპარცველავის თვითგანსაზღვრება

ქ. სან-პაულოში (ბრაზილია) დანებითა და ძალაყინებით შეიარაღებულმა მოქალაქეთა განრისხებულმა ბრბომ დახოცა სამი ახალგაზრდა მძარცველი (ერთი მათგანი მხოლოდ 13 წლისა იყო), რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში დაშინებული ჰყავდათ ქალაქის გარეუბნის ღარიბთა კვარტალის მოსახლეობა.

### პოლიციელი, მსხვერპლი და... გრადფიკული

ამერიკის შეერთებულ შტატში 1982 წელს დამნაშავეთა თავდასხმების მსხვერპლი გახდა 55 ათასი პოლიციელი, მათგან 92 მოკლეს. მეორე მხრივ, ხელისუფლების ორგანოები პოლიციელების სისასტიკის გამო ყოველწლიურად იღებენ 10 ათას საჩივარს. ამათგან საშუალოდ 100 საჩივარს შედეგად მოსდევს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

### რა ღირს სამოქალაქო საქმის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უ. ბერგერის ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო საქმეების გამო სასამართლო პროცესებს ყოველწლიურად ხმარდება 2,2 მილიარდი დოლარი. თითოეული ასეთი სასამართლო პროცესი სახელმწიფოს საშუალოდ 8 ათასი დოლარი უჯდება. ამასთან დაკავშირებით უ. ბერგერმა წამოაყენა წინადადება, რომ სამოქალაქო საქმეები განსახილველად საარბიტრაჟო კომისიებს გადაეცეს. გარდა ამისა, მას გამართლებულად მიაჩნია, რომ მხარეს, რომელიც დაუსაბუთებელ სარჩელს შეიტანს, დაეკისროს მეორე მხარის ხარჯების ანაზღაურება.

სამოქალაქო საქმეების საარბიტრაჟო წესით საქმის გარჩევის პიონერობა იკისრა ბ. პიტსბურგმა. ამ ქალაქში სამოქალაქო საქმეების 60 პროცენტს საარბიტრაჟო კომისიები განიხილავენ. ამის შედეგად, სასამართლო ხარჯებმა, საშუალოდ ერთი სარჩელის განხილვისას, მხოლოდ 65 დოლარი შეადგინა.

**დამნაშავენი და მათი მსხვერპლნი**

დადგინდა, რომ ამერიკელებს უფრო მეტი შანსი აქვთ ვახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი, ვიდრე სამგზავრო-სატრანსპორტო შემთხვევისა. ისიც დადგინდა, რომ დამნაშავეების და მათი მსხვერპლის მონაცემები ერთმანეთის მსგავსია. თუ მათ შევადარებთ ქვეყნის მოსახლეობას, ირკვევა, რომ ისინი უმეტესად არიან ახალგაზრდები, ფერადკანიანები და უცოლონი. დამნაშავენი და დაზარალებულები უმეტესად ხელმოკლე ახალგაზრდები არიან, რომლებსაც თითქმის დაკარგული აქვთ სამუშაოს შოვნის იმედი.



1981 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 10,8 მილიონი კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა ნახევრის ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა. საკუთრების წინაღმდეგ დანაშაულისათვის უფრო ხშირად აპატიმრებდნენ 16 წლის ახალგაზრდებს, 20 წლის ასაკის პირთა შორის მათი რიცხვი ორჯერ ნაკლებია. ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულის გამო ყველაზე ხშირად ბრალი 18 წლის ახალგაზრდებს ედება. პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა თითქმის ნახევარი ჩადენილია ნაცნობების ან ნათესავების მიერ. ხელისუფლების ორგანოები ვარაუდობენ, რომ ნათესავების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა უმრავლესობის შესახებ პოლიციას არ ატყობინებენ. გაძარცვა ყველაზე უფრო გავრცელებული დანაშაულია, რომლის ჩამდენი უცხო პირები არიან (75 პროცენტი), ხოლო მკვლელთა შორის უცხო პირები ყველაზე იშვიათად გვხვდება (16 პროცენტი).

## ამერიკის შეერთებული შტატების დამნაშავეობის სტატისტიკა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოამზადა დაწვრილებითი მოხსენება ქვეყანაში დამნაშავეობისა და მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. მოხსენების მიხედვით, 40 მილიონი ამერიკელი (თითქმის ყოველი მეხუთე) თავისი ცხოვრების რომელიმე მომენტში დაპატიმრებული იყო ამა თუ იმ ბრალდებით (საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევის გარდა). 1960 წელს საშუალოდ ყოველ 100 ათას მოსახლეზე რეგისტრირებული იყო 1887 სერიოზული დანაშაული. ამჟამად მათი რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა და 553-ს შეადგენს.



თუ, ვთქვამთ, ქ. ახალ ორღენში ყოველი 100 დაპატიმრებულიდან სამართლოს გადაწყვეტილებით დამნაშავედ ცნობილია 43 კაცი, მანკეტენში (ნიუ-იორკის ცენტრალური ნაწილი) გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვთ საშუალოდ 59 ბრალდებულის მიმართ.

საშუალოდ ერთ გადასახადის გადამხდელზე თუ გავიანგარიშებთ პოლიციური დაცვის უზრუნველსაყოფად წელიწადში საშუალოდ იხარჯება 59 დოლარი, გზების კეთილმოწყობაზე — 147 დოლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე — 208.

1983 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმროებში 431 ათასი პატიმარი იყო. ეს ორჯერ და მეტად აღემატება 10 წლის წინანდელ მონაცემებს. ყოველ 100 ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა 1967 წელს შეადგენდა 117 კაცს. დღეს ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა და 185-ს მიაღწია. პატიმართა შორის ქალები შეადგენენ 4 პროცენტს. ასაკობრივი თვალსაზრისით პატიმართა 56 პროცენტი 20-დან 23 წლამდე ასაკისაა, 25 პროცენტი — 30-დან 39-მდე. ამერიკელთა შორის ზანგები დაახლოებით შეადგენენ 10 პროცენტს, პატიმართა შორის კი 47 პროცენტი შავკანიანია! 25 პროცენტი სასჯელს იხდის ძარცვისათვის, 18 პროცენტი — ქურდობისათვის სახლში შეღწევით, 18 პროცენტი — მკვლელობისათვის, 7 პროცენტი — ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ნ.ხ. მ. აბაშიძის.



# ცნობები ავტორთა შესახებ

**ირაკლი ღიმიტარის ძე შაფაქიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის და სამართლის საფუძვლების კათედრის მასწავლებელი. პირველად იბეჭედა უფრნალ „საბჭოთა სამართალში“.

**სერგო ტარასის ძე რიბვაძე** — საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. მეორედ გამოდის ჩვენი უფრნალის ფურცლებზე.

**თენგიზ ალექსანდრეძე ძე ლილუაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

**ელენე ვახტანგის ასული წიკლაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 2 შრომის ავტორი, პირველად იბეჭედა ჩვენს უფრნალში.

**ავთანდილ ვლადიმერის ძე კობახიძე** — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 20 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს უფრნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ზოტა გიორგის ძე ფაშიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 30 შრომის და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უფრნალში.

**ტარიელ სევერიანის ძე ლემონჯაძე** — ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული მეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი, მეოთხედ იბეჭედა ჩვენს უფრნალში.

**ზურაბ თენგიზის ძე დავაძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმჩის ორგანოების სამმართველოს უფროსი, პირველად იბეჭედა უფრნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ფელიქს დომენტის ძე დანელია** — საქართველოს ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული უფრნალისტი, პირველად იბეჭედა ჩვენს უფრნალში.

**ირინე არტემის ასული ლონტი** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ უფრნალისტთა კავშირის წევრი, ოთხი ბროშურის ავტორი, მეხუთედ იბეჭედა ჩვენს უფრნალში.

**ბარბაკანის პირველ გვირგვინზე:** თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის იურისკონსულტი (მარცხნიდან) მ. შენგელია, მექანიკოსი გ. ხუბულავა და ინჟინერ-სოციოლოგი ლ. კალაძე ამას წინათ ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯულობის კანდიდატებად დაასახელეს.

ბ. სეირანიანის სლაიდი.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1984 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плиханова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 კპვ.  
ნიღბის 76185

6 229/15